“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№4-5 (256-7)
აპრილი-მაისი
2020 წელი
ფასი 80 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი ”LITERATURULI MESKHETI”

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის!

ეროვნულ მეფეთა ხელმძღვანელობა ასპინძის ბრძოლაში

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უხდებოდა საბრძოლო მოქმედებების წარმართვა თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მის ირგვლივ მყოფი სახელმწიფოთა სტრატეგია მიზნად ისახავდა საქართველოზე ზეწოლას და სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაუფლებას. ინტერესი გამოწვეული იყო საერთაშორისო მნიშვნელობის „აბრეშუმის დიდი გზით“ და საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. მიზნის მიღწევის ძირითად გზას ირიბი თუ პირდაპირი მტრის გამუდმებული თავდასხმები წარმოადგენდა. აღნიშნული პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე და დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში არსებულ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სტრატეგიაში. ეს მოსაზრება გამყარებულია საქართველოს უახლესი ისტორიით და არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

დაუსრულებელი პოლიტიკური პროცესები შესაბამის ასახვას პოულობდა სამხედრო დაპირისპირებებში. აღნიშნულ ბრძოლებში წარმატების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით იმ მებრძოლებს, რომლებიც თავიანთი სიმამაცით, ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნების ილეთების ცოდნით და ტაქტიკურ მოქმედებათა ელემენტების გონივრული გამოყენებით, მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან იმარჯვებდნენ. ასეთი მაგალითები მრავლადაა შემონახული ისტორიულ წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში, რომლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს „ასპინძის ბრძოლა“ წარმოადგენს, საიდანაც 250 წელი გავიდა. ჩვენი მიზანი ამ ბრძოლის ანალიზია, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს და მომავალ თაობებს წარმოდგენას შეუქმნის ერეკლე II-ის სამხედრო ხელოვნების ცოდნასა და ქართველთა თავდადებაზე, რომელიც სამშობლოს უანგარო სიყვარულს ემსახურებოდა.

XVIII ს-ის 60-იანი წლების დასასრულს ფეოდალური საქართველო ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. იგი დანაწევრებული იყო ქართლ-კახეთის, იმერეთის სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ. საქართველოს სამხრეთ ნაწილი კი ოსმალეთის მიერ იყო დაპყრობილი, რომელსაც ახალციხეში მდებარე საფაშო აკონტროლებდა. ამ დროისათვის რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულ ძალად გამოიყურებოდა და თავისი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და იქ თავისუფალი ნაოსნობის მოპოვების ამოცანები ჰქონდა.

რუსეთის იმპერიას ოსმალეთთან ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ, რელიგიური მოტივით შენიღბა თავისი ნამდვილი მიზნები და მოწოდებით მიმართა კავკასიელ და ბალკანელ ქრისტიანებს, რომ იგი „იძულებულია“ ებრძოლოს თურქეთს „ქრისტეს სარწმუნოებისათვის“. რუსეთი კავკასიაში ახალი ფრონტის შექმნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ოსმალეთი იძულებული გახდებოდა, ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მოეხსნა საომარ მოქმედებათა თეატრიდან ყუბანი-ყირიმი-დაღესტნის მიმართულებებზე და სამხრეთ კავკასიის ფრონტზე გადმოეყვანა. ზემოაღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთ-თურქეთის ასეთმა დაპირისპირებამ, 1769 წლის 21 მაისს თბილისში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის შეხვედრა განაპირობა. მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთახმდნენ, რომელიც მიზნად სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებას ისახავდა. წარმატების შემთხვევაში, მოისპობოდა ბაზა, საიდანაც ოსმალეთი თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა ქართულ სამეფოებზე.

ერეკლე II-ს საქართველოში რუსეთის ჯარის მცირე საექსპედიციო რაზმი, რომელიც 1769 წელს გენერალი ტოტლებენის განკარგულებაში იყო, არ მიაჩნდა საკმარისად ზემოაღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად და ყოველი გზით ცდილობდა რუსეთიდან 5 ათასიანი კორპუსის მიღებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უმთავრეს ამოცანას რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებებისას მეფე ერეკლე ცალკე არ გამოყოფდა. მაგალითად, 1769 წლის 4 სექტემბერს ერეკლე ნ. პანინს (რუსეთის წარმომადგენელი - დ.მ.) წერდა: „ეს ხუთი ანილკი ჯარი ამად გვნებავს ზამთრამდის და ამისათვის მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ რადგან ოსმალთ ძალი ჩვენის საზღვრამდის არ მოწეულა, ჩვენ იმ ჯარის შეწევნით, რომელნიც რომ არარატის მთის გარშემო, ანუ ახალციხისა და ანუ ყარსისა გარშემო ქრისტიანი არიან, და ისინი ოსმალთა მონებასა ქუეშე იმყოფებიან, და კვალად რომელნიც შავი ზღვის გარემო ჩვენ კერძო ადგილი უჭირავს, შესაძლებელ არს, რომ ყოველივე ძალთა ღვთისათა მიუღოთო“. აქ ნათლად ჩანს, თუ რომელი მიმართულებაა ერეკლესათვის უფრო საინტერესო. იგი საქრისტიანო ქვეყნების განთავისუფლების საერთო ლოზუნგსა და ამ მიმართულებით მტრისათვის დასწ�. აქედან გამომდინარე, ასპინძის ბრძოლის გამომწვევი მიზეზი 1768 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომი იყო. ერეკლე II და სოლომონ I საერთო მტრის წინააღმდეგ მოლაპარაკების საფუძველზე იწყებდნენ საბრძოლო მოქმედებებს რუსეთის დახმარებით.

ნახ. გიორგი გეგეჭკორისა

ზემოაღნიშნული დროისთვის, საქართველოს სამხრეთ მხარეში, ახალციხეში ოსმალების საფაშო მდებარეობდა, საიდანაც პერიოდულად საქართველოს სამთავროებზე თავდასხმები ხორციელდებოდა.

ვიდრე ეს პლაცდარმი ქართლსა და იმერეთში შემოსასვლელ გზებზე ბატონობდა და მტრის ხელში იყო, ცხადია, საქართველოს დანარჩენი რაიონების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. ამიტომ, ერეკლე მეფის სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელებისათვის რუსეთთან სამხედრო კავშირის დადება, იმ დროისათვის ყველაზე უახლოესი და რეალური ნაბიჯი იყო. ამას ადასტურებს იმდროინდელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი და სხვადასხვა ისტორიული თუ დოკუმენტური მასალები.

ერეკლე მეფის მიერ შემუშავებულ სამხედრო მოქმედებების გეგმას შემდეგი უპირატესობა გააჩნდა:

1. ოსმალეთს ხელიდან აცლიდა მოხერხებულ სამხედრო სტრატეგიულ პლაცდარმს, რომელიც უკეთ უზრუნველყოფდა საომარ მოქმედებათა წარმატებით გაშლას, ვიდრე სხვა რომელიმე მიმართულება.

2. შემუშავებული გეგმა უკეთ უზრუნველყოფდა მოკავშირე მხარეთა ერთობლივ მოქმედებას, რადგან მას ორივე ქართული სამეფოსათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა:

ა) ქართლ-კახეთისათვის – ახალციხის დაკავებით ქართლს ოსმალეთის აქტიური შემოტევის საფრთხე ეხსნებოდა, ისპობოდა ბაზა, საიდანაც მტერი საქართველოს დაპყრობას ცდილობდა;

ბ) იმერეთისთვის – ახალციხეზე ლაშქრობა იმერეთზე თავდასხმის ბაზას მოშლიდა, რადგან დასავლეთ საქართველოს საქმეებს ოსმალეთი ახალციხის ფაშას მეშვეობით აკონტროლებდა. ახალციხის დაკავება იმერეთის ციხესიმაგრეებში მყოფ თურქ მეციხოვნეებს დახმარების წყაროს გადაუკეტავდა, რასაც, ბუნებრივია, მათი დანებება მოჰყვებოდა;

3. სამხედრო ოპერაციების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში საქართველოს უსაფრთხოება დროებით უზრუნველყოფილი იქნებოდა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გარკვეული მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამხედრო ნაწილი გამოგზავნა საქართველოში 1200-მდე კაცითა და 12 ზარბაზნით, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით.

ვინ იყო ტოტლებენის პიროვნება?

როგორც ისტორიული მასალებიდან ირკვევა, იგი ტომით იყო საქსონიელი გერმანელი, ავანტიურისტი. ის ფარულად ღალატობდა რუსეთს ევროპაში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს. მას ფარული მიმოწერა ჰქონდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-სთან და სამხედრო საიდუმლოებებს აცნობდა. ღალატში მხილებული დაპატიმრებულ იქნა 1763 წელს. 1769 წელს ეკატერინე II-ის შეწყალებით იგი გაანთავისუფლეს და საქართველოში გამოგზავნილი ექსპედიციის უფროსად. მოწინააღმდეგე მხარეთა დაპირისპირებაში ერეკლე II შვიდი ათასი მებრძოლითა და 3 ზარბაზნით გამოდიოდა.

ერეკლე მეფის მიერ შეთავაზებული სამხედრო მოქმედებების გეგმა 1769 წლის შემოდგომაზე ტოტლებენს მიუღია და რუს-ქართველთა ჯარს ამ გეგმით უნდა დაეწყო მოქმედება. სურდა თუ არა ტოტლებენს, იგი მაინც უნდა დაძრულიყო ერეკლესთან ერთად ახალციხისაკენ, რადგან მისი ადრინდელი განცხადებები ახალციხეზე ლაშქრობებში მონაწილეობაზე აშკარა უარის თქმის უფლებას არ აძლევდა. 1770 წლის 14 აპრილს ერეკლე მეფე და ტოტლებენი რუს-ქართველთა ჯარით სადგერში იდგნენ. ტოტლებენს მეფისთვის წინადადება მიუცია, ქართული ჯარის ნაწილი სადგერის ციხეში დაეტოვებინა, თვითონაც სურვილი გამოუთქვამს 1 ზარბაზნისა და 60 ჯარისკაცის დატოვებაზე, მაგრამ ერეკლე მეფე ამის წინააღმდეგ წასულა. „სადგერის ციხეში ჯარი მთხოვა დასაგდებლად, – წერდა ერეკლე რატიევს, – თავისის ჯარისაც მითხრა, 60 კაცს და ერთ ზარბაზანს დავაგდებო.

გაგრძელება მე-4 გვ. ▶

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

კერძოვილოთ, სამხილრო ხალოგაბრილა ვალიმ ოძ-ოონი ამალი ერთგულოი თ-ლი ლ.გ.ლ.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“

რუსთაველი

მეფე ირაკლი

ვინც სამშობლოსთვის ერთგულად იბრძვის,
ის საყვედურსა არ ერიდება,
მას, ვინც ერისთვის სულით იჭირვის,
მეოხად დასცქერს ზეცის დიდება.
მაშ მეფე, უფრო, ვით მამა ერის
და ვით მზრუნველი ყოველთვის ერთად,
ხამს, რომ იბრძოდეს მტრის წინააღმდეგ,
მისთა მონათა და სხვათა მეტად.
მით მაღალია სული მეფისა,
მით წმინდა არის მისი განზრახვა,
ქვეყნიერს რისხვას არ დამონდება,
და არცა მოსწონს მბრძანებლის ნახვა.
მე მეფეცა ვარ და მასპინძელიც,
ქართველთ ქებულთა მებრძოლთ სარდალი,
მოსამზღვრე მტერთა ვიცი ძალ-გული,
მათი ძველი და მათი ახალი.
შენ სტუმარი ხარ მონათაგანი
და მე ცხებული გვირგვინოსანი,
მაშა, ჩემი სპის შენ უნდა იყო
სარდალი, მე კი მწყობრში ხრმლოსანი?
ეგ არ იქნება, აგრე არ შვენის,
მისთვის ხარ ჩემ წინ წარმოგზავნილი,
რომ შენ გიძღოდეს ჩემი ბრძანება,
აღსრულდეს შენის, – მეფის წადილი.
თვით პირ იქეთაც, რომ შემიძლია
ქართველთა ლაშქრის თავი-სარდლობა,
მაშინაც შენს გულს არ დაკითხავდი,
შენ ვით გერწმუნონ, ვინ მოგენდობა?
რაშიდაც არ გსურს შენ პირველობდე,
ამას თუ ძალით შენ მიითვისებ,
გავს არაფერში შენ არ დაგზოგა,
ყოვლისგან გაგვცლი, ნათელს დაგვიმსებ.
სანემ ირაკლის ხრმალი არტყია,
მზგავსსა ნებასა მისგან ნუ ელი
და როცა იგი აღარ იქნება,
ეგებ გაგიჩნდეს სხვაცა დამშლელი.
აგრე მკვახედა ეუბნებოდა
მეფე ირაკლი რუსის გენერალს,
როდესაც ორნივ ჯარს მიუძღოდენ,
ბორჯომის ხევით მტერზე მიმავალს.

I. მიზეზი სამდურავისა

ეგ აგრე გახლდათ: რუსეთის მეფემ
ოსმალთ საომრად წარმოაგზავნა,
ექვსი ათასი ქვევითი ჯარი –
და ის ირაკლის ჯარს შეაზავნა.
ორთავ ლაშქრისა მთავარ სარდლობა
გენერალს სურდა, მას ქონებოდა,
მის ბრძანებაზე ჯარს გაეარა
და ირაკლიცა მას მონებოდა.
ამას ირაკლი არ დაეთანხმა,
არ იკადრებდა, ვით მისი სული,
ტოტლებენს, მაგ ჩუპტს, რუსის გენერალს
შესტკივებოდა ამაზე გული?
ეგ იყო იმ დღეს იმის მიზეზი,
რუსი გაბღვერით გასცქერდა ქართველს,
ამ ჟანგის მალე ამოსაყრელად
რუსი ელოდა მტერს და ბრძოლის ველს.
ამას მიუხვდა ბრძენი ირაკლი,
ამისთვის რუსსა უსაყვედურა,
ამასობაში განვლეს რა ხევი –
ჯარი აწყურსა წამოეწურა.

II. აწყურის ციხე

აწყურის ციხე სდგას მაღალ გორზე,
დასავლით დასცქერს მტკვარსა, მდინარეს,
თითქო გუშაგი გაფენილს ჭალას,
თვალსა ადევნებს მას სატრფო არეს.
ოთხივე კუთხით კოშკი დარაჯობს,
შემოცულია ქვის სქელ გალავნით,
გარშემო ვაკე, მტერსა ხელს უშლის,
მოეპაროს და შემოკრას სანგრით.
გალავნის ირგვლივ პატნეზებია,
გადმოუყვია ტუჩი ზარბაზნებს,
ას-ასი ერთად დაგრიალდება,
საშინელს ცეცხლსა – მტერსა მოაშთებს.
შიგან სავსეა ოსმალოს ჯარით,
სულ დარჩეულის მეომარებით,
დიდ ძალი აქვთ მათ სარჩო, სურსათი.
იგიც დაცული რკინის კარებით.
იქავ მინარე აღმართულია,
გარმოკიდული ჩუქურთმებითა,
მინარეთ მოლა ხალხთ ლოცვად იწვევს,
მაჰმადის თქმულის კილო ხმებითა.
ნახა თუ არა რუსის სარდალმა,
ეგ ოსმალოსა უცხო სიმაგრე,
გავდა თუ სურდა ხელში ჩაეგდო,
და მას მიმართა ადვილად, ადრე.
მეფე ურჩევდა, რომ ციხისათვის
გვერდი აევლო ორთავე ლაშქარს,
მუნ უშორესსა სოფლებთ დაესხან,
ციხის იმედსა გარეშე მომდგარს.
უთხრა: ციხე სდგას სოფლის იმედით,
სიდგანაც პოებს ძალსა და სარჩოს,
ჩვენ როცა ციხეს გარშემო უკრავთ,
ხალხი დაგვიწყებს ზურგიდან სროლას.
ციხეს ვერ ვავნებთ, ვერც ვერას უზამთ,
მით სჯობს ნუ ვირჩევთ ორის მხრით ბრძოლას,
ჩვენ ოსმალეთსა უნდა ვებრძოლოთ



ᲐᲡᲢᲮᲘᲜᲫᲘᲡ ᲝᲛᲘ

(ისტორიული პოემა)

და არა მისსა მცირე სიმაგრეს,
გავსწიოთ, ერსა დავაპატრონდეთ,
შიში მოვფინოთ მრთელსა მის მხარეს.
ტოტლებენს აგრე განუმარტებდა
და აშორვებდა უმიზნო ვნებას,
მაგრამა იგი შორს იდგა მისგან,
სჯეროდა თავის შეხედულებას.
ნახა ირაკლიმ, რომ აღარ იშლის,
რუსის სარდალი თავის განზრახულს,
დაჰყვა ნებასა, მიუშვა იგი,
აცადა, ვიდრე, მოიჭამდა გულს.

III. ᲢᲝᲢᲚᲔᲑᲔᲜᲘ ᲒᲐᲘᲞᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲗ

აწყურის ციხეს დაუწყეს ცემა,
ერთის მხრით რუსმა, ერთ მხრით ქართველმა,
დამხთურთა ცეცხლი მოაშთეს ფიცხლად,
ვერა დააკლო მტრისა საცდელმა.
მტერს ზარბაზნები დაღმუის ამტვრევს,
არეულ იყო კვამლი და ალი,
ორს დღესა სცემდეს შეუწყვეტელად,
ვერ შეარყიეს ციხისა ძალი,
ტყვია ზარბაზნის, ციხით მოჟუის.
ულეტავს და მუსრავს მეტად ქართველსა,
მისულთა ტყვია გალავანსა სცემს,
მისგან მხოლოდ ცრცნის კისრის ნაფშვენსა.
მესამე დილით ირაკლის ჯარსა
კვლავ უწყეს ცემა, თანახმად წყობის,
მაგრამ გაკვირდენ, რომ არ ისმოდა
ხმა ზარბაზნისა რუსის მხედრობის.
„რა დამართია მაგ ჩვენს მოყვარეს?
– ბრძანა ირაკლიმ, – ერთი შევხედო“,
და გარდმოხედა ბანაკს რუსისას,
მაგრამ ვერ ნახა რამ საიმედო.
რას უცქერ მეფე, გამარჯვებულო!
განა არ იცით, რომ რუსის ჯარი
დღეს ალიონზე გაბრუნდა უკან.
ის თქვენთან მბრძოლი სულაც არ არის,
ეგრე მიდიან ჩქარის ნაბიჯით.
გაცილდებოდნენ აწ ბორჯომის ხევს,
შემოძვრენ, გაძვრენ, როგორც მპარავი,
თქვენ თქვენი ქმენით, იმათ ვინ გასდევს?
აგრე მაღლის ხმით წამოიძახა,
მუნ, ვინმე ერთმა, ჯარისა კაცმან,
რომელიც იდგა მეფის შორ-ახლო,
მართალიც ჰკადრა, სთქვა ისი, რაც მან.
გაკვირდა მეფე, შესდგა, შეჩუმდა
და მერმე თავი გარდააქნია,
სთქვა: „ვიცი, ვიცი, თვალწინ მიდგია
მათი აქ მოსვლა, რაც ნალიქნია“.
ეგ სთქვა და უცბათ თავის სანდო ცხენს
გაჰკრა მეფემან უზანგი ფიცხლად.
თითქო გავაზე წამოიქროლა,
ასსა – უბრძანა თან დევნა მკვირცხლად.
მეფე სად მირბის, სად მიეშურა? –
ტოტლებენს მისდევს, მალე მისწვდება,
ურჩევს, რომ იგი ისევ მობრუნდეს,
ჩვენ ყური უგდოთ რას ეუბნება.
ტოტლებენ იხთის მეფის წინ ბოდიშს,
რომ უცნობელად მისა წავიდა,
რა ექნა, ვითომც სხვა გზა არ ქონდა,
მეტად ჯარს მტრისგან ვერ დაიცვიდა.
– ჯარი რომ გაწყდეს, – მოახსენებდა, –
მისცემენ დიდსა უბედურებას,
არა თუ ჯარსა ნების ურთველად,
ვერ ვიხმართ მეფის გროშის ქონებას.
– „არა ტოტლებენ, – მეფემ უბრძანა, –
შენ დღეს ღალატობ რუსეთის სახელს,
ვით მაგა ქცევით შენ მოუპოვებ,
მიზეზს რუსეთის ლაშქრის საგმობელს.
მარტო ქართველის მტერი არ არის,
პოსტის დიდება და მისი ძალი,
უფრო მტერია იგი რუსეთის,
მაზედ უჭირავს მეშურნე თვალი.
მით შენმა მეფემ თავის ლაშქარი
შამოუერთა ქართველთა ლაშქარს,
რომ ორთავ მტერსა ერთად ებრძოლონ,
დააპატრონდენ ქალაქსა, მთა-ბარს.
ისეთი ძალა არ მოგდგომია,
სასარდლო შენი დარიდებოდა,
რომც შეგმთხვევოდა, მაშინაც შენს სპას
მართებდა, მტერსა გამაგრებოდა.
შენმა ხელმწიფემ მისი ლაშქარი,
როცა მოგანდო მტრის საბრძოლველად,
განა გიბრძანა, ომში არ მოკვტენ,
მით მტერთა მისცა ის საგმობელად?
დიდი ხანია რაც საქართველო
თავის მტერს ებრძვის შეუწყვეტელად,
მაგრამ ცის ნებით გამარჯვებულსა
დარჩა სახელი შეუბღალველად.
არც ერთხელ რუსი არსად ნახულა,
ქართველის მტერთა შებრძოლებოდეს,
ეს ერთი ვნახეთ, ისიც ორპირად,
მისგან დანდობას როსღა ელოდეს?



ნადიმი სოფელ ხიზაბავრაში, ნახ. დავით ხახუტაშვილისა

ესრეთის ქცევით წუწუნს ნუ მოსდებ,
დიდის რუსეთის მხნესა მხედრობას,
ისევ დაბრუნდი, მტერთა ვებრძოლოთ
და დაგიმტკიცებ პირს და ერთობას.
ეგეც ხომ იცი, რაკი გაიგებს
მტერი დღეს შენსა უკუქცევასა,
განა გაგდება იმედს მოიცემს,
და დარწმუნდება ჩემზე ძლევასა.
ეგ საწყენია შენის ხელმწიფის,
ბევრგვარად მტრისა დასაძრახავი,
მით საქართველოს შენ დიდათ ავნებ,
ცხადია, ესე დასანახავი.
შენ დაიჯერე, დღეს ჩემი რჩევა,
ისევ დაბრუნდი, ჩემს სპას მოგანდობ,
შენ ითავადე, სპათა უძღოდე,
სპასალარობას დღეს შენ დაგითმობ.
იმედი გქონდეს, რომ გაიმარჯვებ,
მით შენი მეფე დაგაჯილდოებს,
ჩემგან მიიღებ დიდ საჩუქრებსა
და საქართველო ძეგლსა აგიგებს.
ასე ამგვარად მეფემ ტოტლებენს,
ხან თაფლი მოსცხო დასატკბობელი,
ხან ზეთი აცხო, დასაშუშავი,
მაგრამ არა სთქვა რამ სანდობელი.
როცა დაატყო, მეფემ, არ იშლის,
რუსის სარდალი შინისკენ წასვლას,
უთხრა: „არ ვეჭვდი შენგან ღალატსა
და მტრის საამოდ პირისა შეცვლას.
მე, როგორც მეფე, თუმცა არ ვრიდებ,
შენის მეფისგან ჩემზე სამდურავს,
მაინც ვსწუხვარ, რომ მისი სარდალი
ვერ გრძნობს დღეს ჩემის ერის საზრუნავს.
დღეს შენი ქცევა გავს ცხადსა ნაქსოვს,
რომლისგან ფერი შავის და თეთრის,
სჩანს გასაგებად და განსარჩევად,
გამოსჭვრეტს სახე ნამდვილად მტერის.
აწე, რადგანაც გვტოვებ და მიხვალ,
ერთ დაგიბარებ,
ისეთს ნუ იტყვი შენის მეფის წინ,
ჩვენში აწ ჩვენგან რაც ვერ იპოვე.
თქვენში თავ -კაცებთ ჩვეულებად გაქვთ.
როდესაც თვით თქვენ საქმეს ჩაბურდავთ,
თქვენის თავისა გასამართებლად
ერს, მეფეს ასმენთ, მით ცეცხლზე ართავთ.
თუ გითხრათ ვინმემ პირში მართალი,
გარდეკიდებით საფლავამდი მტრად,
სდევნით და სტანჯავთ მაგა საცოდავს,
მართალს აწვალებთ, თქვენთ ბრალის საფრად.
ასე, ამ გვარად, ჩემო ტოტლებენ,
როგორც შენ მტოებ დღეს მტრისა ხელში,
გინდა დამჟღლიტონ გალავნის გვერდით,
ან ჩამიმწყვდიონ ბორჯომის ხევში.
ამით მტერს დარჩეს ქართლისა ვაკე,
საჯირითოდ და თუნდ საბურთაოდ,
მაგრამ ნუ ფიქრობ, რომ საქართველო
დღეს ან შემდეგში დარჩეს უთაოდ.
თუ არ მოიცდი, მაშ გამეცალე,
და გამომცადე, აბა უშენოდ,
თუ საქართველო დარჩება ობლად,
დარჩება იგი უთავ-უხელოდ.
მისთვის მეცლები და მისთვის მტოებ,
შორით დასცინო ჩემს დაბრკოლებას.
მაგრა ეგ გწამდეს, არ დავიწყნია
ჯერ საქართველო ბედს და ღვთაებას.
უკანასკნელად ეგ უთხრა მეფემ
და მიტრიალდა თავის ჯარისკენ,
აწყურსა გაჩნდა იმავ დროს როცა,
თათარნი ქართველთ გარს შემოკროდენ.

IV. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲢᲔᲠᲜᲘ ᲒᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲔᲠᲢᲧᲜᲔᲜ

ციხისა მცველთა, როდესაც ნახეს,
სოფელთ დაესხნენ ქართველთ მებრძოლნი,
მაშინ გარდახტნენ ციხით ათასნი
და წინ დაუდგნენ მეფეს მასროლნი.
ყოვლგნით აუმთეს ირაკლის ცეცხლი,
წამიდან წამზე ეკარგებოდა,
რაც საიმედო მხნე მეომარი, –
მტერი თანდათან ეძალებოდა.
ირაკლიმ ნახა, რომ მტერი ცთილობს
მეფისა სპითურთ ხელში ჩამწყვდევას,
არა რა იყო აქ საიმედო,
მეფე არ ფიქრობს უკან დაწევას.
გაჭივრებაა და აქავ შვენის
ჩვეულებრივად გამოიჩინოს,
ირაკლიმ ნიჭი დიდის სარდლისა
და მტერთა იგი ცხადად უჩვენოს.
გააპოს ჯარი, მტრისა მომდგარი?
– ამას ირაკლი ადვილად შესძლებს,
მაგრამე მას სურს დიდი სახელი,
ეგ შვენის მისგან და ამას ეძებს.
ჯერ მისებურად ერთი შესძახა,
რაღაც ძლიერის და საოცრის ხმით,
– ხრმალი ბიჭებო, აბა მაგ წუწკებს!
და დავეტაკოთ ერიშის რაზმით.
რაკი იგრგვინა ხმამან ირაკლის,
თანვე დაელვა ხრმალმან მისის სპის,
მით ჩაერივნენ ოსმალოს ჯარსა,
შორს წაირეკეს ციხის და სოფლის.
თუმცა გაფანტეს და გააბნიეს, –
მეციხვანენი ბევრნი იქ დასცეს,
მაგრამ ოთხმოცი მეფის ჯარისა
გალავნის შიგნით ტყვედ შეიტაცეს.

V. მეფე ირაკლი გასტეხს გარემოხვეულს მტერს

დღეს თუმცა მეფემ შემოიგერა
მტერი, მებრძოლი და დაამარცხა,
მაგრამე მტერმა დღევანდლის ომი
გამოცხადებად ომის შერაცხა.
ხვალ-ზეგ მოელის მტერი ქართველზე
ომსა ფიცხელსა და გამარჯვებას,
მით ესწრაფება ბრძოლისა ველზე
ახლის ჯარისა შემოერთებას –
ექვს ათასს თათარს ლეკითურთ,
მუნც ქართველნია მცირის ომითა,
რომ შეიქციონ მტერნი ეგრე სურთ.
ეგ კარგად იცის მეფე ირაკლიმ.
ვერ გააპარებს მტერი მზგავს საქმეს,
არ დარჩენია მოუხსენებლად,
ამ ხიგალსა და მისსა მოანბეს.
მეფესა ახლდა სამი ათასი,
მათგან ათასი ზოგი დაჭრილა,
ზოგი მომკვტარა ხელ და ხელ ომში,
ზოგი სურსათზე შორს გაგზავნილა.
მაშ ხელად დარჩა ორი ათასი,
მაგრამ ამ რიცხვში ეგ იყო ძნელი,
ათასსა კაცსა ბორჩალოს თათრებს,
იჭვი ჰკრეს მტრისთვის შეეწყო ხელი,
რაღა ბევრი ვთქვათ, მტრის ქვეყანაში
ერთიათასით ექვსსა ათას მტერს
ვითარ ებრძოლოს მეფე ირაკლი?
ვით მიწვდეს ღონეს, ქების შესაფერს.
მაშ, როგორა ქნას, დასთმოს ირაკლიმ,
ველი ბრძოლისა, მტრის სასახელოდ?
მას არ ინებებს, ეგ გმირი მანემ,
სანემ არ მოსდვან ჯაჭვი საყელოდ.
აქვე ირაკლი მისვე სეულად
მსწრაფლ გამოიჩენს საგმირო ნიჭებს,
სანემდის მტერსა რისხვას არ დასცემს,
გზას არ შეუცვლის მის თქმულს ნაბიჯებს.
უბრძანა სარდალს ორბელიანსა:
ჯარს წინ გაუძეხ, როკეტისა გზით,
ასპინძს მიმართე, გარდუხვეველად,
არ მოიხედო არას მიზეზით.
ზურგით მოჰყვები შენსა სასარდლოს,
მტერი დამიწყებს მე კინკლაობას,
არამც არ შეცთე, არ მომეშველო,
ჭახრაკს შეუშლი იმათ ხელობას.
როცა შეუტყვეს აწყურის ჯართა,
გაუდგა დავით როკეტისა მხრით,
წინ დაუარა ორიათასმა,
ყელი უხვედრა იდუმალას გზით.
მეფე ჩამორჩა თავის ჯარს ზურგით,
იმ აზრით, რომე მდევარმა მტერმა
არ შეაჩეროს სვლა მისის ჯარის,
დაიცვას მისმა ბრძოლა ძლიერმა,
და ეგრეც იყო სამდევარი მტრის
საომრად ქართველს წაეწეოდა.
ჩაერეოდა მეფე მხლებელით,
და მტერი უკან გაიქცეოდა.
მაგრამ როგორღაც ორბელიანი
თავისა სპითა დაატრიალეს,
მოულოდნელად მეფე ირაკლის
გამოქცეული გულზე ატაკეს.
„ეგ რა ანბავი“ – მეფემ შესძახა,
ირაკლის ჯარი გამოქცეული?
ჯერ ხომ ცოცხალსა ბრძოლა მიძლია,
მაშა ვინ მნახოს გაწბილებული?
„აბა, ბიჭებო! უბრძანა მხოლოდ,
თვის შინაყმებთ და შვიდცა ხევსურსა,
ხმალი ხელში და მე გამომყევით,
ეგებ ვასრულებ ქვეყნის სამსახურს.
თუ აგრე არის თქვენ იყავთ მოწმად,
რომ გული, ღონე, არ დამიშურავს,
და თუ დღეს ჩემი გათავდეს ზრუნვა,
რაც სამშობლოსთვის სისხლში მიცურავს.
თქვენ გარდაეცით, ვინც ვერ შეხედოს,
დღეს მეფის თავის განწირულობას,
ვითარ შეიტკბოს მტრისგან სიკვტილი,
მით დაუმტკიცებს ერს ერთგულებას.
მაშინ შესძახა ერთი მწარის ხმით,
თითქო დაქუხა და დასცა მეხი,
მივარდა მტერსა, გასტეხა რაზმი,
სისხლის ღვარს ადენს ხმლითა ნაჩეხი.
წაწვდა ერიშით სპა, ირაკლისა,
მას თუმცა მტერმან არ დაუთმინა,
მაგრამ ქართველთა ხრმალთა ელვასა,
ველარ დაუდგნენ მებრძოლნი წინა.
ეგ რომ ენახა რომის კეისარს,
ივლიოზს, მხნესა ისპანთ მებრძოლსა,
ის იპოვნიდა მეფეს, ირაკლის,
სიმხნით უმაღლესს არცთუ მის ტოლსა.
დაუმარცხებლად ჯარი ჩასაფრა,
შორის ასპინძის სერთა და გორებთ,
იქედან მტერთა რასაცა ავნებს
კვლავ ვნახავ მისგან, კვლავ გავიგონებთ.

VI. მეფე ირაკლი გაყოფს მას გუნდად, თავის მცირე ჯარს

მეფესა ჯარი თუმცა ცოტა ჰყავს,
მაგრამ საომარს წყობას არ აკლებს,
გაჰყოფს სამ გუნდად, მაგ ცოტა ლაშქარს,
სამთავეს რიგზე დააბანაკებს.
ერთ გუნდს თვით იჭერს და საშვალ დგება,
მეორეს აძლევს ტახტის მემკვიდრეს,
მას დაიყენებს მარჯვენისა მხრით,
ვით შვენის – აძლევს რჩევას, სიმაგრეს.
მესამე გუნდი ორბელიანსა
მიანდო ვითა, სარდალს გამოცდილს,
და დააყენა იგი მარცხენით,
აწ ელის მტერსა, ძალით შემოსილს.
ტახტის მემკვიდრეს ქონდა ბრძანება,
ბოლომდი ომში არ გარეოდა,
და ბოლოს, როცა ნიშანს მისცემდნენ,
ახლისა ძალით მტერს დასცემოდა.
გათავდა წყობა და მომზადება
და ისიც იყო თათარი ლეკით,
ექვსი ათასი მტკვარისა ხიდზე
შემოდგა ფაშით, ბელადით, ბეგით.
რა გამოლაგდა ჯარი მტერისა,
ღამის სიბნელე წამოეფინა,
ნახეს, არ იყო დღეს დრო ომისა,
დასდგეს კარავი, იჩინეს ბინა.
ქართველთ ბანაკთა და მტკვრისა შორის,
გართხმული იყო ცოტათი ჭალა,
მუნ დაბანაკდა ჯარი მტერისა,
იქ შეიკრიბა თავისი ძალა.

VII. უკანასკნელი ომი

ალიონიდან მტრისა ლაშქარმა
სროლა დაუწყო ირაკლის სპასა,
მზემ აიწია, კარგა მაღალზე
და ქართველები არ სცემდა ხმასა.
მით დაიმედდა ქართველთა მტერი,
ამაყმა ფაშამ გასძახა ბეგსა,
ხელთ ვიგდეთ სწორეთ მეფე ირაკლი,
შიში შესწამა წინააღმდეგსა.
მაშ რაღა დარჩათ? ურთიერთაში,
რომ ქართველები ხელთ აიყვანონ,
ან დღემდინ რაცა აწყინეს თათრებს,
დღეს კი ერთბაშათ ქართველთ ანანონ.
შესძახეს თათართ და მიემართენ,
სადაც ქართველნი ირაკლის ახლდეს,
მაშინ თქვენს მტერსა, ისეთი მოხვდეს,
როგორიც ცეცხლი თათრებს მოამთეს.
სულ წინა რაზმი თათრის და ლეკის,
ცხენ-კაცი ერთად მიფშვნეს, მიჟლიტეს,
თუმც ექვსჯერ რაზმთა წამოინაცვლეს,
ექვსივე თითქოს კლდეს შეანარცხეს.
ნახეს თათართა, იმუსრებიან,
ვინ გაუსწორდეს გმირსა ძალითა.
ვინმე მხედარმან ქართველთა რაზმით
ამ დროს გაქუსლა ცხენი გაწვრთნილი,
მხედარსა არწივს უგავდა თვალი,
ბეჭებში იყო ცოტა წახრილი.
თითქო თუ ელვა, მეხის მცემელი,
უეცრად გაჩნდა ბელადის წინა,
საშიშარი და შეუპოვარი
სახე მხედრისა ბელადს ეწყინა.
ბელადი შესდგა ორივ აბჟანდზე –
და გარდაჭიმა მკლავი ხრმლიანი,
სურდა ქართველი შვაზე გაეპო,
მაგრამ მოქნევა დარჩა გვიანი.
მოასწრო გურჯმა, ტანს მოაცილა
თავი ბელადის ამპარტავანი,
ისი დაგდო, სხვას შეუტევა,
მოაძებნია მსწრაფლად სავანი.
და თანვე, რაკი დასძახა ხაფად,
ხიდსა მიმართეს გარდასახვეწად,
მტკვარისა ფონი ველარ იპოვნეს,
შეგროვდა ჯარი ხიდზე თუ არა,
გახვთა საშინლად ერთი ხრიალი,
ჩაინგრა ხიდი, ჩაღუპა მტერი,
შესაბრალ იყო მათი ღრიალი.
აქ ერისთავმა პირველ აღაბაბ,
ვსთქვათ სიმონიცა, მუხრანთ-ბატონი,
ხუდიამ მათთან ბორჩალოელმან
ქნეს საქმე ქების, დღეს მოსაგონი.
რომელთაც მტერთა ადრე შეუჭრეს
ხიდის ყური და მისი ისარი,
მით აღასრულეს მეფის ბრძანება,
მათი სახელიც უკვდავი არი.
რაც ვერ მოასწრო ხრმალმან ქართველთა,
ყველაი ჩანთქა მტკვარის მორევმა,
გლოვა დაუდგა ქართველთა მტერსა,
იხარა მასზედ მისმა მომრევმა.

VIII. ჭორი

მტრისგან მტერული მტერსაც კი მოსწონს,
მაგრამ მტერ-მოყვრის ღადრად მორთული,
ნამუსისაგან საგმობელია,
მას არ იკადრებს მაღალი სული.
ნახეთ, ვიღაცა ღადარს[1] რა უთქვამს,
ვითომც თათართა ირაკლის ჯარი
სულ დაამარცხეს და დაირჩინეს,
ირაკლის სისხლით შეღებეს ტკვარი.
მკითხველი კარგათ მიხვდება ამას,
რა ჯოჯოხეთის ტანჯვა დამდგარა,
როს სასახლეში ამბავს მალვიდნენ,
რომ დედოფალი არ მოკვდეს ჩქარა.
აღელდა ერი, ვაი-ვაგლახით,
რაღა დაფარავს დიდს უბედობას?
რაღა მოვგვაროთ გლახ საქართველოს,
ვინ დაასუსტებს მტერთა მძლეობას?
ამ უბედურს ხმას ეგ დაემატა:
ტკვარის ზვირთებმა სასახლის გვერდით
დამღვრჩალი ხალხი ერთობ გარიყა,
თქმული მართალს ჰგავს, სხვას რაღას ვიტყვით.
ხმა რომ გავარდა, რომ ქართველები
ზემოთ თათრებმა სულ დაამარცხეს,
რაღა თქმა უნდა, ხალხი დარწმუნდა,
ბევრი დამღვრჩალი რა თვითვე ნახეს.
მაგრამ ეგ იყო გასაკვირვალი:
ცოცხალმა მკვტარი ძმამ ძმა ვერ იცნო,
მამამ კი შვილი ვერ განარჩია,
ვერც ერთმა მისი ვერ გამოიცნო.

IX. მეფე თავს იძცევს სარდლებთან

ეხლა ცოტა ხნით ეგ აქ დავსტოვოთ
და მივუბრუნდეთ ისევ ირაკლის,
ვნახოთ, თუ ამ დროს, იქ ის რასა იქმს,
მას შევადაროთ ჭორი სასახლის.
იქ მეფეს სძღვნიან მისნი ლაშქარნი
დიდსა ალაფსა, ხონთქრის ჯარისას,
იგი ისევ მის ჯარსა ურიგებს,
ნიშნად მათისა გამარჯვებისა.
უბრძანებსთ მისთა დაახლებულთა,
დროს სატარებლად, სიცილით, თნევით:
მოდით! ფაშასა ნატრსა აუხდენ, –
ორბელიანი და, თქვენ მომყევით.
ჩემთვის ავიღო ფაშის სამოსი,
ორბელიანსა მივსცე ბეგისა,
მუხრან-ბატონსა კოხტა ბელადის
და სხვა სარდალთა მის შემდეგისა.
მე ჩავიცვამ რა ფაშის ტანთ საცმელს,
ბეგის ჩავაცვათ ორბელიანსა,
ბელადის ჯუბას მუხრან ბატონსა,
მის წელის სარტყელს კალდიმიანსა.
თითო ფესი და თითო ჯონიო,
ვიცით სხვათაც აქვთ, ამით სავსე ვართ,
მით წარმოვადგენთ თათრის და ლეკის
ჩვენთა მებრძოლთა სარდალთ წინამძღვართ.
როცა მივიდეთ ტფილისის ახლო,
მოვეწყოთ, თითქოს თათრისა ჯარი
და შეუთვალოთ ჩენსა სასახლეს
სპარსეთი არის ჩვენი საზღვარი.
სულ საქართველო ხომ ჩვენ დავიპყრეთ,
რაკი ირაკლი ჩვენ ხელთა არი,
დაგვემორჩილა, მან ჩაგვაბარა
ქალაქი, დაბა, სულ მთა და ბარი.
აგრე ინებე, ჩემო ხელმწიფევ,
მას მოახსენა ორბელიანმა,
მაგრამ შემდეგში ესეც დავმატოთ,
ინებოს თქვენმა ცნება მზიანმა.
ესენი ყველა ჩვენ მივაწვდინოთ
ტოტლებენს, თქვენზე გულით მომდურავს,
დარწმუნდეს იგი თქვენსა ძლევასა,
იცვამს ხვანთქრისას ნაცვამს, ნახურავს.
და შეუთვალოთ მასთან პატივით,
რომ უკაცრავათ, გვიან უგზავნით,
ალაფისაგან მისგან რგებულსა
ცოტა სარგებელს თათრების თავნით.
აბა, მისმა მზემ, წამოიძახა
მხნემან ხუდია ბორჩალოელმან,
იმან, რომ ჩვენთვის სისხლი დასთხია
და იგი შესვა ასპინძის ველმა.
არ თუ ფაშისა, ძვირფასსა ჯუბას,
არცა მივართმევ იანჩრის კონტრას,
რადგან მტრის ხელში ჩაგვტოვა იმან,
საითაც უნდა იქეთ მიეთრას.
აგრე, როდესაც შემდეგ იმისა,
მეფე თავის მხლით შეექცეოდა,
ქართველთა მტერი ვიღაც ოხერი,
ტფილისს ქუჩაში დაეთრეოდა.
ამან მოფინა ხმა ირაკლისთვის,
ამბობდა ქართველთ დამარცხებასა,
მაგრამ ირაკლის ღმერთი აძლევდა
ქართველთა მტერზე გამარჯვებასა.
რაღა ბევრი ვსთქვათ: ბოლოს მოვიდა
გამარჯვებისა მახარობელი,
სახლიდან სახლზე გარბის მთხრობელი,
სამადლობელსა პარაკლის სძღვნიან,
შემოსილნი სდგეს, შიგ მღვდელთ მთავრები.
მეფე შემოდის ქალაქში ჯარით,
და მიემართვის ჯერ ეკკლესიას,
იქ დაიჩოქებს მაცხოვრის წინა,
იხდის მადლობის ის მეტანიას.
პარკიდან იღებს ალმასს, მარგალიტს,
ხატთა შესწირავს მსასოებელი,
მიერ გამოდის, თავის ერს ნახავს,
მათ მოიკითხავს მეფე მძლეველი.
მერმე გამართა მეფემ ნადიმი,
დიდხანს ალხინა მისნი ერთგულნი,
გასცა სულთათვის ომში დახოცილთ,
მისცა, აღავსნა ქვრივ-დედა-წულნი.
ირაკლის ღმერთი, სიმხნე და ერი
მტრის წინააღმდეგ ყოვლით ფარავდა,
დღესაც საქებრად მეფის და ერის
ასპინძის ომი ეგრე გათავდა.

*

მხნეთა მეფეთა ხსენება ერს მუდამ აკმაყოფილებს,
მამაპაპათა ნაქნარნი – შვილებთა
დაგვაძმობილებს,
მათისა ზნისა მიყოლა – სამშობლოს
შეგვამკობინებს,
გარდავიწყება იმათი – მალე სჯულს
შეგვაცვლევინებს.

ზუგდიდი. ზსიემ 25020
1895 წელსა, თებერვალი 12
ქ.ქუთაისი

ასპინძის ბრძოლა. ნახ. სევერიან მაისაშვილისა

1 ღადარი ნაცარში. დამალული ნაკვერცხლები კი დამალული მტერი

ასპინძის ომის 250 წლისთავისთვის!

◀ დასაწყისი გვ. 1

ერეკლე მეორის სამხედრო ხელოვნება ასპინძის ბრძოლაში

დაუშალე, მაგრამ ჩემი რჩევა არ მიიღო“.

ერეკლე ქართველთა ჯარით მდ. შავი წყლის („ბორჯომკა“) გაყოლებით აწყურისაკენ დაიძრა. ტოტლებენს თავისი რაზმის ნახევარი და 6 ზარბაზანი სადგერში დაუტოვებია და მეორე დღეს, უმოკლესი გზით, აწყურისკენ წასულა. „მოკავშირე ძალები 1770 წლის 17 აპრილს ბორჯომის ხეობის გავლით მიმავალ გზაზე საკირესთან შეერთდა და შუადღისას აწყურის ციხეს ალყა ნაწილობრივ შემოარტყეს“. „აწყურა ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო – წერდა ერეკლე გოლიცინს 1770 წლის 10 მაისს, – იმისათვის, რომ, რადგან მტრის მამულს ვიყავით, უმჯობესად ეს აღმოჩნდა: მათნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებით სურსათი აქუნდათ, სულ ჩვენ მოგვეგროვებინა და შემდგომად მისისა, უკუეთუ უმჯობეს იქნებოდა, მივსულიყავით ახალციხეზედ“.

აწყურის ციხისთვის ბრძოლა დროის დაკარგვა და შეცდომა იყო, რადგან რუს-ქართველთა ჯარს საალყო ქვემეხები არ ჰქონდათ. ხოლო მცირეკალიბრიანი ქვემეხების დახმარებით ციხის იერიშით აღების ცდა, ბუნებრივია, უშედეგოდ დამთავრდებოდა. სანამ გარნიზონს საკვები, წყალი და გარედან დახმარების იმედი ჰქონდა, ციხის აღება დიდი მსხვერპლის გაღებასა და დროს ითხოვდა. აწყურის ციხის აღების ალტერნატიული გზაც არსებობდა, რომელიც მტრის ზურგში ღრმად შეჭრით და მეციხოვნე ჯარის მოწყვეტით იყო შესაძლებელი. აი, რას შეეძლო ციხის გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა. ასეთ პირობებში ციხის ალყა მცირე ძალითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარედან დახმარებას მოკლებული მოწინააღმდეგე წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა. ერეკლეს გეგმა გაბედული და სწორი იყო, რაც შემდგომმა მოქმედებებმა ცხადყო. მას უნდოდა ეს ციხე უკან მოეტოვებინა, მტრისთვის მოფიქრების საშუალება არ მიეცა და დაუყონებლივ მისი მთავარი სტრატეგიული პუნქტისთვის --- ახალციხისთვის დაერტყა, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის შემთხვევაში.

სამხედრო ტაქტიკური თვალსაზრისით, აწყურის ციხის აღება არასწორად იქნა ჩატარებული. რუსთა მოქმედებიდან ჩანს, რომ 1770 წლის 17-18 აპრილს აწყურის ციხისთვის ბრძოლა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მიმდინარეობდა. მტკვრის გაღმა არ იყო არცერთი კაცი რუს-ქართველთა ჯარისა და ახალციხიდან მომავალი გზა გადაუკეტავი იყო. რადგანაც სრული გარემოცვა არ მოხერხდა, მტერს საშუალება ჰქონდა, ციხეში შეეგზავნა დამხმარე ძალები საჭურვლითა და სურსათით. თუ ტოტლებენს ციხის აღება ნამდვილად სურდა და ეს მას შესაძლებლად მიაჩნდა, მაშინ მას ციხეზე ალყა მთლიანად უნდა შემოერტყა და არა ნაწილობრივ.

ერეკლე აწყურის გარემოცვის წინააღმდეგი იყო. ამიტომ ტოტლებენის ჯიუტი საქციელის გამო ხელი აიღო საკუთარ ინიციატივაზე და იძულებული გახდა, საქმე რუსი სარდლისთვის მიენდო. როგორც მეფის წერილებიდან ჩანს, ტოტლებენს პირობა დაუდვია, რომ ციხეს დაუყონებლივ აიღებდა. შესაძლებელია, მეფემ ჯერ კიდევ არ იცოდა რუსეთიდან ჩამოტანილი ზარბაზნების საცეცხლე შესაძლებლობები და მიენდო კიდეც ტოტლებენის დაპირებას. ერეკლე წერს, რომ „ტოტლებენმა პირობა დასდო ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართმევო, და ეს ვერ შევიტყვეთ – ვერ შეძლო თუ არ ინებაო“. რადგანაც ციხეზე მისასვლელი გზა გადაკეტილი არ იყო, ახალციხის ფაშას უსარგებლია და 18 აპრილს 2000 კაცი შეუგზავნია ციხეში. ტოტლებენი უკან დახევის სამზადისს შეუდგა, რამდენჯერმე აწყურის ციხეს ზარბაზანი ესროლა და სურამისაკენ გამობრუნდა.

სამი კვირის შემდეგ ერეკლე II რუსეთის ვიცე-კანცლერ გოლიცინს წერდა: „მე მოველ და ღრაფს დიდად ვევედრე და ჩემი თავი ვითა ერთი მისისა კომანდის აფიცერი ეგრეთ კამანდაში ვაძლივე და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ... იმ ჩემს ვედრებაზედ ორი ზარბაზანი ამოაბრუნა და ერთს მაღალ გორაზედ აიტანეს, რომელიც დიდად შორევდა მტერზედ, მუნითგან 4 - 5 ზარბაზანი ესროლა და გაბრუნდა, და აღმითქვა, რომ აქავე ახლო ერთს ბალახიან ადგილს ჩამოვხდებიო და ამ სახით გამობრუნდა“.

ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას ქართველთა ლაშქარში უწესრიგობა მოჰყოლია, ხოლო მტერი გამძვინვარებულა. „ეს გამოპარვა იარანალისა, – წერდა ერეკლე გოლიცინს, – ჩვენმა ჯარმა რა სცნა, დიდსა და გამოუთქმელსა დრტვინვასა მიეცნეს. და მტერთა, რა იხილეს და სცნეს, დიდად განიხარეს სიმხნე მიიღეს“. ერეკლეს მთელი სიმკაცრის გამოყენებით მოუხერხებია ქართველთა ლაშქარში დისციპლინის აღდგენა და ციხიდან უკან დაუხევია. გამხნევებული მტერი შეტევაზე გადმოსულა, მაგრამ ქართველთა კონტრშეტევით დამარცხებული ისევ ციხეს შეფარებია (იქვე,62). ამრიგად, სამხედრო ტაქტიკური თვალსაზრისით, არასწორად ორგანიზებულმა ალყამ მარცხი განიცადა.

სათანადო ლიტერატურის გაცნობით ირკვევა, რომ აწყურთან ტოტლებენის ღალატი სურსათის უქონლობით არ შეიძლება აიხსნას. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ერეკლე მეფის განკარგულებები (1769-1770 წლებისა) ნათლად ადასტურებენ, რომ მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა რუსეთის ჯარის მომარაგების საქმეს და მათთვის სურსათის მიყიდვა ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებით ცნობილია, რომ ერეკლე უსასყიდლოდაც აძლევდა რუსეთის ჯარს სურსათს, ამიტომ სურსათის ნაკლებობის მომიზეზება ტოტლებენს მხოლოდ 19 აპრილს მოაგონდა, რათა ბრძოლის ველის მიტოვება გაემართლებინა. 13 მაისს

ალ. სლოვანსკი, ო.ქოჩაკიძე, ი.ჩიკვაიძე - ერეკლე მეორე და ტოტლებენი

ამასვე იმეორებდა ლევიც, რათა რუსეთის მთავრობის თვალში აწყურიდან დაბრუნება გაემართლებინა. ღალატი აშკარად ჩანდა. ამის დასამტკიცებლად, გარდა ზემოხსენებულისა, მოვიყვანთ ორ მაგალითს, სადაც მოთხრობილია ერეკლე მეფესა და ტოტლებენს შორის უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზი და ხაზგასმულია ის, რომ არსებული დროისთვის რუსეთის მთავრობა ორმაგ თამაშს ეწეოდა: „ხოლო შთააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდავდნენ ღრაფ ტოტლებენს ავსა სიტყვასა“. ასევე რუსეთის ელჩის ლვოვის წინადადება ერეკლე მეფისადმი: „ვინაითგან თქვენსა და ღრაფ ტოტლებენს შორის შფოთი რამე არს შთამოვარდნილი, თუ რომ ოსმალთ არ აეშლები და ერთს რასმე სამსახურს არ დაანახვებ იმპერატრიცა ხელმწიფე ეკატერინას, უთუოდ ღრაფი შეგასმენს და არ ვარგაო. ამის რჩევით განიგულა მეფემან აშლა“.

პატივმოყვარე გენერალს სურდა რუს-ქართველთა მთელი ჯარი და თვით მეფე ერეკლეც უსიტყვოდ დამორჩილებოდა მის მიერ დასახულ მცდარ გეგმას და ბრძანებებს. ერეკლე არ იყო ისეთი სარდალი, რომ ტოტლებენის სურვილები ბოლომდე გაეთავისებინა. ბოლოს მეფის პრინციპულმა გადაწყვეტილებამ, გაელაშქრა მტერზე, ტოტლებენი აიძულა, უკან გამოჰყოლოდა. მეფისთვის ისიც გასაგები გამხდარა, თუ რატომ უღალატა ტოტლებენმა აწყურთან. ფრანგი კაპიტანი დე გრაი დე ფუა ამის შესახებ წერს: „უკან დაბრუნებულმა ტოტლებენმა „იქიდან (სურამიდან) ერეკლესთან მე გამგზავნა და დამბარა: „პური გამომელია და ქართლში დავბრუნდი მის საშოვნელადო. ერეკლემ ცივად მიმიღო“. მან სთქვა: „მე კარგად ვხედავ იმ მიზეზს, რისთვისაც მიღალატა და მიმატოვა გრაფმა. მას იმედი აქვს, რომ ამ ომში ოსმალები ბოლოს მომიღებენ... თუ თქვენ ჩემთან დარჩებით, თქვენი თვალით დაინახავთ, როგორ გაუცრუვდება იმედი გენერალს. შემდეგ ამის შესახებ შეგიძლიათ მოახსენოთ მას“

...მან (ერეკლემ) თურქ ტყვეთა დაკითხვით და ადგილობრივი ქართველების საშუალებით შეიტყო, რომ ახალციხის ფაშას განზრახული ჰქონდა, გენერალ ტოტლებენს ფეხდაფეხ უკან დასდევნებოდა და ბორჯომის ვიწრო ხეობაში მთლად გაენადგურებინა. ეს ამბავი და ახალციხის ფაშას ძალთა რაოდენობა მეფე ერეკლესთვის უცნობებია სოფ. უდის ადგილობრივ მცხოვრებს, ვინმე იაკობ გზირიშვილს. ერეკლეს მთავარი ამოცანა იყო, ახალციხეში განლაგებული ფაშას მთავარი ძალები თავისკენ მიეზიდა, რათა რუსეთის ჯარს ბორჯომის ხეობა დაეტოვებინა. რუსეთის ჯარის წასვლით იმდენად გათამამდნენ აწყურის მეციხოვნეები, რომ ოსმალეთის დელიბაშებთან (თავზეხელაღებული, კარგად გაწვრთნილი ვაჟკაცები, მეომრები) ერთად ქართველებს თავს დაესხნენ. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, მტერმა პირველი თავდასხმისთანავე 70 ქართველი მოიტაცა, ციხეში შეიყვანა და დახოცა.

გათამამებული დელიბაშები აწყურის გზაზე შეჯახებიან ქართველებს „... გზასა ზედა შეემთხვა მეფესა მხედრობა დელიბაშებისა, რომელსაც სძლო მეფემან“. მეფე ერეკლემ ლაშქარი სამ ძირითად ნაწილად განალაგა აწყურის მიდამოებში, სოფლების საყუნეთი - ტყემლანას ტერიტორიაზე. პირველ ნაწილს ალექსანდრე ციციშვილი უსარდლა და ხიდიდან მარცხნივ ახლო მდებარე ტყეში ჩაასაფრა. ციციშვილმა მიიღო დავალება, როდის უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში და რა უნდა გაეკეთებინა. მეორე ნაწილს მეფემ თავისი ვაჟი – გიორგი ჩაუყენა სათავეში და ხიდიდან მარჯვნივ სამი ვერსის (3200 მეტრი – სოფ. საყუნეთის მხარეს) მანძილზე განალაგა. მესამეს თვით ერეკლე სარდლობდა. მეფე წინ წაუძღვა თავის რაზმს, ხიდიდან ოთხი ვერსით (4264 მეტრი) უკან დაიხია და მოწინააღმდეგის პირველი დარტყმის მისაღებად გაემზადა. ახალციხის ნამირ ფაშას მიერ გამოგზავნილი თურქთა კარგად შეიარაღებული მხედრობა აწყურის ციხის მხრიდან, ერთ დროს ერეკლეს ბრძანებით აგებულ ხიდს მოადგა. მცირე ყოყმანის შემდეგ მტრის ჯარმა ხიდი გადაიარა და მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავიდა. როდესაც მათ ჩვენი ძალები ვერ დაინახეს, გზა გააგრძელეს სოფ. ტყემლანას მიმართულებით და პირდაპირ ერეკლეს რაზმის განლაგებას მიადგნენ. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა.

ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა. ამ დროს გიორგი ბატონიშვილი თავისი რაზმით თავზარდამცემი ყიჟინით ჩაერთო ბრძოლაში. მოულოდნელ დარტყმას ვეღარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა. როდესაც ციციშვილმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შედრკა და ერეკლემ მოწინააღმდეგე ხიდისაკენ უკუაქცია, გამოვიდა საფრიდან და თურქებს უკან დასახევი გზა მოუჭრა. მტერი ხიდს მოაწყდა. ხიდი რომ დაკავებული დახვდა, გადაცურვის იმედით მტკვარში გადაეშვნენ. ადიდებული მდინარე ვერცერთმა მათგანმა ვერ გადალახა. ერეკლემ დაუძახა დე გრაი დე ფუას და უთხრა: - „წადით და მოახსენეთ თქვენს გენერალს, რაც თქვენი თვალით ნახეთ, უთხარი მას, რომ არ გეღალატა, ერთ კვირაში ავიღებდით ახალციხეს-თქო, მე დავბრუნდები თბილისს და თქვენი გენერლის მოქმედების შესახებ ყველაფერს მის უდიდებულესობას იმპერატორს შევატყობინებო.“ რუსეთის სამეფოს წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი ამ ბრძოლის მონაწილე, შემდეგ წერს: „გამხნევებული 500 ცხენოსანი...გადავიდა შეტევაზე თურქებისა და ლეკების წინააღმდეგ, რომლებმაც იმ წუთშივე დაიწყეს უკან გაქცევა. ამ ბრძოლაში ერეკლეს ერთი მეომარი მოუკლეს და სამი დაუჭრეს“. მტერმა კი აწყურის მიდამოებში დიდძალი მსხვერპლი გაიღო. ნაწილი ადიდებულმა მტკვრის ტალღებმა დაახრჩო, ნაწილი კი ქართველთა ხმლით მოისრა...“

აწყურის მიდამოებში ბრძოლისას განსაკუთრებით უსახელებია თავი ხევსურთა რაზმს, რომელიც მეფე ერეკლეს მცველთა ბანაკში იმყოფებოდა. მეფის შემდეგ ამ ბრძოლის ლეგენდარულ გმირად ასახელებენ სოფ. კოლაგის მკვიდრს – ლუარსაბ ოთარის ძე ვაჩნაძეს, რომელსაც მრავალი ბრძოლის გმირად იცნობდნენ. ამ გადმოცემის სინამდვილეს ისტორიული დოკუმენტიც ადასტურებს, კერძოდ, მეფე გიორგი XII-ის წყალობის სიგელი ლუარსაბ ვაჩნაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „შენი სიყრმითაგან მრავალ ომებში სახელოვნად გარჯა, მოკვლა და ტყვეთა მორთმევა, აგრეთვე ასპინძას, დიდად რომ გაგვიჭირდა, ბატონს მამაჩვენს და ჩვენს წინ სახსოვრად ხელის გამოღება თვით ჩვენის თვალით უყურებდით, დელიბაშმა პირდაპირ შუბით პირის სახეზედ მძიმედ დაგჭრა, მაგრამ როგორც მამაცობას შვენოდა, არ უმტყუნე და თოფით ჩამოაგდე“.

მიუხედავათ ქართველების ასეთი გმირული გამარჯვებისა, მეფე ერეკლემ ზოგიერთ მიზეზთა გამო ქ. ახალციხეზე იერიშის განხორციელება ვერ გაბედა. ამრიგად ახალციხის აღების გეგმა ჩაიშალა. ბორჯომის ხეობით თბილისში დაბრუნება საშიში იყო. ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ჯერ კიდევ საბოლოოდ განადგურებული არ იყო და შესაძლოა უკან გაბრუნებული ქართველები ბორჯომის ხეობის ვიწრო გასასვლელებში გაენადგურებინათ.

მეფე ერეკლემ აწყურშივე შეიტყო ადგილობრივი (ქართველი) მოსახლეობისაგან, კერძოდ კი ნიკო ბერიძისაგან (ნიკოლოზ ბერიძე წარმოშობით ჯავახეთიდან – სოფ. კოთელიიდან, რომელიც მეგზურობას უწევდა ქართველთა ლაშქარს და თრიალეთზე გავლით ქართლისაკენ მიჰყავდა ისინი), რომ ახალციხის ფაშას ბრძანებით აწყურის ციხის მოსაშველებლად წამოსულან ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნე იანიჩრები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ასპინძის მიმართულებით ქართველებისათვის გზები შეეკრათ, ნაწილი კი აწყურის მეციხოვნეებს მიშველებოდა: „...ცუდი საქმე მოელოდა ქართველ ჯარს. იგი ეხლა ხაფანგში მომწყვდეულივით იყო, ამიტომ ახალციხის ფაშა გათამამდა და იმედი ჰქონდა, ერეკლე ეხლა ხელიდან ვეღარსად წაუვიდოდა და ისე შეანანებდა ამ თავხედ შემოჭრას ოსმალეთში, რომ მთელ სიცოცხლეში არ დაივიწყებდა. ქართველთა მხედრობას მთლად განადგურებას უპირებდა, ხოლო თვით მეფეს ტყვედ წაყვანას“.

ამრიგად, ლეკ-ოსმალთა ჯარს განზრახული ჰქონდა ქართველებისთვის ასპინძის ხეობაში გზები შეეკრა, ერთი მხრიდან – ახალქალაქ-ხერთვისის მეციხოვნეების დახვედრით, ხოლო მეორე მხრიდან – აწყურ-ახალციხის ჯარების შეტევით. მოწინააღმდეგე მეფე ერეკლეს ფეხდაფეხ დადევნებია. ამის შესახებ ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერს: აწყურის მიდამოებში „ ...იქმნა ბრძოლა ფიცხელი, ვიდრე სამ საათამდე და ლეკნი და ოსმალნი უკუდგნენ სიმაგრეთა და რუსნიც შემოვიდნენ ხეობაში სამშვიდობოს და ამისა შემდგომად მეფე ირაკლი აიყარა მასვე დღესა (19 აპრილი) და წამოვიდა ჯავახეთის მხრისაკენ მინდორზედ, გამოვლო აწყურიდამ 12 ვერსი (12792 მეტრი) და ამას ღამესა მუნ დაივანა.

ახალციხის ფაშას ქართველთა მოქმედება მხედველობიდან არ გამორჩენია. 1770 წლის 19 აპრილს ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან 1500 მებრძოლი გამოიყვანა, რათა გზა გადაეჭრა ერეკლე მეფის

→

ლაშქრისათვის ასპინძასთან. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ახალციხისა და ხერთვისის მეციხოვნეებს აწყურისაკენ წამოსვლის დროს საშინლად დაურბევიათ გზის პირას მდებარე ქართველების სოფელი ნიჯგორი. ამ სოფლის მოსახლეობა ახლომახლო გამოქვაბულებსა და ხევებში შეხიზნულა. სოფლის თავკაცის დიმიტრი ლონდარიძის ხელმძღვანელობით მამაკაცები შეკრებილან და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ. ახალქალაქისა და ხერთვისის მეციხოვნეებს რადგან ნაბრძანები ჰქონდათ ქართველთა ლაშქრისთვის ასპინძასთან გზები ჩაეკეტათ, სოფელ ნიჯგორს მალე გასცილებიან, რითაც სოფლის მოსახლეობას საფრთხე ასცილებია.

მეფე ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი სოფ. იდუმალასთანაც გამოვლინდა. მან მტერს ცხენოსანი რაზმი შეაგება. მოწინააღმდეგე შედრკა. მეფემ ბრძოლაში ახალი რაზმები ჩააბა. ქართველები მოხერხებული მაღლობი ადგილებიდან უტევდნენ ოსმალებს. ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ და არ სურდათ, ბრძოლის ველი ქართველებისთვის დაეთმოთ, მაგრამ ქართველ მებრძოლთა ახალი ძალების ბრძოლაში ჩაბმამ შედეგი გამოიღო. მტერი ერთმანეთში აირია და თავს გაქცევით უშველა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე 500 მეომარი დატოვა, დანარჩენი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო. ქართველებს მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი, რაც მათი ხელჩართული საბრძოლო ხელოვნების მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს.

აი, რას წერს ამის შესახებ ამ შეტაკების თვითმხილველი ანტონ მოურავოვი 1770 წლის 30 აპრილს გენერალ ტოტლებენს: „... სოფელ ასპინძას, მათ (ქართველებს) შეხვდათ ხუთიათასი ცხენოსანი დელიბაშის, ლევანდის ... სადაც მარცხნივ (სოფ. იდუმალასა და ოშორის) მაღალი გორებია, რომლებზედაც ზევით მისვლა ვერაფრით ვერ მოხერხდა და მარჯვნივ კი მტკვარი იყო. გორებიდან კი მდ. მტკვრამდე მანძილი იყო მხოლოდ ორი კილომეტრი, სადაც ირაკლი არჩეული ცხენოსნებით შეეჯახა მათ. თუმცა, თურქები ძალიან იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, იმათ (ოსმალებს) მიწაზე 500 მკვდარი მეომარი დარჩათ, თვითონ ირაკლის კი მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი“. იდუმალასთან ბრძოლა მთლად დამთავრებული არ იყო, როცა ერეკლეს აცნობეს, რომ ახალციხის ფაშას მიერ გამოგზავნილი სამხედრო კორპუსი ასპინძის მიმართულებით გამოჩნდა და ხიდის გადავლით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლას აპირებსო. ლეკოსმალთა ლაშქარი ახალციხის გარნიზონიდან ასპინძის მიდამოებში მოვიდა. ურავლის ხეობით, სოფლების: ჭობარეთის, ზველის, ორგორა სახუდაბელის გასწვრივ გავლით და ასპინძის ხიდზე გადასვლით.

ამ დროისათვის მეფეს თან ჰყავდა სულ 3000-მდე მეომარი. მათში იყვნენ ბორჩალოელი თათრები. განსაცდელში მყოფი, სამეფოს მოწყვეტილი, მოწინააღმდეგის დიდ ძალას უნდა დაპირისპირებოდა. ასეთ ვითარებაში თავი იჩინა სარდლის ნიჭმა. ერეკლე მეფემ კარგად იცოდა, რომ ხელსაყრელი პოზიცია, მოხერხებული საომარი ადგილი ყველაზე მეტად იყო საჭირო რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისათვის. ამიტომ ასეთი ბუნებრივი პოზიციის შერჩევას შეუდგა დაუყოვნებლივ. მეფემ ასპინძის მაღლობები ამოირჩია. აი, რას წერს ამ ადგილების შესახებ XVIII-ის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: „ამას (სველის, ანუ ლაშისხევის) ზეით ერთვის მტკვარს ასპინძის ხევი აღმოსავლეთიდამ, გამოდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არის ხიდი მტკვარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარას ბოლოს არის ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩრდილოეთით არს მგელციხე. მაგარი დიდშენი. ამავე ხევზედ ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად“. შეტაკების ადგილები მდებარეობდა დასახლებული პუნქტების – იდუმალასა და ასპინძას შუა მტკვრის მარჯვენა ნაპირას. მტკვარსა და სიმაღლეებს შორის 2 კილომეტრამდე სიგრძის ვიწრო ვაკე-ბორცვიანი ადგილი იყო დარჩენილი. „ერეკლემ ეს კლდოვანი სიმაღლეები აირჩია საომარი მოქმედებებისათვის და იქ ჩაასაფრა მებრძოლები“, რომელნიც სამ ნაწილად დაჰყო. ერთ ნაწილს თვითონ ხელმძღვანელობდა, მეორეს – ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი, ხოლო მესამეს – დავით ორბელიანი. ქართველთა საბრძოლო განლაგება თავდაცვაში ასეთი იყო: ცენტრალურ დაჯგუფებას სარდლობდა თვით მეფე, რომელიც შუა მაღლობებზე განლაგდა, მარჯვენა ფრთას – გიორგი ბატონიშვილი, რომელსაც მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდა, თავისი ლაშქრით თავდაპირველად ბრძოლაში მონაწილეობა არ მიეღო, მას თავისი ძალები გაჭირვების დროს ან იერიშის განვითარებისათვის უნდა გამოეყენებინა, როგორც რეზერვი, მარცხენა ფრთაზე კი დავით ორბელიანი იმყოფებოდა ზაალ ორბელიანთან ერთად.

ქართველ მებრძოლებს პოზიციები ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდათ დაკავებული ასპინძის მაღლობებზე, რომ თურქთა რაზმებმა გადმოსვლა დაიწყეს ხიდზე, რომელიც მტკვარზე იყო გადებული. ერეკლემ განგებ აცალა მოწინააღმდეგეს ხიდზე მებრძოლთა გადმოყვანა, რათა თავისი ტაქტიკური ჩანაფიქრი განეხორციელებინა (ვიწრობებში ძალების მანევრირების შეზღუდვა - დ. მ.) მოწინააღმდეგემ მთლად აავსო გრძელი და ვიწრო ვაკე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

დაღამდა, მცირე ნაწილი ლაშქრისა მარცხენა ნაპირზე დაბანაკდა და ბრძოლა შემდეგი დღისათვის გადაიდო. მეფე ერეკლემ, გაითვალისწინა რომ მტერს ახალი მაშველი ძალები შეემატებოდა, ამიტომ 19 აპრილს მდ. მტკვარზე ხიდი აყარა. მტკვრის მარცხენა მხარეს მტრის ლაშქრის ნაწილი და მაჰმადიანი მოსახლეობით დასახლებული მრავალი სოფელი (დიდი და პატარა ვარნეთი, ბნელა, ოსკერია, აწყვიტა, ქუნცა, როკეთი, ორგორა, სახუდაბელი, ახაშენი და სხვა) შეეცდებოდა, დახმარება აღმოეჩინათ ახალციხის ფაშასათვის ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. „მოვიდა მეფე ირაკლი ასპინძას და ასპინძის ხიდის ისრები ააყრევინა და მტკვარში. ბრძოლის წინა ღამეს ერეკლე II-მ მცირერიცხოვანი რაზმი გააგზავნა ხიდის მწყობრიდან გამოსაყვანად, რომელშიც აღაბაბ ერისთავი, სვიმონ მუხრან-ბატონის შვილი და ხუდია ბორჩალოელი მონაწილეობდნენ. ჯგუფმა მოულოდნელი თავდასხმით მცველები გაანადგურა და შეასრულა მეფის მიერ მიცემული დავალება ისე, რომ მოწინააღმდეგეს მეორე დღემდე არაფერი შეუტყვია.

ლევან სილაგაძე - მეფე ერეკლე კოხტა ბელადს უსწორდება

1770 წლის 20 აპრილს, ... მოწინააღმდეგე არ აქტიურობდა, ქართველებისგან მოელოდა შეტევის დაწყებას. მეფე ერეკლემ მტრის მოსატყუებლად სამხედრო ხერხს მიმართა: დაახლოებით 100-მდე მებრძოლი გაგზავნა მტრის მიმართულებით ცხენებზე ხურჯინგადაკიდებული, ვითომდა „სურსათ-სანოვაგის“ მოსატანად, რათა მტერი შეცდომაში შეეყვანა და ჩასაფრების ადგილიდან წამოეშალა. როგორც ირკვევა, ქართველებმა მეფის დარიგებისამებრ, ხმლების ქნევით, უკან-უკან დაიხიეს . ფაქტია, რომ თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნული ბრძოლისა, ოსმალების მიერ შეტევის დაწყებას ამტკიცებს, ამიტომ ს. ხოსიტაშვილის გადმოცემა მართებულია.

ოსმალებისა და ლეკებისაგან შემდგარმა ჯარმა წინ წაწევა და დადევნება დაიწყო. თოფით სროლის მანძილზე მიახლოებისას ერთბაშად სროლა დაიწყო, მაგრამ ჩამწკრივებულ და საფრებს ამოფარებულ ქართველებს მტერი ვერაფერს აკლებდა. ერეკლემ ახლო მანძილზე მოუშვა მოწინააღმდეგე, მისი ნიშნის შემდეგ ქართველთა თოფებმა ერთდროულად იქუხეს და მოახლოებული მტრის პირველი რიგი მოცელილი ბალახივით დაეცა. ასეთივე ბედი ეწია მეორე და მესამე რიგებსაც. იარუსებად გა ნლაგებული ქართველები სეტყვასავით ესროდნენ ტყვიას ოსმალებს, როგორც ამას ისტორიული ლიტერატურა გადმოგვცემს. ქართველები საბრძოლო უპირატესობას ფლობდნენ. მაღლობებიდან გასროლილი იარაღი მოწინააღმდეგეს მეტი სიზუსტით ანადგურებდა, რასაც ხელს უწყობდა ვიწრო ადგილმდებარეობით გამოწვეული მტრის ძალების სიმჭიდროვე და თავისუფალი მანევრირების შეზღუდვა.

მოწინააღმდეგის რიცხობრივმა სიჭარბემ თავისი გაიტანა და ქართველთა ცენტრალურ დაჯგუფებას ახალი რაზმებით შეუტია. დავით ორბელიანმა გააძლიერა მარჯვენა ფრთიდან ცეცხლის დაშენა. ერეკლე II-მ მებრძოლებს სიტყვით მიმართა: „... მხნენო ქართველნო, ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ ნახოს ... მეც აქ თქვენში ვიმყოფები. ამ გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა მებრძოლთა მორალური მდგომარეობა გააათკეცა იმ დონემდე, როცა თავდადება და სამშობლოსათვის სიკვდილი, თუ შეიძლება ითქვას, ნეტარებად მიაჩნია ადამიანს, მით უმეტეს, უმრავლესობამ იცოდა ერეკლე მეფის ბრძოლის ამბავი.

ქართველებმა მაღლობებიდან იერიში მიიტანეს. მეფის საოცარი მამაცობითა და სიმარჯვით აღტაცებაში მოსული ცხენოსანი ჯარი უმოწყალოდ ჩეხდა მოწინააღმდეგეს. მემატიანის გადმოცემით, „ერეკლემ გასწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად ვიდრე სიკვდილამდე და იყვნენ მეფისა თანამყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნიო“. ბრძოლის კულმინაციურ მომენტში მეფე ერეკლემ მოწინააღმდეგის წინამძღოლი ლეკთა ათასისთავი კოხტა ბელადი (მალაჩილა) მოკლა. XIX ს-ში სოფელ ხიზაბავრაში მცხოვრები დელე პავლიაშვილი, რომელსაც ი. ალხაზიშვილმა გამოკითხა ასპინძის ბრძოლის შესახებ, საიდანაც ვგებულობთ, რომ „მეფე ერეკლე ერთ სერზე, სადაც თათრების სასაფლაო ყოფილა, კოხტა ბელადს შეტაკებია. წამსვე კოხტას მოქნეული ხმალი ასცდა მეფეს, რადგან ცხენს მუცელზედ მოექცა. ხმალმა სუ წაიღო უნაგირის აიარ-ყაში (თავი) ... მოაჯდა მეფე ცხენს..... ერეკლემ მოუქნია ხმალი და ისე გაუარა ხმალმა რო ლეკმა ვერც-კი გაიგო ... გადასჭრა კაცი ... გიაურო ვერ მომარტყიო, მაგრამ ცოტა რო შეინძრა, ტანი ძირს ჩამოვარდა და ფეხები კი უზანგში დარჩა ... “

რაოდენ გადაჭარბებულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, დელე პავლიაშვილის მონათხრობი (მხატვრული გაფორმება), ერეკლე მეფის მიერ კოხტა ბელადის მოკვლას მრავალი ისტორიული მასალა ადასტურებს. რა გასაკვირია, რომ ამ ორთაბრძოლის მხილველი მოწინააღმდეგე შეშინდა და მათი დამარცხება შედარებით გაადვილდა. მეფის მსგავსად, მამაცურად იბრძოდნენ ქართველი მებრძოლებიც. ოსმალ-ლეკთა ლაშქარმა უკან დახევა დაიწყო. მათ მხოლოდ იმის იმედი ამხნევებდა, რომ ხიდზე გადავიდოდნენ და თავს გაქცევით მაინც უშველიდნენ.

იმ გარემოებამ, რომ უკუქცეულ მოწინააღმდეგეს ხიდი აყრილი დაუხვდა და ერთადერთი უკანდასახევი გზა მოჭრილი იყო, მათ რიგებში პანიკა გამოიწვია. იგი მორალურად დაეცა და ბრძოლის უნარი დაკარგა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე დარჩენილმა მცირერიცხოვანმა მოწინააღმდეგემ, ხიდის განადგურების გამო, მდინარის მარჯვენა მხარეს გადმოსვლა და მებრძოლებზე მიშველება ვერ შეძლო. საბოლოოდ მოწინააღმდეგე ქართველებისა და აზვირთებული მტკვრის მსხვერპლი გახდა.

ქართველებმა დაატყვევეს 56 თურქი და 1 ლეკი. ხელთ იგდეს მრავალი დროშა, ცხენი და დიდძალი იარაღი. ჩვენი მხრიდან დანაკარგი, როგორც ანალიზიდან ირკვევა 100-ს არ აღემატებოდა (რამდენიმე ათეული დაჭრილ-დახოცილის სახით). დაჭრილთა შორის მოხსენიებულია ალექსანდრე ციციშვილი და ილიასე ერისთავი.

მოწინააღმდეგის რიცხობრივი რაოდენობა ისტორიულ მასალებში სხვადასხვანაირადაა მოცემული. ნ. ბერძენიშვილის გადმოცემით – 4000, ო.ხერხეულიძის – 6000, გ. ქიქოძისა და ვ. მაჭარაძის – 8000. მიუხედავად იმისა, რომ ო. ხერხეულიძე აღწერილი პერიოდის მემატიანეა, სანდოობის თვალსაზრისით, ვ. მაჭარაძის მიერ მოძიებული დოკუმენტები უფრო სარწმუნოა.

ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე მეთაურის ჩვენებით, რვაათასიანი კორპუსიდან 4000-ზე მეტი მებრძოლის ველზე დაღუპულა, ასობით მებრძოლი წყალდიდობით აზვირთებულმა მტკვარმა დაახრჩო. დაღუპულა მოწინააღმდეგის კორპუსის სარდალი; 12 სანჯაყის მფლობელი; ყულიანის, კარცხლისა და ოლთისის ფაშები. ერეკლე II პანინისადმი გაგზავნილ წერილში მოკლულთა შორის ასახელებს – თურქთაგან: არტანბეგს, ბექირბეგს, გოლა ფაშას, შავშეთის ბეგს და სხვა. ლეკთაგან: ათასისთავს – მალაჩილას (კოხტა ბელადი), უსუფ ბელადს, ჰაჯი მამედ ბელადს და სხვა. დაღუპულად თვლიდა მეფე ყუმუხის მთავრის შვილს, სულთნის მიერ წინასწარ თბილისის ფაშად დანიშნულს, რადგან ამ უკანასკნელის ცხენი მეფეს მიჰგვარეს. ერეკლე II-სა და მის მებრძოლების გმირობის შესახებ მრავალი ლექსია დაწერილი.

ერეკლე მეფემ ტყვეთაგან ახალციხელი იზმაილ-აღა, ერზერუმელი რეჟებ-აღა და ლეკი სახელად ატა, რუსეთის სამეფო კარზე გააგზავნა. აღნიშნულით რუსეთს დაუმტკიცა, რომ, თურმე, შესაძლებელი ყოფილა ერეკლე II-ის მიერ შეთავაზებული გეგმის განხორციელება. ტოტლებენის ღალატისა და სამეფოში შექმნილი ვითარების გამო ბრძოლა ახალციხის აღებისთვის აღარ გაგრძელებულა.

ასპინძის ბრძოლაში ქართველებმა მეფე ერეკლე II-ის სარდლობით დაამარცხეს მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე. ეს ბრძოლა, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, თავდაცვითი საბრძოლო ოპერაციაა. როდესაც ერეკლემ გაიგო, რომ მტრის ჯარი აწყურისაკენ მიემართებოდა, დაასწრო მათ გადმოსვლას და თვითონ გადავიდა ასპინძაში დასახვედრად. ამ შემთხვევაში მოქმედების გეგმა ასეთი იყო, – დაესწრო მოწინააღმდეგისთვის და სრულიად მოულოდნელად თავს დასხმოდა მას. შეაფასა რა არსებული ვითარება, ოსმალებს დაასწრო და ასპინძის მაღლობები დაიკავა. ასეთი მოქმედება მისი ტაქტიკური ჩანაფიქრია. ის ვინც პირველი იკავებს ბრძოლის არიალს და მტერს ელოდება, იგი აკონტროლებს სიტუაციას. ასე მოხდა ამ ბრძოლაშიც. ეს იმითაც აიხსნება, რომ მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე მიიტანა იერიში მაღლობებზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრებულ ქართველ მებრძოლებს სამმაგი უპირატესობა გააჩნდათ:

I - წინასწარ შერჩეული ადგილი თავდაცვის კარგ საშუალებას იძლეოდა, რაც მცირე დანაკარგს გამოიწვევდა;

II - მოწინააღმდეგის ეფექტური დაზიანება სიმაღლიდან ახლო მანძილზე;

III - სწრაფი კონტრიერიშის განხორციელების შესაძლებლობა, რაც წარმატებით იქნა გამოყენებული.

როგორც ვიცით, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მებრძოლთა საბრძოლო შემართებას, რაც დამოკიდებულია იდეოლოგიასა და რწმენაზე. ერეკლე მეფემ იერიშის წინ სიტყვით მიმართა მებრძოლებს და მათი განწყობა აამაღლა, ასპინძის ხიდის გაფუჭებით გამარჯვების რწმენა განუმტკიცა.

რაკი მოწინააღმდეგემ პირდაპირი იერიშებით ვერაფერი გააწყო და დანაკარგს უშედეგოდ განიცდიდა, სავარაუდოა, გადაწყვიტა ქართველთა საბრძოლო წყობისთვის ზურგიდან მოევლო. ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად ხიდის მიმართულებით უკან დაიხია და რელიეფიდან გამომდინარე, ვიწრო დაბლობზე მოახდინა ძალების კონცენტრაცია. ამ დროს გამომჟღავნდა სარდლის ნიჭი, მან მებრძოლები კონტრიერიშზე გადაიყვანა. ოსმალ-ლეკნი დაიბნენ, ვინაიდან ასეთ მოქმედებას არ ელოდნენ. კოხტა ბელადის სიკვდილმა და ხიდის მწყობრიდან გამოყვანამ მტერი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და მორალურად დააძაბუნა, მებრძოლთა მართვა შესუსტდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოულოდნელობის ფაქტორი და ქართველებს გამარჯვება მოუტანა.

მართლაც ბრწყინვალე გამარჯვებაა.

გაგრძელება გვ.22 ▶

გიორგი ზედგინიძე

ბოლჯოების ხეობაზე, რომელიც VI–VII საუკუნეებში

როგორც ცნობილია, ირანში, არშაკუნიანთა პართული სამეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, არტავანი, შინა ბრძოლაში დაიღუპა 224 წელს (ახ.წ.აღ.-ით) და 226 წელს სასანიანთა დინასტიის დამმკვიდრებელმა არდაშირმა ხელში აიღო ძალაუფლება.

სასანიანთა დინასტიის დამკვიდრებისთანავე იწყება ირანის აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლა, რაც მიმართული იყო რომის წინააღმდეგ აზიური სამფლობელოების დასაკავებლად.

368 წელს შაჰი შაბურ II საქართველოში შემოიჭრა და იბერიის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი დაიკავა, იეზდიგერდ I (399-420) და იეზდიგერდ II-ის (438-457) დროს სპარსელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შემოტევები იბერიაზე გაბატონებისათვის, ხოლო პეროზის (459-484) მეფობის დროს, ვახტანგ გორგასალმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა სპარსელთა ბატონობისაგან იბერიის გათავისუფლებისათვის, რასაც თვითონ მსხვერპლადაც შეეწირა.

შაჰის კავადის (488-531) დროს, კერძოდ, 523 წელს, სპარსელთა ბატონობით შემძიმებული იბერია, გურგენ მეფის მეთაურობით, აჯანყებას აწყობს. არ აღმოუჩენს რა ბიზანტია სათანადო დახმარებას, გურგენი მარცხდება, რომელიც ჯერ ლაზიკაში გადადის, შემდეგ კი ბიზანტიაში მიდის ოჯახით. ქართლში (იბერიაში) სპარსელთა ბატონობით შეზღუდული მეფობა უქმდება და ქვეყნის ბატონ-პატრონად ირანის შაჰის წარმომადგენელი – მარზაპანი ხდება. ამასთან, სპარსელები ბრძოლას აწარმოებენ დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად.

ერთხანს, იბერიის ერთი ნაწილი, თბილისის დასავლეთი, ბიზანტიის ხელში გადავიდა (591), მაგრამ, შემდეგ, 606-607 წლებში, სპარსელებმა ისევ დაიკავეს ქართლის დასავლეთი ნაწილიც. ასე გაგრძელდა ვიდრე, ჰერაკლე კეისარმა 627 წელს არ აიღო თბილისი *(ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, თბ. 1951, წ.1. გვ.157).*

როგორც სომეხი ისტორიკოსების – ლაზარე ფარპეცისა და ეღიშეს ცნობებით ირკვევა, ჯერ კიდევ იეზდიგერდ II-ის დროს სპარსელებს მცხოვრებთა რიცხვის, ქონებრივი შეძლების მიხედვით აღუწერიათ სამხრეთი და მძიმე გადასახადები შეუწერიათ. მათ გადასახადი, ასე წარმოიდგინეთ, ამოვარდნილ ადგილებზეც კი დაუწესებიათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ასევე მოიქცეოდნენ მათ მიერ დაპყრობილ იბერიასა და ალბანეთშიც.

სასანიანთა დინასტიამ აღადგინა სპარსელთა ძველი სარწმუნოება (ცეცხლთაყვანისმცემლობა), ლაზარე ფარპეცისავე ცნობით, იგივე იეზდიგერდ II ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა კავკასიაში მაზდეანობა სახელმწიფო რელიგიად ექცია, რომ ამით კავკასიის ხალხები სარწმუნოებრივადაც დაეკავშირებინა სპარსეთთან (იქვე. გვ. 237-38).

ცხადია, ეკონომიური და სარწმუნოებრივი შევიწროება იბერიისა მას შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, როდესაც იბერიის ამდენ ხანს შეზღუდული მეფობა 526 წელს გაუქმებული იქნა და ქვეყნის განუყოფელი ბატონ-პატრონები სპარსელები გახდნენ.

სპარსელებმა იბერიაზე თავიანთი სამუდამო ბატონობის გასამტკიცებლად, პოლიტიკურ და ეკონომიურ დამორჩილებასთან ერთად, მიმართეს ქართველთა გამაზდეანების ცდებს. ქვეყანაში შეიქმნა ისეთივე მდგომარეობა, როგორც, უფრო გვიან, არაბთა ბატონობის დროს, რომელსაც იოანე საბანის ძე შემდეგნაირად ახასიათებს: *„ბიერით-გან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთაგანი გარდაგულარძლეს: რომელიმე მძლავრობით, რომელიმე შეტყუვილვით, რომელიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელიმე მზაკვრობით და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრობასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქეჯნილნი, ძჯრ-ძჯრად ზღვეულნი შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერითა“* (კ.კეკელიძე, *„ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა,“ თბ. 1935 წ. გვ. 58).* ქვეყნის ასეთი მდგომარეობის შესახებ ერთგვარი წარმოდგენა შეიძლება მოგვცეს ქართლის პიტიახშების – არშუშაჲს და ვარსქენის გამაზდეანების ამბავმა, ან, კიდევ, თუ მოვიგონებთ იბერიაში ჰერაკლე კეისრის მიერ მაზდეანობის აღმოფხვრის მიზნით გატარებულ ღონისძიებას, რომელმაც თბილისის, მცხეთისა და უჯარმის მიდამოებში მცხოვრებ ცეცხლთაყვანისმცემელთა მიმართ, როგორც მემატიანე გვამცნობს, *„წარჰმართა მახჯით და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლიანი დიოდეს“* (*„ქართლის მოქცევა“, ე.თაყაიშვილი გვ. 726-727).*

ქვეყანას გადაგვარება-დენაციონალიზების შიში ემუქრებოდა. სწორედ ამის წინააღმდეგ არის მიმართული ანონიმი ავტორის *„მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმინდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“*, რომელშიც უცნობმა ავტორმა, ისევე როგორც შემდეგ იოვანე საბანისძემ, ქართველთა შორის ქრისტიანული სარწმუნოებრივი გულისხმიერების გასამტკიცებლად გამოიყენა სპარსელი მოგვის შვილის გურმანდაკის, ქრისტიანობაში ევსტათეს, თავდადება ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. რომელმაც, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, ვეუან ბუზმირ მარზაპანს განუცხადა: *„მე მამული რჩული არ მიყუარდა და ვთქუ გუნებასა: ესე რჩული არა მიყუარს, ან ჰურიათაჲცა ვისმინო და ქრისტიანეთჲცა, და ტუფანოზსს, რამეთუ არა მინდობითა ღმრთისათა ცხოვნდებოდა და მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა მოყურობდა“.*

ჰერაკლე კეისარმა თბილისი რომ აიღო, მოუწოდა ბაკურ მეფის ძეს, მეფე დაჩის შთამომავალს, ადარნასეს *„მისცა ტფილისი და მთავრობა ქართლისა“*, მაგრამ *„მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი*

მორჩილების ქვეშ; ხოლო როდესაც ლეონი გარდაცვლილა, მაშინ უფროსი ძმა დაჩი თავის ნახევარ ძმა მირდატს შევაჭრებია და ლეონის წილი კლარჯეთი და ჯავახეთი მიუცია, ხოლო მისი წილი ეგრისი თვითონ დაუჭერია.

შემდეგ ჯუანშერისავე ცნობით, მეფე დაჩის შვილის შვილს მეფე ფარსმანს სპარსელთა მხარე დაუჭერია, რის გამოც *„განიკქვაბისხევსაკანი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ შვილნი დაჩისნი ჰმორჩილებდეს სპარსა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგნეს მორჩილებასა ბერძენთასა“ (იქვე, გვ. 206-07).*

ჯუანშერისავე სიტყვით, ბაკურს გარდაცვალების შემდეგ დარჩა წვრილი შვილნი, *„რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“.* შაჰმა ურმიზდმა წარმოგზავნა ქასრე ამბარვეზი, რომელმაც *„წარიბარნა ლიქნითა ერისთავნი და დაიმორჩილა ქართლის ქვეყანა, ვახტანგის ძისანი, რომელი მთავრობდეს კლარჯეთსა და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისა თა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი აფსურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა„(იქვე. გვ.217).*

ქართლის მოქცევის ჭელიშური ვარიანტიცა: „იმის ბაკურისზე დაესრულა მეფობა ქართლისა და ვითარცა მეფობა დაესრულა, ქართლის შინა სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი უვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი უვსეთსავე დვალეთს და ერთი პანჭუანს დროძოკეთსსა. და იგი მთიოლნი გომარდად დაადგინეს. და სხუა ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთსა ჴევსა და მორჩილებაჲ დასდვეს მისი“ („მოქცევა ქართლისა“).

ჯუანშერი, როდესაც ბაგრატიონების გაერისმთავრებაზე აქვს ლაპარაკი, აღნიშნავს, რომ *„ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზჰმონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳს საერისთაოსა შეუცვალებლად.*

მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისა, ვახტანგის ძისა, ბერძენის ცოლისაგან, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთსა და ჯავახეთსა“ („ქართლის ცხოვრება“, I. გვ 218).

როგორ ეს ცნობა გვაუწყებს, ბიზანტია აქაც უფლებამოსილად ჩანს კლარჯეთ-ჯავახეთის მიმართ და თავის ერთგულ მომხრე გუარამ ბაგრატიონს გზავნის ქართლის ერისმთავრად.

შემდეგ ჯუანშერი მოგვითხრობს გუარამ ბაგრატიონის ძის სტეფანოზის ერისთავობაზე, რომელიც, მისი სიტყვით, *„იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“,* რაც აშკარად მიუთითებს, რომ იგი სპარსელთა მხარეზე გადასულა, ჰერაკლე კეისრის ქართლში შემოსვლის დროსაც „ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განმაგრა ციხე-ქალაქნი და დადგა თბილისსა შინა“. თბილისის დაცვის დროს ბრძოლაში დაღუპულა სტეფანოზი, რაც მემატიანის სიტყვით, *„ამისათჳს უყო ესე ღმერთმან მას და ბოლო კლარჯეთისა, სხუა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურისძის ძემან მათვრობით“ (იქვე. გვ.222-226).*

აქედან ირკვევა, რომ ბიზანტიელებს თავიანთი გავლენის ქვეშ მყოფი კლარჯეთის მთავარი გუარამ ბაგრატიონი ქართლის (ანუ საქართველოს) ერისმთავრად დაუსვამთ, რომელსაც კლარჯეთთან ერთად ქართლიც უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ გუარამის ძის სტეფანოზის ღალატისა და მისი დაღუპვის შემდეგ, ქართლი ბაკურის ძეს – ადარნასეს მისცა ჰერაკლე კეისარმა, კლარჯეთის ნაწილი, ბოლოს, როგორც მემატიანე ამბობს, სპერი თავისთვის დაიტოვა მაინც.

როგორც ცნობილია, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ირანელებმა ბრძოლა გააჩაღეს ეგრისის დასაპყრობად, ამ ბრძოლების შესახებ უხვად გვაწვდიან ცნობებს ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებაც, აღწერილია მოლაპარაკების მიმდინარეობა, გვამცნობენ სადავო საკითხებს, კერძოდ, ფართო ყურადღებას უთმობენ კეისრის წარმომადგენლებსა და სპარსელებს შორის სვანეთზე გამართულ დავას, მაგრამ იქ არაფერია თქმული კლარჯეთისა და ჯავახეთის შესახებ, საკითხავია, რით უნდა აიხსნას ეს? აქ ორი რამ უნდა იქნას გათვალისწინებული: ერთის მხრივ, ცნობილია, რომ სპარსელები, ისევე როგორც ბიზანტიელები, ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის ქედის გაყოლებაზე არსებულ მხარეებს, მათი სურვილი იყო თავიანთი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ კავკასიის ქედის მიღმა გადასასვლელები, რომ ამით: პირველი – ჩრდილოეთიდან ხაზარებისა და ჰუნების მტრული შემოჭრისაგან დაეცვათ თავი, მეორე – როგორც ს.ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ამ დროს (562 წ.ახალი პერიოდი) ბიზანტია დაინტერესებული იყო თურქთა ქვეშევრდომი სოგდანიიდან, ირანის გვერდის ავლით, ბიზანტიაში შეეტანათ აბრეშუმი, ამის განხორციელება კი ბიზანტიას სწორედ სვანეთის უელტეხილებზე გადავლით შეეძლო, ამან გამოიწვია სწორედ, რომ ორივე მხარეს შორის უფრო მნიშვნელოვანი დათმობის პირობებში, ერთი შეხედვით ასე უმნიშვნელო მხარის – სვანეთის საკითხი ესოდენ სადავოდ იქცა *(ს.ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტ.3, გვ. 206).*

მეორეს მხრივ:

სპარსეთი როდესაც ბრძოლას აწარმოებდა კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, გადასასვლელებისა და ეგრისის ხელში ჩასაგდებად, აღარ შესწევდა ძალა ბრძოლა ეწარმოებინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად. ამით ისარგებლა ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილმა და სპარსელთა ბატონობას არ დაექვემდებარა. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ კლარჯეთი და ჯავახეთი ბიზანტიის იმდენად მკვიდრ სამფლობელოდ ითვლებოდა, რომ კეისრისა და სპარსეთის წარმომადგენლები მასზე ხმის ამოღებას საჭიროდაც არ თვლიდნენ.

სამაგიეროდ ბიზანტიურ წყაროებში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი საზავო მოლაპარაკებისას (532) იბერიიდან გაქცეულთა უკან დაბრუნების საკითხის განხილვას, ამასთან საზავო ხელშეკრულებაში შეტანილი აქვს საგანგებო მუხლი: *„იბერიიდან გაქცეულ ქართველებს, სურვილისამებრ, შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ან არა და ბიზანტიაში დარჩენილიყვნენ“ (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წ.1 გვ. 246).*

იბერიიდან ლტოლვილთა რიცხვი დიდი უნდა ყოფილიყო, რომ საზავო მოლაპარაკების განსაკუთრებულ საკითხად იქცა იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ესოდენ დიდი ყურადღება არ მიექცეოდა, ამასთან საკითხავია: სად აფარებდა თავს იბერიიდან ლტოლვილი ქართველობა? ერთი ნაწილი, უფრო დიდკაცობა, შეიძლება თვითონ ბიზანტიაში, მაგრამ, უმეტეს ნაწილს კი, უნდა ვიფიქროთ, ბიზანტიის მფარველობაში მყოფ კლარჯეთ-ჯავახეთში უნდა ეპოვა თავშესაფარი, როგორც ეს უფრო გვიან, არაბთა ბატონობის დროს მოხდა.

როგორც ჩანს, საქართველოს ამ მხარეში არამარტო მოსახლეობის განლტოლვა მომხდარა, აქვე გადაუნაცვლებია ადგილი, აგრეთვე ქრისტიანობის სარწმუნოებრივ-კულტურულ კერებსაც, განსაკუთრებით მონასტრებს. სწორედ ამაზე მიუთითებს ბასილ ზარზმელის „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, რომლის მიხედვითაც მიქელი მოწაფე იყო ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის შიოჲს საკვირველთამოქმედისაჲ.

მაგრამ მოვუსმინოთ თვითონ ავტორს:

„რამეთუ აღაშენა რა წმინდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით მიქელ და აღაშენა უწყებითა საღმრთო და მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა ადგილსა კლდიანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხს უწოდიან, ხოლო ესე სიტყვა მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთა, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველი-მოქმედისაჲ, რომელი ვითარცა მთიები განთიადისა, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“.

აქ კარგად არ არის გარკვეული, მიქელი ოპიზიდან მოვიდა და აღაშენა პარეხი, თუ ეგების ამისა, ანდრია, პეტრე და მაკარი მოვიდნენ პირველად ქართლიდან, ააშენეს ოპიზა და შემდეგ *„შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი მოვიდა და მან პარეხი ააშენა!“ (ამ ძეგლს თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია).*

ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, ამ მიქელის მოწაფე სერაპიონი კლარჯეთიდან გადმოდის სამცხეში და აშენებს ზარზმის მონასტერს, რაც სავარაუდებელია, რომ VI საუკუნის II ნახევარში ან VII საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო *(როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვამ ბასილის შრომის დაწერისა და ძეგლში აღწერილი ამბების დათარიღების საკითხში შესწორება შეიტანა, მისი შეხედულებით „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, დაწერილია VII საუკუნეში. იხ. პ.ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“.*

ჩვენ ვფიქრობთ, პატივცემული მეცნიერის მოსაზრება აღნიშნული შრომის ამგვარად დათარიღების შესახებ, სამართლიანია, გარდა მის მიერ დასახელებული ჩვენებებისა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს შემდეგიც:

1.ბასილ ზარზმელის – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ იცნობს ოპიზის პირველ მაშენებელთ – ამონას, ანდრიას, პეტრესა და მაკარს, მაგრამ არ იცნობს „ხანძთელის ცხოვრებაში“ დასახელებულ ოპიზის წინამძღოლებს – მამა სამოელს, ანდრიას და გიორგის,

არ იცნობს აგრეთვე ტაძრის მეორედ მაშენებელთ. „მატიანე ქართლისაჲ“-ში დასახელებულ გუარამსა და ტაძრის წარწერაში მოხსენებულ აშოტს. რით უნდა აიხსნას ეს? ვფიქრობთ, ეს იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ VII საუკუნის მწერალმა ბასილ ზარზმელმა კარგად იცოდა ოპიზის პირველად აშენების ისტორია, სამაგიეროდ მას არ შეიძლება ცოდნოდა VIII-IX საუკუნეების ამავე მონასტრის წინამძღვრები და მეორედ მაშენებელნი.

მერჩულე ამბობს: „ყოველთა უდაბნოთა უწინარჱს აღშენებულ არს ოპიზაო“. აკად. კ.კეკელიძის აზრით, მეორედ გურგენისა და აშოტის მიერ ოპიზაში განხორციელებული მშენებლობა 888 წელს უნდა დამთავრებულიყო, ხოლო სერაპიონი, მისი გამოანგარიშებით, 900 წელს უნდა იყოს გარდაცვლილი. მართლაც, ასე რომ ყოფილიყო, ვფიქრობთ, ბასილი უთუოდ აღნიშნავდა ოპიზაში მშენებლობის განმახორციელებელთ გურგენს თუ გუარამს და აშოტს.

ამ სავანის ისტორია ასე წარმოგვიდგება: მე-V თუ მე-VI საუკუნეში ოპიზა აშენებული იქნა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარისაგან, შემდეგ, მურვან ყრუს შემოსევების შედეგად (735-738) იგი განადგურდა, აღდგენილი იქნა გრიგოლ ხანძთელის უწინარეს, გრიგოლი რომ ოპიზაში მივიდა, მაშინ „მათ ჟამსა სხუთ მონასტერი არა შჱნ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისაჲ, ხოლო ოპიზაში გიორგი წინამძღვარი „მესამ მამაჲ იყო ოპიზისაჲ“, რაათგან სამოელ ადრე გარდაცვალებულ იყვნეს“ /ს.ყუბანეიშვილი, „ძვ. ქართ. ლიტ. ქრეტომათია“, გვ103/.

ჩრდილოეთის ეკლესიას, აქ მოხვედრა მხოლოდ შუა ეკლესიიდან შეიძლება. შენობის ცენტრალური ნავი აღემატება გვერდით სადგომებს როგორც სიგანით, ისე სიმაღლით. რის შედეგადაც ძეგლის გარეთა მასები სამნავიან ბაზილიკის სახეს ღებულობს (გ.ციციშვილი, „ქართ.არქიტ.ისტორია“, 1955. გვ.41).

ყველა ამ ეკლესიათაგანს აქვს დასავლეთის მინაშენი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკლესიების კამარებს ორ ნაწილად ყოფს განივრად დატანებული ქვის ტიხარი, კედლები ოდნავ მოპირკეთებული კვადრებით არის ნაგები. სარკმლები მეტად მცირე ზომისაა, რის გამოც ეკლესიები სუსტად არის განათებული, ამ ფართო მოცულობის შენობებს დასავლეთის მინაშენით არ გააჩნიათ მხატვრული გაფორმება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეკლესიის შიგნით თლილი ქვით გადატანილ თაღსა და ასეთივე კარ-სარკმლებს. ყოველივე ეს კი მათ ამ სასიათის ნაგებობათა უძველეს ჯგუფში ათავსებს. დასახელებული საყდრების უმრავლესობასთან (გურჯისხევი, ლიკანი, ჩითახევი, მიწის საყდარი, საკირის, ტაძრისის, ფოთოლეთის და სხვ.) გვხვდება მონასტრისთვის დამახასიათებელი ნაგებობანი: საძვალე (ბერთა სამარხი) და სამეურნეო თუ სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი შენობების ნანგრევები, რაც ცხადყოფს, რომ ისინი მონასტრებს წარმოადგენენ.

როგორც ცნობილია, სამეკლესიანი ბაზილიკების აგება ჩვენში დაიწყო VI საუკუნეში და, როგორც ირ. ციციშვილი აღნიშნავს, მალე გამოვიდა ხმარებიდან.

ლიკანისა და სხვა დარბაზული ტიპის შენობათა მშენებლობა. ამავე დროს მიეკუთვნება მთელი რიგი სამეკლესიანი ბაზილიკების აგება, ამავდროიდან დასტურდება რიგი მონასტრების: გუჯრისხევის, საკირისა და ტაძრისის, ზედა ფოთოლეთის, ლიკანის, ჩითახევისა და სხვათა არსებობა. ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო აგრეთვე თორის აღზევებაც, რაზეც სომეხი ანონიმი ავტორის გეოგრაფიული შრომა მიგვითითებს.

ამასთან, არ შეიძლება აქვე არ შევნიშნოთ, რომ ჯუანშერის მიერ ზემოთ მოყვანილ ადგილებში არაერთხელ მოხსენებულ კლარჯეთ-ჯავახეთის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა ტოპონიმიკური ერთეულები – კლარჯეთი და ჯავახეთი, არამედ მათი ჰეგემონობით გაერთიანებული სამხრეთ საქართველო, ამას ცხადყოფს მისი მონათხრობის საერო შინაარსი, განსაკუთრებით კი ის ადგილი, სადაც ვახტანგის ძის – მირდატის მიერ ჯავახეთის დაკავებაზეა ლაპარაკი: *„დაიპყრა... ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ“ (ი.ციციშვილი. დას. ლიტ. გვ.42).*

უნდა დავეყრდნოთ ისტორიული წყაროების მონაცემებს, რომ სპარსელთა ბატონობას VII ს-ში გადაურჩა კლარჯეთი, – მას მხარს უჭერს ბორჯომის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებიც. აქ, ამ მცირე ტერიტორიაზე, VI საუკუნიდან მოკიდებული ესოდენ მრავალრიცხოვანი მონასტრების არსებობა ამ მხარეში დაწყებული მძლავრი სამონასტრო მოძრაობის მაჩვენებელია, რაც, უნდა ვიფიქროთ, კარებებით უკავშირდებიან, აქ სამხრეთსა და ჩრდილოეთის ეკლესიების დასავლეთის კედლები გახსნილია და ამგვარად დასავლეთის მინაშენიდან ღია შესავლებით შეიძლება შესვლა პირდაპირ, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის ეკლესიებში.

ცენტრალური ეკლესიის ფასადი ნავს უერთდება მაღლიდან დაშვებულ კუბისებრ საფეხურებთან პილასტრებით.

ხვეწნის საყდრის ცენტრალური ეკლესიის სიგანის შემცირების ხარჯზე გაზრდილია გვერდითი ეკლესიების სიგანე ორჯერ მაინც, თუ გურჯისხევისა და სხვათა ცენტრალური ეკლესიის გულის სიგანე თითო მეტრს არ აღემატება, აქ ცენტრალური ეკლესიის სიგანე (გულის) 3 მეტრს აღემატება, ხოლო სამხრეთ ეკლესიის სიგანე გაზრდილია 2,1 მეტრამდე, ჩრდილოეთის კი 1,9 მეტრამდე.

ძველი სამეკლესიანი ბაზილიკის გადაკვეთების ცდა უწარმოებია აგრეთვე დვირის ბაზილიკის მშენებელს (სოფლის ცენტრში მდებარე ეკლესია).

დვირის სამრეკლოსთან ბაზილიკის მხოლოდ ჩრდილოეთის და ცენტრალური ეკლესიაა დაცული. სამხრეთის ეკლესიის საძირკველია შემორჩენილი, ხოლო ცენტრალური ეკლესიის სამხრეთის კედელი კი გადაკეთებულია, რაც სამხრეთის ეკლესიის მოშლის შემდეგ მომხდარა.

ცენტრალური და ჩრდილოეთის ეკლესიების შეერთებიდან როგორც ირკვევა, ცენტრალური ეკლესიის გვერდით ეკლესიებს შუა ბოძზე დაყრდნობილი წყვილი თაღით უერთდება, როგორც ეს გვაქვს ქვაბისხევის, მარიამწმინდისა და სოფ. საკირის ეკლესიაში. სარკმლებიც შიგნით ფართოდ გაშლილია. ამ ეკლესიის თაღები ქვაბისხევის მარიამწმინდასთან შედარებით ნაკლებ ჰაეროვანია, მისი კედლებიც უფრო მასიურია. საერთოდ კი შენობა უფრო ტლანქი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამგვარად, დვირის ბაზილიკის სახით ძველი სამეკლესიანი ბაზილიკების გადაკეთების კიდევ ერთ ცდასთან გვაქვს საქმე, რომელმაც განვითარება ჰპოვა ქვაბისხევის მარიამწმინდისა და საკირის საყდრებში, აგრეთვე დვირის მახლობლად მდებარე კვირიკეწმინდის უფრო დიდ ტაძარში.

ხვეწნის ტაძარი თავისი გეგმით უახლოვდება კახეთის ნეკრესის მონასტრის ეკლესიას და მისებრ VII საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. რაც შეეხება დვირის ეკლესიას, იგი VII საუკუნისა თუ არა, VIII საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

VIII-IX საუკუნეთა საზღვარზე ხეობაში აუგიათ ქვაბისხევის მარიამწმინდის და საკირის „სხნალარიის“ ტაძრებში, ხოლო IX-X საუკუნეთა საზღვარზე, აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების თეოდორესა და ქრისტეფორეს მიერ აშენებული იქნა ნეძვის და კვირიკეწმინდის ლავრები.

ამასთან, VIII-IX საუკუნეებში ქვაბისხევის მარიამწმინდისა და სხვათა სახით განხორციელებული მონასტრების მშენებლობა მიგვითითებს, რომ არაბთა ბატონობის ხანაში აქ სამონასტრო მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოებულა.

აქვე უნდა შევნიშნოთ: როგორც ცნობილია 735-738 წლებში არაბებმა, მურვან ყრუს სარდლობით, ამიერკავკასიაში დიდი ლაშქრობა მოაწყეს. მემატიანე გადმოგვცემს: *„მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია... და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“ („ქართლის ცხოვრება“ ნ.1. გვ.234).* „დავით და კონსტანტინეს ცხოვრება“ კი, რომელიც უფრო ვრცლად აღწერს მურვანის შემოჭრას საქართველოში, გვამცნობს: *„აღძრა ყოველი თესლ-ტომი და განლაშქრა ქრისტიანეთა ზედა და აღაოჴრა და მოსრა, და ტყუე ყო ქვეყანა საბერძნეთისა ვიდრე ზღუამდე, და მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელეთისა, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მამული, არეთა ჩრდილოსათა, და დაფარა პირი ქუეყანისა. და მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრჴისთა, რამეთუ იყო, მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძველ ნაქმართა მისთათჳს. მაშინ უკვე აღუძრა და წარმოვიდა სამცხით და წარმოემართა ქვეყანად არგუეთად“ („ძველი ქართ. ლიტ. ქრესტ.“ 1946, გვ.126).* შემდეგ კი მოგვითხრობს თუ როგორ დაარბია და ააოხრა ეგრისის ქვეყანა.

როგორც ცნობილია, მურვან-ყრუს ლაშქრობის მიზანი არაბთა ხალიფატის ბატონობის განმტიცება იყო ამიერკავკასიაში. მისი ლაშქრობის მარშრუტი საქართველოში ჯერ სამცხის (კლარჯეთთან ერთად) დარბევა, შემდეგ ეგრისში შეჭრა და მისი აოხრება უთუოდ მიზნად ისახავდა, პირველ რიგში, საქართველოსთვის არაბთა წინააღმდეგობის ეს ბასტიონი მოეშალა. მაგრამ, ამასთან, ეს ამბავი მიუთითებს, რომ სამცხე-კლარჯეთს ეგრისთან ერთად ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია: არ ეცნო აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული დამპყრობლები.

სამცხიდან არგვეთში გადასულ მურვან-ყრუს ლაშქარს შეუმუსრავი ბორჯომის ხეობაც ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამონასტრო მშენებლობა აქ მაინც არ ჩამკვდარა, ისევე როგორც სამცხე-კლარჯეთი, საერთოდ, მურვან-ყრუს ლაშქრობამ ვერ ჩაკლა და იგი არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ბასტიონად მაინც დარჩა.

დასასრულს შევნიშნავთ: ჩვენი მოსაზრებით, ბორჯომის ხეობაში VI-VII ს.ს.-ში განხორციელებული მშენებლობები ხომ ნაწილი უნდა იყოს, საერთოდ, სამცხე-კლარჯეთში წარმოებული მშენებლობებისა, კერძოდ, სამონასტრო მშენებლობა ხომ ამ დროს უნდა დაწყებულიყო აქ? და თუ ასეა, მაშინ რაღა მაინცდამაინც ბორჯომის ხეობაში გვაქვს ამ პერიოდის ნაგებობანი და რატომ არ შეინიშნება მათი კვალი ამ მხარის სხვა კუთხეებში?

კლარჯეთ-სამცხის სამონასტრო მოძრაობის მონაწილე

869 წლის ახლოს გუარამისა თუ გურგენ დიდის და აშოტის მიერ განხორციელებული იქნა „მეორედ აშენება“.

ამის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ საკითხს:

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს კი, რომელიც X საუკუნეში ცხოვრობდა (951 წელს აქვს დაწერილი თავისი შრომა), იცოდა ოპიზის წინამძღვარნი, გრიგოლის ოპიზაში მისვლისას რომ დახვდა და მასზე უწინარესნიც. მაგრამ, ბუნებრივია, არ ცოდნოდა პირველ მაშენებელნი – ამონა, ანდრია, მაკარი და პეტრე. რომელნიც სულ ცოტა ოთხნახევარი საუკუნით უსწრებდნენ წინ მას.

3.ბასილ ზარზმელის შრომაში არ ჩანს ის მძლავრი სამონასტრო მოძრაობა, რომელიც გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით IX საუკუნეში დაიწყო, არც ბაგრატიონთა გაერისმთავრებასა და არაბთა შემოსევების შესახებ არის რაიმე თქმული, რაც მის უწინარესობის მაჩვენებელი უნდა იყოს).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ჯერ კლარჯეთში, ხოლო შემდეგ, სამცხეში სამონასტრო მშენებლობის შესახებ.

***ლ.მენაბდე** თავის ახლახან გამოსულ შრომაში („ძველი ქართული მწერლობის კერები“) ილაშქრებს რა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ამგვარი დათარიღების წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ „ცხოვრებაში“ მოხსენებულია ფერიცვალების ხატი, პირველ რიგში აქ უნდა განვიხილოთ სამეკლესიანი ბაზილიკები, როგორიც არის ტაძრისის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამ კილომეტრზე გუჯრისხევის მონასტრის ეკლესია, ტაძრისის სამხრეთით მდებარე მონასტრის ეკლესია, საკირის ციხის სამხრეთით ფერდობზე ე.წ. მიწის საყდარი, სოფელ ახალდაბის დასავლეთით ზედა ფოთოლეთის ეკლესია, საიდანაც წაღებული კანკელი ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული (VIII ს.), ჩითახევის და ლიკანის მონასტრების ეკლესიები, დაბა ბაკურიანის „პანტნარის“ მონასტრის ეკლესია, ჭობისხევის მაცხოვრის ეკლესია /რომლის ცენტრალური ეკლესია მთლიანად დაცულია, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკლესიების მხოლოდ საძირკვლებია მოღწეული და სხვ./*

*დასახელებული საეკლესიო ნაგებობებისთვის დამახასიათებელია შენების თავისებური ტიპი: **„ახასიათებს კვადრატული გეგმა, რომელიც კედლებითაა გაყოფილი სამ ნაწილად. შიგნით სამივე ეკლესიას აქვს ნახევარწრიული აფსიდები“.** ეკლესიას ორი კარი აქვს, ერთი სამხრეთიდან, მეორე დასავლეთიდან, რაც შეეხება*

მეტად საყურადღებოა, აგრეთვე, თორისა და დაბაძველის ნადარბაზევებთან ერთად ლიკანის, პატარა და დიდი ლარების, ხვეწნის საყდრის, საკირესთან არაშენდისა და საყდრის ვაკის, ქვაბისხევის ჩრდილოეთით „კეპოს ნაჩეხის“ ნამოსახლარები; აქ გვაქვს ნაგებობათა ტიპი, სადაც რამდენიმე ოთხკუთხედი სათავსოსაგან შემდგარი შენობის კომპლექსი მთავრდება საკმაოდ მოზრდილი ცილინდრული ფორმის შენობით, რომელიც ქვის ჰორიზონტალური წყობის ნამატით შექმნილი კამარით არის გადახურული და სინათლისათვის მცირე სანათური ჭერში აქვს დატანებული.

აღნიშნულ ნაგებობათა კომპლექსის ყველა სათავსო დიდრონი, ცუდად დამუშავებული ან დაუმუშავებელი ლოდებით არის ნაგები, თუმცა ამ კომპლექსთა გეგმა სააღმშენებლო ტექნიკის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ეს დარბაზები გენეტიკურ კავშირშია უძველესი პერიოდის სახლ-დარნებთან, მისი საწყისი ფორმა, წარმოშობა, უთუოდ შორეულ წარსულს ეკუთვნის, მაგრამ ამ ძეგლების არსებობა სამეკლესიან ბაზილიკებთან (ხვეწნის საყდარი), ან სამეკლესიანი ბაზილიკების გარემოცვაში (ლიკანთან და სხვ.) ან კიდევ ადრეული პერიოდის ერთნავიან ეკლესიებთან (დიდი და პატარა ლარები) გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ნაწილი მათგანი ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანს ეკუთვნის, მაგრამ ძირითადად უნდა განეკუთვნებოდეს სამეკლესიანი ბაზილიკების პერიოდს, ე.ი. VI-VII ს.ს.-ს.

ამგვარად, როგორც ჩანს, VI საუკუნის დასაწყისიდანვე ბორჯომის ხეობაში ფართო სააღმშენებლო საქმიანობა გაშლილა. ამ დროს უნდა განხორციელებულიყო თორის, დაბაძველის, დიდი და პატარა ლარების, განპირობებული იყო ზემოთ აღნიშნული ისტორიული მოვლენებით.

საეკლესიო თუ სამონასტრო მშენებლობა ბორჯომის ხეობაში შემდეგაც არ შეწყვეტილა: ზემოთ აღნიშნულ სამეკლესიანი ბაზილიკების შემდეგ არის აგებული ხვეწნის ტაძარი (ჭობისხევიდან აღმოსავლეთით, 3,5-4 კმ-ში) და სოფელ დვირის ეკლესია.

როგორც ცნობილია *„სამეკლესიანი ბაზილიკის თემა, უბრალოდ გამწკრივებული სამი ეკლესიით (რაც საეკლესიო რიტუალით იყო გამოწვეული), რომლებიც არ შეადგენდნენ ერთ მთლიან კომპოზიციას, უმწეო აღმოჩნდა და ამ სახით, როგორც შეუფერებელი, მალე გამოვიდა ხმარებიდან. სამაგიეროდ, სამეკლესიანი ბაზილიკის საფუძველზე შემუშავდა ახალი კომპოზიცია ერთი მაღალი სადგომით და უფრო დაბალი შემოსავლელით სამი მხრიდან. ასეთი კომპოზიცია უკვე ხასიათდება მხატვრული მთლიანობითა და მეტი სიცხადით“ (იქვე).*

სწორედ სამეკლესიანი ბაზილიკის ამგვარ გადაკეთებას წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ხვეწნის საყდარი. იგი კარგად მოპირკეთებული კვადრატებით არის ნაგები.

სარკმლებისა და კარების ქვები კარგადაა დამუშავებული. ეს ეკლესია ზომებითაც განსხვავდება გუჯრისხევის, ლიკნისა და ჩითახევის სამეკლესიანი ბაზილიკისაგან. თუ პირველთა ზომა 12X12 მეტრზეა (დასავლეთის მინაშენით 12X14- ზეა). ხვეწნის საყდრის სიგრძე 12,5 მეტრია, სიგანით კი 11 მეტრი (დასავლეთის მინაშენით სიგრძე 15 მეტრამდეა). მისი სარკმლები შიგნით ფართოდ იშლება, რაც ეკლესიის უკეთ განათების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, გუჯარეთისხევის და სხვა სამეკლესიანი ბაზილიკების ეკლესიები თუ დასავლეთის მინაშენს შუა ეკლესიაში გამავალ

მაგრამ მართებული იქნება ჩვენც საწინააღმდეგო კითხვა დავსვათ: გრიგოლ ხანძთელის მიერ კლარჯეთში განხორციელებულ სამონასტრო მშენებლობამდე არსებობდა თუ არა კლარჯეთში მონასტრები?

თავი რომ დავანებოთ ამ მხარის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემებს, თვით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ საკმაო ცნობებს გვაწვდის ამ მხრივაც. ამ შრომის ავტორს გ.მერჩულეს ცნობით ოპიზა ხომ *„ყოველთა უწინარჱს აღშნებულ არს“.*

ხოლო იშხნის შესახებ მოგვითხრობს, რომ ბიზანტიიდან მობრუნებულ გრიგოლსა და საბას გამოეცხადათ იშხნის *„პირველი დიდებულება, დაბასა მისსა, – წმინდანი ეკლესიანი და ეუწყა, ვითარმდე კუალად განახლებად არს პირველებრ ჴელითა საბანისათა“ (იქვე. გვ.112).*

აქედან ცხადია, რომ გრიგოლისა და მისი მოწაფეთაგან ამ მონასტრების მშენებლობის დაწყება კი არა, არამედ განახლება მომხდარა. მაშ, ისინი გრიგოლ ხანძთელის უწინარეს ყოფილან დაარსებულნი და, აგრეთვე, განადგურებულიც. ამის მიხედვით ასე უნდა ვივარაუდოთ: VI-VII საუკუნეებში მოხდა მათი დაარსება, ხოლო შემდეგ, VIII საუკუნის 30-იან წლებში, მურვან-ყრუს შემოსევების შედეგად იქნა განადგურებული. ოპიზა მალე განუახლებიათ, დანარჩენი ორის კი გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით მომხდარა განახლებული. ბორჯომის ხეობის ძეგლებს ძირითადში გადაკეთება არ შეხებია, მათ თითქმის უცვლელად აქვს პირველადი სახე შემონახული, თუმცა ამავე საუკუნეების ძეგლებმა სამცხეში, ისევე როგორც კლარჯეთის ძეგლებმა, შემდეგ, მრავალგზის განიცადეს გადაკეთება-გაფართოება, მაგრამ არ შეიძლება მაინც მათი კვალი არ იყოს შემორჩენილი. საჭიროა ამ საკითხის შესასწავლად კვლევა-ძიების წარმართვა.

პ.ინგოროყვას დებულება, რომ „კლარჯეთი იყო ქართული განათლების, ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის მეტად მნიშვნელოვანი კერა ჯერ კიდევ ადრეულ საშუალო საუკუნეთა ხანაში, V-VII საუკუნეებში“, გავრცელებული უნდა იქნას საერთოდ სამხრეთ საქართველოზე, ამას მხარს უჭერს, ისტორიულ წყაროებთან ერთად, ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური მონაცემები.

მაშასადამე, უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველთა პოლიტიკურის და იდეური ბრძოლის თაოსნობა სამხრეთ საქართველოდან VIII-IX საუკუნეებში კი არ დაწყებულა, როგორც მიღებული იყო ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ ორი საუკუნით ადრე, – VI-VII საუკუნეებში.

ვფიქრობთ, ამ მიმართებით მუშაობის წარმართვა უთუოდ ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს.

ამირან ჯმუხაძე

რაგომ ხდება ასე?!

– გიგის გაუმარჯოს, როგორ ხარ, გენაცვალე!

გიგიმ, რომელიც თბილისის ერთ-ერთი უნბის კორპუსის წინ მოგრძო, ყავისფერ სკამზე იჯდა, თავი ასწია და შეათვალიერა კაცი, რომელმაც ის მოიკითხა:

– რა იყო, გაკვირვებული რატომ მიყურებ, ვერ მიცანი?! – ძლივს ამოილუღლუღა კოკამ.

– შენ ჩვენი ყოფილი მეზობელი არ ხარ?!

– კი, ბატონო, კოკა ვარ!

– საიდან სადაო, რა ქარმა გადმოგაგდო, შენს ძველ უბანში, ისე სიმართლე რომ გითხრა, მაინცდამაინც არ შეცვლილხარ, ცოტა ჭაღარა შეგეპარა და ეგ არის, ისიც გავიგე, რომ გერმანიაში იყავი წასული...

– კი, თორმეტი წელი იქ ვცხოვრობდი, მაგრამ იქაურობას ვერ შევეგუე, სამშობლოს მაინც ვერ შეველიე, ძალიან ვწუხდი და განვიცდიდი ყოველივეს. ერთი წელი რომ გავიდა, სხვა საფიქრალი გამიჩნდა, თბილისში სიღარიბე არ მასვენებდა, იქ კი, გერმანიაში, როცა შეძლებულად ვიგრძენი თავი, საკვირველი რამ მოხდა. ამ ვითარებამ სულ დამიკარგა მოსვენება, ვიგრძენი, რომ ძალიან მძიმე ტვირთი ყოფილა, როგორც სიღარიბე, ისე სიმდიდრეც. ორივე გადარდიანებს. კაცს, ორივე საზრუნავს გიჩენს, რა თქმა უნდა, სიღარიბე უფრო აუტანელია, მაგრამ მდიდრებსაც ცოტათი გავუგე, რაც მეტი აქვთ ქონება, მით უფრო ემატებათ საფიქრალი.

– ვერაფერს გეტყვი, არც მდიდარი ვარ და არც ღარიბი, რაც არ ვიცი, არ ვიცი. ის კი მახარებს, რომ სამშობლო გიყვარს. აბა, ზოგი წავა უცხოეთში და აქეთ გამოხედვა აღარ უნდა. ისე აქ ძალიან შეიცვალა ცხოვრება, დღევანდელი ახალგაზრდობა კი, სულ გადამრევს, ღმერთმა იცის, მათ რა უტრიალებთ თავში. ისე, სიმართლე რომ გითხრა, ასეთი ხალხი ჩემთვის უკვე უცხოები გახდნენ!

– რას ვიზამთ, ასე იყო წარსულში და ასეა დღესაც. მამათა და შვილთა ბრძოლა ყოველთვის იქნება. – მოკლედ მოუჭრა კოკამ.

– კოკა, გენაცვალე, რა ფეხზე დგახარ, მოდი სკამზე ჩამოჯექი. – ამის თქმაზე კოკამ ცოტა უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ მაინც მოერია თავს და დაბალი ხმით მიმართა:

– ამჟამად რას საქმიანობ?!

– ჯერჯერობით არაფერს, ცოტას დავისვენებ და მერე ვნახოთ.

როცა კოკა და გიგი ერთმანეთს ფიქრებს უზიარებდნენ, დროც შეუმჩნევლად გავიდა, მზე დასავლეთისკენ გადაიხარა და ჩამავალი მზის სხივებმა შუქი მოჰფინა მათ წინ მდებარე აგურით ნაშენ კორპუსს.

ცოტა ხნით ყოფილმა მეზობლებმა შეისვენეს, არცერთს ხმა არ ამოუღია.

სიჩუმე კოკამ დაარღვია:

– რაც მთავარია, არ მითხარი, როგორ გრძნობენ თავს ჩემი ყოფილი მეზობლები?!

– აბა, რა ვთქვა, ამ გაჭირვებულმა ყოფამ ყველა შეცვალა, ზოგი სად წავიდა და ზოგი სად, უმეტესობაში დარდმა და სევდამ დაისადგურა, ზოგი დაავადდა, ზოგიც, დეპრესიაში ჩავარდა, მოკლედ, მეტი რა გითხრა, ვერაფრით გაგახარებ!

– კი, მაგრამ, ამ დალოცვილებს რა დაემართათ, ამ კორპუსში ხომ თითქმის ყველა განათლებული ადამიანი ცხოვრობდა: – ფიზიკოსები, მათემატიკოსები, პოეტები, მწერლები, სასულიერო პირები, ბოლოს და ბოლოს, აკადემიკოსიც გვყვავდა.

– შენ, ჩემო კოკა, დროზე უშველე თავს, თანაც, შენ, პატიოსანი და დღესავით ნათელი კაცი ხარ და აქედან გამომდინარე, აქ უფრო გაგიჭირდებოდა ცხოვრება, მეტსაც გეტყვი, – ის, რაც ადრე იყო ჩვენს კორპუსში, ვგულისხმობ ერთმანეთის პატივისცემას და სიყვარულს, სული დაიკარგა, ყველა თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა და იქიდან თავის გამოყოფა აღარავის უნდა, ხანდახან თუ ჩამოვლენ ეზოში, ისიც, ცოტა ხნით! – წარმოთქვა გიგიმ და კოკას მიაჩერდა.

– გერმანიაში ტელევიზორში ყოველ დღე ვუყურებდი ქართულ გადაცემებს, უკვე ნათლად ჩანდა, რომ ჩვენი ქვეყნის საქმე ძალიან ცუდად იყო, მაგრამ ასეთი გაჭირვება თუ იქნებოდა, არ მეგონა. – ჩურჩულით წარმოთქვა კოკამ.

– კი, ჩემო კოკა, დღესაც ისეთი სიტუაციაა, ის საქართველო აღარ არის – „ფაფუ“, ყველაფერი ადამიანური წაიშალა – ერთმანეთის სიყვარული, მეგობრობა, ურთიერ გატანა და, რაც ყველაზე მთავარია, უმეტესობა ადამიანებისა ძალიან გულცივი გახდა.

– შენ, ალბათ, შენი ულამაზესი გოგოები გაათხოვე ხომ? – დაინტერესდა კოკა.

– ამას თუ გათხოვება ჰქვია, – ორივე უცხოელს გაჰყვა ცოლად. წავიდნენ და მორჩა! – დაამთავრა წინადადება გიგიმ და თვალებიდან ცრემლი წასკდა.

კოკამ გიგის მხარზე ნაზად დაადო ხელი და მშვიდად უთხრა: – არა უშავს, რაც მოსახდენია უნდა მოხდეს. თანაც, იმასაც დავამატებ, რომ რასაც ახლა ვიტყვი, ვინ როგორ გაიგებს, არ ვიცი, მაგრამ ადამიანი ცხოვრების ბოლოს, ანუ სიბერეში, რაც არ უნდა გარშემორტყმული იყოს შვილებით და შვილიშვილებით, მაინც მარტო რჩება. საწყენია, მაგრამ ასე ყოფილა! რეალობას ვერსად გაექცევი.

– ამ საკითხზე არასდროს მიფიქრია. ჯერ, ეტყობა, ახალგაზრდა ვარ, შენ ის მითხარი, შენი მეზობელი აკადემიკოსი როსტომი რას აკეთებს? – კვლავ შეეკითხა კოკა.

– როსტომს აქ ვინ გააჩერებდა, მაშინვე უცხოეთში მიიწვიეს ლექციების წასაკითხად, მსოფლიო დონის მეცნიერი გახდა, ჩვენი უბანი, ქალაქიც და მთლიანი საქართველოც ასახელა, ჩემს ზევით, მესამე სართულზე, ვახტანგი რომ ცხოვრობდა – მათემატიკოსი, ისიც უცხოეთში მოღვაწეობს, მაგრამ, სამწუხარო ამბავიც მოხდა – აი, შენი მეგობარი პოეტი რომ იყო, ნიკო, ის ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, თავი ჩამოიხრჩო, უბედურმა!

– რას ამბობ, კაცო, ის ხომ ძალიან ახალგაზრდა იყო? – გაიკვირვა კოკამ.

– სიკვდილმა ახალგაზრდა და მოხუცი არ იცის! – წარმოთქვა გიგიმ და კვლავ კოკას შეხედა. კოკამ კი, თავი ასწია და ხმადაბლა განაგრძო: – ჩვენი ფილოსოფოსები – რეზო და ბესო რას საქმიანობენ!

– სამწუხაროდ, მათაც სმას მიჰყვეს ხელი, ჩაიკეტნენ თავიანთ ოთახებში და გარეთ აღარ გამოდიან, ძალიან განიცდიან იმას, რომ მათი ცოლები უცხოეთში არიან გადახვეწილები, ამიტომაც არის, რომ იშვიათად თუ ჩამოდიან ეზოში, არა და, ნიჭიერები არიან, მათი ლაპარაკის მოსმენას არაფერი სჯობს!.

– ჩვენი მამაო, ელიზბარი, რას აკეთებს? ისევ ეკლესიაშია ხომ ?! – კვლავ დაინტერესდა კოკა.

– აბა, რა გითხრა, ის ხომ გადასარევი ადმიანია, სულ ცდილობს, რომ გაჭირვებულს დაეხმაროს, სწორედ ასეთი მამაოსნაირი უანგარო ხალხი სჭირდება ჩვენს ქვეყანას. საუბედუროდ, ასეთი ადამიანები სანთლით საძებარი გაგვიხდა! აგერ, ბატონო, რაღა შორს წავიდეთ, ჩვენს კორპუსში რამდენი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ მათ ვინ აფასებს. მე თუ მკითხავ, მთავრობა ქებას და დიდებას არ უნდა იშურებდეს ასეთი პიროვნებების მიმართ, მაგრამ რას ვიზამთ, ახლა ყველაფერი მამაძაღლების ხელშია. – წარმოთქვა გიგიმ და ხელი ჩაიქნია.

– ალბათ, გადაგღალეთ, ბატონო გიგი, ამდენ შეკითხვას რომ გისვამთ, მაგრამ, რა ვქნა, ძალიან მიყვარს ეს უბანი, აქ დავიბადე, აქ დავიწყე საბავშვო ბაღში სიარული, აქვე დავამთავრე სკოლა და შენ ვერ წარმოიდგენ, რა ნოსტალგია მექნება აქაურობის მიმართ. დღეს აქეთ რომ მოვდიოდი, გული აჩქარებით მიცემდა, ერთი სული მქონდა ეს ადგილი მენახა, თანაც ძალიან მინდოდა ყოფილ მეზობლებთან გასაუბრება, რომლებიც, თქვენი თქმისა არ იყოს, განსაკუთრებით, ზოგირთები, ძალიან დიდ პატივისცემას იმსახურებენ!

– კარგი კაცი ხარ, კოკა! ნეტავ შენსავით აზროვნებდეს ყველა, ახლა ადამიანების უმეტესობას ტვინი სხვანაირად აქვს მომართული, რისი გრძნობა, რის სიყვარული, მხოლოდ ფული და კარგი დროის ტარება, აი მათი ცხოვრების კრედო!.

– არ ვიცი, რა მემართება, ნერვიულობისგან პირი გამიშრა, წყლის დალევა მომინდა, – წარმოთქვა კოკამ და გიგის შეხედა.

– მეც რამ გამომაშტერა, კაცი საიდან სად მოხვედი და სახლში არ შემოგიპატიჟე. წამოდი, ჩემთან ავიდეთ, წყალსაც დაგალევინებ და კარგ ღვინოსაც, შენნაირი კაცისთვის არაფერი მენანება!

– არა, ჩემო გიგი. ისედაც ვიცი, რა ადამიანიც ხარ, შენ არაფერი შეგეშლება, ბავშვი ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ოჯახში ხელცარიელი რომ არ მოდიოდით. მუდამ ახალ-ახალი საჩუქრებით ანებივრებდით მათ, ამიტომაც გადავწყვიტე, იქით კვირას რომ გამოვალ, აუცილებლად ჩემთან უნდა წაგიყვანო, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდე, სად ვცხოვრობ!

– კარგი, შევთანხმდეთ, ასე იყოს, რაც შეეხება წყლის დალევას, ჩვენ კორპუსს საუცხოო წყლის დასალევი ადგილი აქვს. ცოტა ხნის წინ ჩვენი უბნის ახალგაზრდა ბიჭებმა ლამაზად მოპირკეთებული წითელი აგურით ნაშენი პატარა კუთხე მოაწყვეს, სადაც კარგი, ანკარა წყალი მოჩუხჩუხებს. აი, ხელმარჯვნივ გაიხედე, სულ რაღაც, ათიოდე მეტრია, იქამდე!.

– ამის გაგონებაზე კოკა სკამიდან წამოდგა, ბოდიში მოუხადა გიგის და წყლის დასალევად გაემართა. ცოტა ხანში უკან დაბრუნდა და გიგის გაკვირვებული ტონით მიმართა: – ამ ადგილს გელას წყარო რატომ ჰქვია, ალბათ, ისიც, ჩვენი მეზობლებივით, ნიჭიერებით გამოირჩეოდა, ხომ?!

– აბა, რა გითხრა, ამ ცხოვრებას რას გაუგებს კაცი, შენ მას არ იცნობდი, აქედან რომ გადახვედი, ის მაშინ, შენთან შედარებით, ბავშვი იყო, მაგრამ, როცა წამოიზარდა, უბნის კოლორიტი, ასე ვთქვათ, უბნის „მაყურებელი“ გახდა. „ძველი ბიჭები“ ძალიან დიდ პატივს სცემდნენ და, ამიტომაც, მის საპატივცემულოდ, გააკეთეს ეს ყველაფერი.

ამის თქმაზე კოკას პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ სიტყვებს თავი ვერ მოუყარა, ხმა აუკანკალდა. ამ გაგონილმა ამბავმა ძალიან ჩააფიქრა და დაანაღვლიანა კიდეც.

– რა დაგემართა, კაცო? – ჰკითხა შემკრთალმა გიგიმ.

– არაფერი ისეთი, – წაილუღლუღა კოკამ და ხელი ჩაიქნია, გიგის დაემშვიდობა და გზას გაუყვა.

გიგი გაოცებული შეჰყურებდა მიმავალ კოკას.

ვითომ მეგობრები

ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, განსაკუთრებით მამაკაცების ურთიერთობებში, ხშირად გაიგონებთ: – „ჩემი მეგობარია“, ისე რომ გააზრებულიც არა აქვთ, რას ნიშნავს ყოველივე აღნიშნული, როდის და ვის მიმართ უნდა იხმარო (გამოიყენო) იგი.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა „მეგობარი“ ასეა განმარტებული – მეგობარი – გულადი ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მოზიარე. ერთგული, სიყრმის მეგობარი.

დიახ, განმარტება ზედმიწევნით სრულყოფილია. მეგობრად მხოლოდ ის უნდა მიიჩნიო, ვინც ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, კერძოდ, ადამიანი (არა აქვს მნიშვნელობა, ქალია თუ კაცია, შენზე უმცროსია თუ უფროსი), პირველ რიგში გულადი უნდა იყოს, რომელიც არ შეუშინდება არც ძალისმიერ და არც მორალურ სირთულეებს. დაიცავს და გვერდიდან არ მოცილდება გაჭირვებაში ჩავარდნილ მისთვის ახლობელ ადამიანს (აუცილებელი არ არის სისხლისმიერი ახლობელი იყოს), ამხანაგს, რომელთან ერთადაც თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებს (ერთად შრომობენ, ისვენებენ, ვარჯიშობენ და ა.შ.).

არც თუ იშვიათად, ზემოაღნიშნულ ტერმინს ის ადამიანები იყენებენ, რომლებიც ეპირფერებიან მისთვის სასურველად გამოსაყენებელ პიროვნებას (ქონებრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო), არ აკლებენ ეპითეტებს, ელაქუცებიან, – ჩვეულებრივ მიმართვას როგორ აკადრებენ, აუცილებლად მამის სახელით (უმეტესად რუსული კალკით) მიმართავენ, იქნებ რამე გამოსტყუონ, ან მისგან რაიმე გამოიყენონ. ამას კი ისე შენიღბულად აკეთებენ (ახერხებენ), რომ მავანი, უმეტესად, ვერც კი ხვდება, რისთვის ექვევიან ასე პატივისცემით.

კარგად თუ დავუკვირდებით ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებს, ადვილად ამოვიცნობთ მსგავს ტიპაჟებს. ასეთი ადმიანები კი მანამდე ელაქუცებიან ამა თუ იმ ადამიანს, სანამ რამის გამოტყუება შეუძლიათ მისგან. როცა დაინახავენ, რომ არაფრის გამოწურვა აღარ შეუძლიათ, სალმის მიცემასაც ამადლიან, თითქოს გუშინ და გუშინწინ თვითონ არ ელაქუცებოდნენ და არ ეპირფერებოდნენ.

ცხოვრებაში ბევრ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, ბევრის მომსწრეც ვყოფილვარ და გაოცებული დავრჩენილვარ იმის გამო, თუ სადამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი.

მრავალი ფაქტიდან ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან და მკითხველი თავად დარწმუნდება, როგორი „ერთგული ადამიანები“ შეიძლება არსებობდნენ ჩვენს გარშემო.

ერთ-ერთი წარმოების მთავარი ინჟინერი (კომუნისტების ხანაში) პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე მკაცრად დასაჯეს, სასტიკი საყვედური არ აკმარეს და თანამდებობაც დაატოვებინეს.

ნირწამხდარი და ფერდაკარგული სამსახურში პირადი დოკუმენტაციის წამოსაღებად მისულა და... კაბინეტიდან გამოსულს, ერთ-ერთი საამქროს უფროსი შეხვედრია, რომელიც საქმის კურსში არ ყოფილა და ჩვეული პირფერობით, სახელითა და მამის სახელით მიუმართავს, – როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად ხართო და მისი უხასიათო მდგომარეობის გამო გაკვირვებული შუხედავს ფერდაკარგული მთავარი ინჟინრისათვის.

– ჩემო კარგო, რაიკომის ბიუროზე ვიყავი დაბარებული და კარგად შემახურესო!

– ეგ არაფერი, ჩემო ... (სახელი აღარ დაიყოლა) და მარტო მამის სახელით მოიხსენია ჯერ კიდევ „უფროსი“.

– ეჰ, მარტო მაგას რომ დასჯერებოდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ სასტიკ საყვედურთან ერთად სამსახურიდანაც გამათავისუფლესო, – ამოღერღა უილაჯოდ და თავი ჩაქინდრა.

საამქროს უფროსი, ერთ დროს ერთგულებას და მეგობრობას რომ ეფიცებოდა, იოლად ჩახვდა საქმის არსს და, ვითომ „უთანაგრძო“, – რას იზამ ბეჟო (ბეჟანი ერქვა იმ საცოდავს), ამ ცხოვრებაში არაფერი არ უნდა გაგიკვირდესო (მისი სახელი და მამის სახელიც დაავიწყდა) და ცივად გაეცალა უფლებააყრილ ყოფილ ხელმძღვანელს და დროებით „მეგობარს“.

ხედავთ, მკითხველო? – როგორი მეტამორფოზა განიცადა ხანმოკლე ურთიერთობამ! – სულ რაღაც ხუთი წუთის წინ სახელით და მამის სახელით, მოწიწებით მოიკითხა ე.წ. ყოფილმა „ქვეშევრდომმა“ და „მეგობარმა“ გუშინდელი მაღალი თანამდებობის პირი. სულ რაღაც წუთებში მხოლოდ მამის სახელით მოიხსენია, ცოტა ხანში – მამის სახელით მოხსენიებას ვინღა ჩივის, სახელი ქუჩური ტერმინით („ბეჟოთი“) მოიხსენია და ელდანაკრავივით გაეცალა. აქამდე კი, როგორც ვთქვით, ქება-დიდებას და ხოტბას არ აკლებდა.

დასკვნების გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია, ერთს კი ხაზგასმით ვიტყვი, – მიამიტობა უფრო თავის მოტყუებაა. თავკერძა ეგოისტ ადამიანებს ძლიერ სიამოვნებთ გაუთავებელი ქება, პირფერობა, მაგრამ ჭკუათმყოფელი ადამიანი ცოტას ხომ მაინც უნდა დაფიქრდეს, ვინ რატომ და რისთვის გაქებს, ხოტბას რისთვის გასხამს. ყოველივე ამას კარგად ეხმიანება ერთი ჩემი მეგობრის ლექსი:

...არც არაფერს არ ვდარდობდი,
სანატრელი არც რა მქონდა,
სათქმელს პირში ვიგუბებდი,
გულში ქარიშხალი ქროდა.
არაფერი მაშინებდა,
არც არაფრის მქონდა რიდი,
რა არ ვნახე ქვეყანაზე,
გარეწარიც, ქურდიც, ფლიდიც.
მასპინძელის ბევრის ვიყავ, –
სტუმრად მისვლას გავურბოდი,
მტყუან-მართლის ძიებაში,
არ მდომია მეხამრიდი.
დრომ თავისი გაიტანა,
არ დამინდო მაინც არა,
ტკივილისგან დავინურე,
დრომაც კი არ გამიარა...



თქმა არ უნდა, როცა კარგ საქმეს გააკეთებ და ამაგსა და შრომასაც დაგიფასებენ, გესიამოვნება, მაგრამ ზომიერება ხომ ყველგან და ყოველთვისაა საჭირო?

ქვეყანაზე უკვდავი და მუდმივი არაფერია – თანამდებობაც, ქონებრივი მდგომარეობაც, დროებითია, უფალი ყველას მიუჩენს თავის ადგილს.

ადამიანობა და კაცობა ის კი არ არის, ვინმეს ელაქუცებოდე, ეპირფერებოდე რაღაცის გამო, არამედ ადამიანობა და კაცობა ისაა, როცა მავანი ყოფილ თანამდებობის პირს ან ქონებადაკარგულს (თუ იგი ამას იმსახურებს), კვლავაც პატივისცემით მოექცევი, მოიკითხავ, გაიხსენებ მის კეთილ საქმეებს და მადლობას ეტყვი საზოგადოების სახელით. ამით შენც ამაღლდები და საზოგადოებისგან პატივმიგებული იქნები.

თურმე, როგორ უნდა იეშმაკო!

ერთ-ერთ სახელისუფლო დაწესებულებაში მუშაობისას, ზოგჯერ ისეთი არაორდინალური დავალებების შესრულება გვიწევდა, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვდა. ასეთი საქმეები, ძირითადად, ახალგაზრდა მამაკაცების კისერზე გადადიოდა. ერთხელაც, 5-6 კაცმა, დილიდან შუადღემდე, მართლაც თავდაუზოგავად ვიშრომეთ, ყველა დავალება შევასრულეთ და, შესვენებისთვის მოვემზადეთ, რომ ამ დროს შემოგვიერთდა ერთ-ერთი ახლად „მოვლენილი“ თანამშრომელი და, იმის მაგივრად, ბოდიში მოეხადა დაღლილი კოლეგებისთვის, – ობიექტური მიზეზების გამო, თქვენს გვერდით დილიდანვე ვერ ვიყავიო, – აქეთ დაგვიწყო დაცინვა, – მეტი საქმე არ მაქვს, თქვენსავით ვირივით ვიმუშაოო. ფაქტიურად, ყველას შეურაცხყოფა მოგვაყენა. ამის შემხედვარეს, ცოტა დაგვაკლდა, ფეხქვეშ გაგვეგდო ეს გარეწარი და, გამომწვევი და დამცინავი საქციელისათვის, საკადრისი პასუხი გაგვეცა.

ის იყო ხელი უნდა გვეტაცა, რომ ეს მართლაც არაადამიანი უცბად დაიხარა, ნიჩაბს ხელი დაავლო და ქვიშის წაღმა-უკუღმა გადაყრა დაიწყო. ყველამ გაოცებისაგან პირი დავაღეთ, – რა მოხდა, რა პირკატა ეცა ამ შეჩვენებულსო, – ვფიქრობდით და მიზეზს ვერ მიმხვდარიყავით.

მიზეზი კი სულ რამდენიმე წუთში გაირკვა: ამ მართლაც შეჩვენებულმა, ეშმაკეული თვალებით, შორიახლო დალანდა რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქალბატონი, რომელიც ჩვენსკენ მოემართებოდა და, ამანაც, თავისი ცბიერება და ეშმაკობა უცბად ამ ქალბატონის მოსაჩვენებლად გამოიყენა.

ეს ვაი „ხელმძღვანელიც“, რომელიც ასევე ცბიერებით და მოჩვენებითობით გამოირჩეოდა (თანამდებობაზეც ამ ხრიკებით მოხვდა) „შრომა“ დაუფასა: – ოჰ, რა ყოჩაღი ხარ, გეგა, მართლაც არ შევმცდარვართ, ჩვენთან რომ გადმოგიყვანეთო.

ამის გაგონებაზე ბიჭებს სიცილი წაგვსკდა და ქოქოლა დავაყარეთ ამ „თავგამოჩენილ“ თანამშრომელს, – ამაზე უკეთესი არავინ მოგენახოს შენს ხელქვეითებს შორის, – გულში ვფიქრობდი და ნირწამხდარი ქალბატონი „ხელმძღვანელი“ ვერაფრით ხვდებოდა თუ რატომ ვიცინოდით ამ ორივე მლიქვნელი და ცბიერი ტიპების ქმედებაზე.

სულ რაღაც ერთ თვეში ეს „თავგამოჩენილი“ თანამშრომელი ფულის საკეთებელ ერთ-ერთ დაწესებულებაში გაამწესეს დირექტორად, საიდანაც სამ თვეში კინწისკვრით გამოაგდეს სერიოზული დარღვევებისა და დანაშაულის გამო.

PS. თანამდებობაზე რომ მოხვდე ან დაგაწინაურონ, ცბიერებასთან, აფერისტობასთან და პირფერობასთან ერთად, თურმე, ვირეშმაკიც უნდა იყო!

საჩუქარი მაგინებელს

95 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ნაჯაფი, დიდი ოჯახის მქონე პაპა გარდაიცვალა.

10 შვილის გამჩენი და გამზრდელი ბებო (იმ დროს 8 შვილი სახეზე ჰყავდა), ფაქტიურად, მარტო დარჩა. მაშინ გლეხები მიზერულ პენსიას თუ იღებდნენ, სხვა დახმარებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. ერთ დროს ძლიერი და ფუძემაგარი ოჯახის დოვლათ-ბარაქა თანდათან ქრებოდა. შვილებს თავთავიანთი ოჯახები, შვილები, ზოგს შვილიშვილებიც ჰყავდათ. ვაჟები თავისი ღამის „კუკუშკების“ (მეუღლეების) შეგულიანებით მემკვიდრეობის დასაუფლებლად ემზადებოდნენ.

90 წელს მიტანებულ, ამაგდარ, მრავალშვილიან დედას, როგორ უნდა ეცოცხლა და ეცხოვრა, ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა.

თუმცა, თითქმის ყველა შვილს, მშობლებმა, რაც შეეძლოთ და ჰქონდათ, გაუნაწილეს.

მარტო დარჩენილმა ბებომ უფროს (დაძმების მოამაგეს) ვაჟიშვილს, როგორც ამაგდარ შვილს, სთხოვა, მიპატრონე და სახლსა და კარ-მიდამოს შენს სახელზე გავაფორმებო. უფროსი შვილი (დების თანხმობით) დათანხმდა შეთავაზებას, მაგრამ ძმები უკმაყოფილო დარჩნენ. ყველას, მიღებულის გარდა, კიდევ რაღაც წილი უნდოდა.

იმავე სოფელში, ცალკე, მცირე ფართის კომუნალურ ბინაში, თავისი ქმარ-შვილით, უმცროსი და ცხოვრობდა, რომელსაც მშობლებისაგან ბევრი არაფერი შეხვედრია. მიუხედავად ამისა, მამის სიცოცხლეშიც და შემდეგაც მშობლებს მოვლა-პატრონობას არ აკლებდა, მაგრამ ფინანსურად ბევრი არაფერი შეეძლო.

მამისეულ ეზო-გარემოს ნაწილში დასახლდა უმცროსი ვაჟიშვილი თავისი მეუღლით და ორი ვაჟით, მოხუცებულ დედაზე კი ნაკლებად თუ ვინმე ფიქრობდა. ყველა თავის ნაჭუჭში იხარშებოდა, თითქოს ვალდებულება მოხსნილი ჰქონდათ.

მემკვიდრეობა მიღებული უფროსი შვილი, ოჯახიანად სხვაგან ცხოვრობდა. ამდენად, მოხუცებული დედის მიმხედავი ისევ და ისევ უმცროსი ქალიშვილი იყო, რომელიც, თითქმის ყოველდღე, ყურადღებას არ აკლებდა და, ახლა, უკვე, შვილი დედას უნაწილებდა ლუკმა-პურს.

ასე ვაი-ვაგლახით გადიოდა დღეები, თვეები, წლები და, ბოლოს, ტკბილმა და უთქმელმა ბებომაც წაიღო „წერილი“ გარდაცვლილ მეუღლესთან. დაკრძალვის ფულის დიდი ნაწილიც უმცროსი ქალიშვილის სამსახურის თანამშრომლებმა შეაგროვეს (ასეთი წესი იყო, ახლობლის გარდაცვალების დროს) და ფაქტიურად ყველა ხარჯი თითქმის ამ ფულით გაისტუმრეს.

უფროსი შვილი, როგორც კი პენსიაზე გავიდა, მამაპაპურ მემკვიდრეობით მიღებულ სახლ-კარს დაუბრუნდა და ქალაქურიდან სოფლურ ცხოვრებაზე გადავიდა, თუმცა ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა და ფიზიკურადაც ვერ აუდიოდა მოძალებულ საქმეს.

იქვე მცხოვრები უმცროსი ძმა და ძმისშვილები შორიდან უყურებდნენ გაჭირვებით მოფუსფუსე ძმას და ბიძას, ნიშნის მოგებითაც ხითხითებდნენ: „აბა, რა გეგონა, სოფელში ცხოვრებაო“!

უმცროსი დის ვაჟი, რომელიც ხანდახან გაუვლიდა ხოლმე ბიძაშვილებს, ძალზე განიცდიდა უფროსი ბიძის წვალებას და 7-8 წლის ბიჭი ცდილობდა დახმარების ხელი გაეწვდინა მისთვის. განსაკუთრებით შემოდგომით, სკოლის შემდეგ, თითქმის ყოველდღე (ფაქტიურად მშიერი) გამოუვლიდა უფროს ბიძას და ხილის აკრეფა-დაბინავებაში ეხმარებოდა, შემდეგ – არყის გამოხდაშიც, მადლობას კი არავინ უხდიდა. მოქიშპე მხარე (უმცროსი ძმის ოჯახი) უარყოფით ეპითეტებსაც არ იშურებდა ბიძა-დისშვილისადმი.

ჩამთავრდებოდა შემოდგომა, შეძლებისდაგვარად დაბინავდებოდა ჭირნახული, დამშვიდდებოდა მემკვიდრეობამიღებული, ხანშიშესული პენსიონერი მეუღლეების გული და უმცროსი დაც და მისი მოამაგე შვილიც არავის ახსოვდა. ის კი არა, უფროსი, გალანძღული ბიძა, უმცროს ძმისშვილებს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს გამოუწერდა „ცოდნის“ ასამაღლებლად.

ერთი სიტყვით, ლანძღვა-გინებისთვის ძღვენს უკეთებდა მაგინებელ უმცროს ძმისშვილებს, ისინიც, უმადურები, საგინებელ სიტყვებს ადვილად იმეტებდნენ ყურადღებიანი ბიძისათვის.

ხალხური სიბრძნე გვასწავლის: „სიკეთე ჰქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდებაო“. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნუთუ მართლა ასეა?!

თემურ ხუხუნაიშვილი,
ქ.ბორჯომი

აკაკი წერეთლის დაბადების 180 წლისთავისადმი!

წინათქმა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმს 2019 წლის 24 თებერვალს სოფელ ივანწმინდაში მცხოვრებმა თეიმურაზ შუქრის ძე ენუქიძემ საჩუქრად გადმოსცა **N 754 ბარათი, რომელიც დღემდე** ჩვენთვის ცნობილი არ იყო. ბარათი იუწყება, რომ იგი გამოშვებულია „აკაკის ძეგლის ასაგებად“, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის იოსებ იმედაშვილის თაოსნობით. აქვე მითითებულია ძეგლის ამგები კომიტეტის თავმჯდომარე, მდივანი და ფულის მიმღები. ბარათი არაა გამოყენებული, რაზედაც მასზე ყუის არსებობა მიუთითებს. ბუნებრივია, დავინტერესდით, მოგვეძია ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრების“ ის** ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია აკაკის საფლავის და მასზე ძეგლის დადგმისთვის მიძღვნილი სიტუაციები, **აღნიშნულის მოძიებაში უდიდესი დახმარება გაგვიწია ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის** წიგნთსაცავის უფროსმა სპეციალისტმა თამარ ფალავანდიშვილმა, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

მკითხველებს ვთხოვთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით თუ რამე მასალა გააჩნიათ, მოგვაწოდონ.

„სად არის.... აკაკის საფლავი?“ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ **1924 წლის 1 ივნისის, N11 -ში ამ სათაურით გამოქვეყნდა** იოსებ არიმათიელის მცირე, მაგრამ მეტად მწვავე წერილი – **„ნეტავ თუ მიაგნებს კიდევ ვინმე, სად არის დაკრძალული მშობელი ერის მოზარე წინასწარმეტყველი აკაკი?“**

მთაწმინდის კალთა, მამადავითის კიდე, სადაც აკაკის ნეშტი განისვენებს, იფხვნება; **სამარეს ღორღი ჰსილავს: ცოტა ხანიც და სულ წაიშლება.**

ნუთუ იმოდენა მოვალეობის გრძნობას მაინც ვერ გამოვიჩენთ, რაოდენსაც უბრალო გლეხი იჩენს თავისი მამის მიმართ – სამარეს რომ ძეგლით შეუმკობს, მოაჯირს შემოავლებს ან ქვას დაადებს.

და მთელი ერის მამას განა ასე მივიწყება შეჰფერის? თუ მის ნაწარმოებთ ვინმე დაეპატრონა და ერთ პოემასაც არ გაიმეტებს, რომ ამით შევუმკოთ სამარე, ნუთუ აკაკის იმდენი პატივისცემელი აღარავინ გამოუჩნდება, წვლილი გამოიღოს თავისი სახელოვანი მოციქულ-მოძღვრის სამარის გასაპატიოსნებლად?

საჭიროა სულ უბრალო: რამდენიმე არშინი კედელი, რათა ღორღის დენა შეიმაგროს, სამარე გამშვენიერდეს და აღალმით (ბიუსტი) შეიმკოს.

საჭიროა დროით მივხედოთ ამ საქმეს, თორემ იქნება შემდეგმა თაობამ ამოიკვნესოს:

აკაკის საფლავს ვეძებდი,
„ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო.
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„ სადა ხარ, ჩემო სულიკო*?!“*

იოსებ არიმათიელი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ დამაარსებელი იოსებ იმედაშვილია. ჟურნალი გამოიცემოდა 1910 წლიდან, სადაც არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა აკაკის სტატიები ამა თუ იმ თემაზე.

აკაკის სამარის აღდგენისათვის აღნიშნულ ჟურნალში **1925 წლის 6-12 აპრილის N8-ში,** კვლავ იბეჭდება იოსებ იმედაშვილის სტატია – **„აკაკის სამარის აღდგენისათვის“: – „ვინ იქნება ისეთი ქართველი, თავის გულის მესაიდუმლე, სულის ტკივილთა დამაშუშებელი,** მზიური აკაკი არ ახსოვდეს: მეცხრამეტე საუკუნის დიდი მგოდებელი – მეოცის წინასწარმეტყველი, დღეის დღიურობის მომღერალი, მთაწმინდის გულს ჩახუტებული, ამ ჟამად თითქმის დავიწყებულია.

მისი სახე ვერანად ქმნილი, მთის ღორღი, საცაა წაჰნაშავს, არა თუ სულმნათი აკაკის, არამედ ცოტად თუ ბევრად ნაამაგარი ადამიანის სამარესაც. არ შეჰფერის ასეთი უყურადღებობა.

ამის თაობაზე გასულ წელსაც ვწერდით (იხ. „თ. და ც.“ N11) **ამ მიზნით,** მხოლოდ ბიკ. თევზაიამ შემოიტანა 5 მან, ხოლო ბოლო ხანებში მოზარდი თაობა

ახმაურდა აკაკის ხსოვნის ირგვლივ. ვაშა მათს გულის თქმას!

„აკაკის ხსოვნის საღამოს გამართვა ჩვენ განვიზრახეთ თებერვლის 28 - ს, საოპერო თეატრში; სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა, ვერც რუსთაველის თეატრში. ბოლოს მცირე თეატრში ვიშოვეთ ბინა და დღეს, ორშაბათს, აპრილის **6-ს იმართება დიდი** სამუსიკო – სალიტერატურო საღამო, რომლის მთელი შემოსავალი აკაკის სამარის გამშვენიერებას მოხმარდება. დარწმუნებული ვართ, აკაკის ჩანგის მოყურადენი, დიდი ხალისით დაესწრებიან ამ საღამოს და საშუალებას მოგვცემენ, ოდნავ მაინც აღვადგინოთ და შევალამაზოთ დიდი ქართლის პატარა სამარე“.

დიდებული მოვლენა

1925 წლის 23-27 აპრილს „თეატრი და ცხოვრება“ კვლავ აგრძელებს აკაკის საფლავის აღდგენისათვის საქართველოს მოსახლეობის დამოძღვრას და აღნიშნავს – **„სხვანაირად არ შემიძლიან მოვიხსენიო ის ამბავი, რომელიც აკაკის ხსოვნის გარშემო მოხდა“.**

თუმცა ამ ჩვენი ერის სიამაყის ხსოვნის აღნიშვნისათვის მჭერმემტყველურად სდუმდნენ ისინი, ვისაც ეს ევალებოდა, მშრომელმა ხალხმა მაინც შესაფერისი პატივი სცა თავის საყვარელ მგოსანს. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციის თაოსნობით გამართულ საღამოს და შემდეგ მთაწმინდაზე პანაშვიდს, აუარებელი ხალხი დაესწრო, თუმცა სასტიკი ქარი ჰქროდა.

ეს პანაშვიდი იმით უფრო იყო საყურადღებო, რომ ორატორებად გამოდიოდნენ არა ნაფიცნი ორატორნი, არამედ ხალხის შვილნი, უფრო მეტად, მოწაფენი, მოზარდი თაობა და ყველა ერთპირად აღთქმას სდებდა: შენს მცნებას სამარადისოთ გულში ვატარებთ, მას არ გადავუხვევთო!..

ვარდ-ყვავილებით მოიფინა აკაკის საფლავი, ვარდ-ყვავილად დაიცრემლნენ ჩვენი გრძნობანი, რომელნიც ათის წლის წინ მთაწმინდის წიაღში ჩასულმა მზემ დღეს აღმოაცენა!..

ჭეშმარიტად აკაკიზეა გამოჭრილი მგოსან ნ. ბარათაშვილის სიტყვები:

„საღამოს ვისთვის ჩავდივარ,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო!“

აკაკიმ ერის გულში ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ხელთუქმნელი ძეგლი აიგო, მაგრამ ეს არ კმარა; სამარეზედ უნდა აუგოთ ხილულის ძეგლი და განსვენებული მგოსნის საკრძალავი წანაშვისაგან დავიფაროთ.

ამის აღთქმა დასდო ახალმა თაობამ – ახალგაზრდობამ, თავისი ორატორების პირით.

ბნელ სამარეში დაკრძალულმა, სულმნათმა მგოსანმა თავის ირგვლივ კიდევ ერთხელ შემოიკრიბა მშრომელი ერის საუკეთესო ნაწილი – მშრომელ ხალხთან ერთად, მოზარდი თაობა და თვისი მცნებანი ღრმად გულში ჩაუნერგა...

თვითეული ია, თვითეული ყვავილი, თვითეული გვირგვინი, რომლებითაც შეამკეს მგოსნის სამარე (და ეს იყო ზღვა ყვავილ-იებისა), თვალნათლივ მეტყველებდნენ მგოსნისადმი ღრმა სიყვარულს, იმ მცნებათა მიღებას, რომელსაც დიდი აკაკი გვმოძღვრებდა.

ვაშა ამ გრძნობას, გაუმარჯოს ამ მცნებას!

აკაკის ძეგლისათვის

მაგრამ მარტო ცარიელი სიტყვები არა კმარა, მარტო ია - ვარდით ვერ მოვიხდით ჩვენს ვალს სულმნათი მგოსნის წინაშე.

ამისათვის საჭიროა საქმე და კიდევ საქმე!..

მისი ძეგლი უნდა ააგოს მთელმა ხალხმა, მოზარდმა თაობამ, იმ გლეხის ბიჭებმა და მუშის შვილებმა, რომელთაც უგალობდა და უგალობს აკაკის ჩანგი, საქართველოს ყოველი კუთხის შვილმა, ყოველი სკოლის მოწაფემ, გლეხმა და მუშამ, მოხელემ და ხელოსანმა – ყველამ, ყველამ ამ ძეგლის აგებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

და ჩვენ არ გვგონია გამოჩნდეს ისეთი გარეწარი, ისეთი შეუგნებელი, რომ ამ საამაყო საქმისათვის თავისი წვლილი არ გაიღოს შეძლების და - გვარად.

როგორც წინა ნომერშიაც ვსწერდით, აკაკის სამარის შესახებ საკითხი შარშან გაზაფხულზედვე აღვძარით (იხ. „თ. და ცხ.“ 1924 წ. N 11). ჟურნალის დროებით შეჩერების გამო ეს საქმე შეფერხდა. შემოდგომით მოწაფეობა ახმაურდა, აქა-იქ

ცოტაოდენი თანხაც მოგროვდა, მაგრამ ეს არ კმარა: მთელი თანხა ერთ ადგილს უნდა მოგროვდეს, გარდა ამისა, უნდა გამოირკვეს და თავი მოეყაროს ყველა იმ თანხას, აქ-იქ გაჩხირულს, რომელიც დღემდე აკაკის სახელით შეიკრიბა, საჭირო თანხა შესდგეს და საქმესაც დროით შევუდგეთ.

ჩვენმა რედაქციამ პირველმა დაიწყო ეს საქმე, იმედიცა გვაქვს, მთელი ხალხის, მოზარდის თაობის ხელის გამოწვდით სასურველად დავაგვირგვინოთ.

საქართველოს მშრომელო ხალხო, მოწაფეებო, ახალგაზრდებო, აკაკის ძეგლი თქვენის საკუთარი, ძალღონით უნდა აიგოს. აი, ჩვენი მოწოდება! საქმით გვიჩვენეთ გულწრფელობა და სიყვარული თქვენი უდიდესი მოძღვრის, წინასწარმეტყველისა და მამისადმი.

აკაკის პანაშვიდი სამარესთან

კვირას, აპრილის **12-ს,** მთაწმინდაზე, ჩვენი სულმნათი მგოსნის – აკაკის სამარესთან ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“**-ს** თაოსნობით, გადახდილ იქნა 10 წ. თავის სამოქალაქო პანაშვიდი. თუმცა მეტად ცივი ქარი უბერავდა, პანაშვიდმა მაინც დიდძალი საზოგადოება (განსაკუთრებით ახალგაზრდობა) მოიზიდა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყვავილებით ხელში 12 საათზე მთაწმინდისკენ მიეშურებოდა.

კარგა ხანია მამადავითის მთას ესოდენი ხალხი არ უნახავს. მაყურებელს საუცხოო სანახაობას უშლიდა ზღვა ხალხით შეფენილი მისი გზა-ხვეული. თვით მოაჯირით შემოფარგლული მოედანი ძლივს იტევდა დამსწრეთ. ხალხის ერთი ნაწილი მთაწმინდის კლდე-ბორცვებს მოსდებოდა და მაღლიდან სულ განაბული დაჰყურებდა ძვირფასს სამარეს.

„თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია სრულის შემადგენლობით ვარდ-ყვავილებით გაემგზავრა სამარისაკენ. ორ ქალს მიჰქონდა რედაქციის დაფნის გვირგვინი, შიგ გაკეთებული ყვავილების ქნარი რტოვან კალმით, წარწერით: „ მზიურ აკაკის „თეატრი და ცხოვრება“.

ქალაქის მე**-4** შრომის სკოლის მოწაფეებს თავის ხელმძღვანელებითურ დილითვე შეემკოთ ძვირფასი სამარე დიდი სურთით (ყვავილთა ქნარში), ყვავილებით გაელამაზებინათ და სამარეზე იებით დაეწერათ „აკაკი“, დაწესებულებების და ახალგაზრდა ორგანიზაციების წარმომადგენლებს თავი მოეყარათ სამარის გარშემო. კინი გეგეჭკორის, ზაქარია ხატიაშვილის და ა. მაისურაძის გუნდებს ადგილი დაეკავებინათ. არ სჩანდა მხოლოდ დების თარხნიშვილების გუნდი.

ყველა მოწიწებით და იდუმალობით აღვსილი უახლოვდებოდა სამარეს ყვავილების თაიგულებით.

შუადღის სრულს **1-ლ** საათზე დაიწყო პანაშვიდი იოსებ იმედაშვილის მქუხარე და მგრძნობიარე სიტყვით, რომელიც დამსწრეთ დანაშაულის გამოსყიდვისკენ მოუწოდებდა.

იოსებ იმედაშვილის სიტყვის დამთავრებისთანავე, ხალხმა მუხლი მოიყარა, ხოლო მე**-4 შრომის სკოლის გუნდმა ზ. ხატიაშვილის ლოტბარობით შეასრულა საგალობელი. მას მოჰყვა მთელი რიგის სიტყვებისა და გუნდების მიერ რიგით შესრულება კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის** ჰიმნის, მისივე კომპოზიციის აკაკის „ჩონგურო“ **- სი და მგოსნისავე სხვა გულსაფხან ლექსთა კონიდან, აგრეთვე კიწი გეგჭკორის და მაისურაძის კომპოზიციის.**

თვითვეულ სიმღერა-საგალობელში ჩაქსოვილი გრძნობა-სილამაზე აბზუებულ ქარის მოძახილით წუთით გავიწყებდა, რო ათმა წელმა უკვე ჩამორეკა ზარი, რაც აკაკი ჩვენთვის უხილავი შეიქმნა. გვეგონა თითქოს აგერ ახლა აბარებ მთაწმინდის კალთას მის ძვირფასს ნეშტს.

ორატორთა სია იმდენად ვრცელი აღმოჩნდა, რომ პანაშვიდი საღამომდის გასტანდა, თუ ყველა მსურველი გულს მოიფხანდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ახალგაზრდობა (და პანაშვიდის ხელმძღვანელიც უმთავრესად ნორჩ თაობას აძლევდა უპირატესობას). ეს აკაკის გულის შემპყრობი, მისი დიადი მომავლის იმედი, რომელიც მის სამარესთან ფიცს-აღთქმას სდევდა, რომ იგი გაამართლებს მგოსნის იმედს, განახორციელებს მის მცნება- ანდერძს და დღეს განახლებულ საქართველოს ძლევამოსილს გვირგვინს დაადგამს.

პანაშვიდი **3 ს.** დასრულდა.

პანაშვიდის დასრულებისას

დამსწრეებმა მთა-ბორცვებიდან იების კონები გადმოაბნიეს მგოსნის სამარეს, ხოლო ეზოში მდგომი და ქვეით მოსული ხალხი და მოწაფეობა წყება-წყება მოდიოდა მგოსნის სამარესთან, ია-ყვავილთ აფენდა, მუხლმოყრით თაყვანს სცემდა და იდუმლივ გაივლიდა. სურათი იყო დიდებული.

მასწავლებელმა ვარლამ ძიძიგურმა დამსწრე საზოგადოების სახელით გულრწფელი მადლობა გამოუცხადა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას, და მის ჭაღარა რედაქტორს იოსებ იმედაშვილს ამ დიდ საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის. მანვე აღნიშნა, რომ ქართველი ხალხისთვის იმდენად საყვარელია მგოსანი აკაკი, **რომ მთელი ახალგაზრდობა, მოწაფეობა,** მასწავლებლობა, მუშები, გლეხები, ქალი და კაცი არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს აკაკის ძეგლისათვის. ოღონდ საჭირო იყო ინიციატივა, საჭიროა შტაბი და თუ დღემდე „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მარტო თავის სახელით მოქმედებდა (**რისთვინაც** დიდი მადლობის ღირსია), ამიერიდან დამსწრე საზოგადოების დავალებით მეტი ძალა იგრძნოს და **„თეატრი** და ცხოვრების“ რედაქცია სათანადო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლებით შეავსოს რედაქციის კომიტეტი მადლიერი ადამიანისათვის შესაფერისი ძეგლის დასადგმელად.

წესიერება, რომელსაც უხუცესი მოღვაწენი იცავდნენ, სამაგალითო იყო. ამ დღემ თავის შინაარსით დამსწრე საზოგადოებაზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ იგი ხალხის აზროვნებას გადმოახალისებს, აგრძნობინებს დანაშაულის გამოსყიდვის აუცილებლობას.

კმარა სირცხვილი. მოვიხადოთ ყველამ ვალი. აუგოთ შესაფერისი ძეგლი აკაკის იქ, სადაც ამ მხრივ უზრუნველყოფილია კიდევ ჩვენი ხალხის ორი დიდი პიროვნების – ილიასი და დიმიტრის სამარე.

ა. ც.
იოსებ იმედაშვილი

აკაკის სამარესთან

მთაწმინდაზე 1925 წ. 12 აპრილს, კვირას, ბზობა დღეს, მგოსნის გარდაცვალებიდან 10 წ. **შესრულების აღსანიშნავად გამართულ სამოქალაქო პანაშვიდის დროს წარმოთქმული სიტყვა:**

აკაკისადმი

მზე ჩაუსვენებელო!.. ჩვენო სულო და გულო, აკაკი!

ათი წელი ჩამოიფურცლა, რაც პირისპირ აღარ გვათბობს შენი სუნთქვა, არ გვატკბობს შენთა მღიმარე ბაგეთა მეტყველება! ათი წელია, რაც შენი მარად სიცოცხლის მფრქვევი, მოკისკასე სახე არ დაგვთინათინებს!

ძვისფასო ჩემო! თხუთმეტი წლის წინათ გაზაფხულის მცხუნვარე მზესავით შემოანათე „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში, ხოლო ათი წლის უკან შემოდგომის დამცხარი მთვარესავით ჩაესვენე, რითაც ერთი უძლიერესი საყრდენი გამოეცალა შენს საყვარელ ჟურნალს.

მაგრამ ამაგი შენი საერთოდ ჩვენი ქვეყნისა და, კერძოდ, ჩვენი ჟურნალის წინაშე ეგოდენ ძლიერია, რომ დღესაც წინ გვიძღვის ცისარტყელად და მომავალშიც ცხოვრების ბნელ გზას შარავანდედით გაგვიშუქებს!..

ამიტომაც ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ -ს რედაქციას შენის წმინდა სამარის წინაშე მუხლთ იდრეკს და კიდევ ერთხელ აღთქმას სდევს არ უღალატოს იმ დიად მცნებათ, რომელნიც შენ გვიანდერძე სამშობლოსა, მშრომელი ხალხისა და კაცობრიობის სასიკეთოდ!..

ჩვენო სასოებავ! სულგრძელობით მოგვიტევე, თუ თავის დროზე შესაფერისად ვერ მოვხედეთ შენსა წმინდა სამარეს! - გულმავიწყობაში ნუ ჩამოგვერთმავა... – ვისთვისაც ჩანგს აჟღერებდი და ვინც გისმენდა – დღესაც შენთან არიან. ნეტავ შეგეძლოს თვალი გადაავლო ამ შენი სავანის მიდამოებს, ამ მთის კალთებს, ზედ რომ ზღვა ხალხი შეფენილა, უთვალავი მოზარდი თაობა შემოკრებილა შენი სამარის ირგვლივ, – უნუგეშობა აღარ გვმართებს: შენნი მუდამ შენთან არიან, შენთან იქნებიან და აღარ მიგატოვებენ...

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
დაჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“.

აკაკის ნეშტი და პანთეონი

პატივცემულო მოქალაქენო და ძვირფასო ამხანაგებო! უეჭველია, ჩემთან ერთად თქვენც განიცდით ამ დღის დიადობას, რომ ასე სასოებით შემოკრებილხართ.

მაგრამ ერთი მიბრძანეთ, როდემდის უნდა ვიყვნეთ თვალსეირის ხალხი? როდემდის უნდა ვიქმნეთ სიტყვით ბუქნარა – საქმით უქნარა? ჰხედავთ იმ ადგილს, სადაც აკაკის ნეშტი განისვენებს, რასა ჰგავს?!

„ვაი სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე?“

არა თუ ჩვენში, დედამიწის ზურგზე სხვაგანაც - კი არ მეგულება ისეთი უბირი ადამიანი, თავისი მახლობელი, მამის, დედის, ძმის თუ სხვა ნათესავის სამარე ასე მიივიწყოს, ერთხელ მაინც არ მოიგონოს, ერთი ხე არ დაურგას, ქვა არ დაადოს.

აკაკის სამგლოვიარო ცერემონიალი

და ამ ჩვენი ერის მამის, ჭეშმარიტ აღმზრდელს, დიდი მოჭირნახულის, პოეზიის წმინდა ქურუმის სამარეს რა დღეში ვამყოფებთ?!

იქნება ზოგნი გულს იმითი იმშვიდებთ, რომ, აცა, დაიცა, აკაკის ნეშტი აქ ვერ იდგომილებს – პანთეონში გადავიტანოთო?

სად, რომელ პანთეონში? – დიდუბეში?! – იქ პანთეონი აღარაა. ნიკოლოზის გალავანში? – არც ის... მთაწმინდამ რაღა დააშავა? იმ მთაწმინდამ, სადაც აკაკის გვერდით განისვენებენ საქართველოს ბუმბერაზივე შვილები: დიდი ილია მეცხრამეტე საუკუნის ქართველურობის შექმნილი, მეოცის მესაძიკვლე, და დიმიტრი ყიფიანი, ეს მეორე დიმიტრი თავდადებული, აგრეთვე რუსეთის პოეტ დრამატურგი ალ. გრიბოედევი და სხ.?!

მაგრამ ისეთი სასწაულიც რო მოხდეს და აკაკი, ვთქვათ, „ჰაერის პანთეონში“ გადაასვენეთ, ნუ თუ იმ ადგილს დავიწყებთ, სადაც მთელი ათი წელინადი ამ დიდი კაცის ნეშტი ასვენია? მე მწამს – სამუდამოდ თუ არა, კიდევ კარგა ხანს დარჩება აქ აკაკის ნეშტი... ნეშტიც რო გადიტანონ, სამარეზე ნიში მაინც უნდა აუგოს.

აკაკი მსოფლიო პოეტია

იქნებ სხვა მოსაზრებაა, რომ ასე მივივიწყეთ? – მე ვგრძობ ზოგიერთ კვიმატების ღიმილს, თვით კაციჭამიების გესლიან გამოხედვას: „აკაკი ნაციონალი იყო, შოვინისტიო“!

ამის არა თუ თქმას, გაფიქრებასაც - კი მხოლოდ უვიცი გაბედავს.

აკაკი ნაციონალისტი, მით უმეტეს შოვინისტი, არასოდეს ყოფილა: ფუტკარივით სამშობლო კერის მტრებს ჰნესტრავდა, ხოლო საერთო სიყვარულს, ხალხთა ერთობას თაფლსა და სანთელს უმზადებდა.... იგი იყო არა ნაციონალისტური, არამედ დიდი ნაციონალური – ეროვნული მგოსანი!

და განა ეს ეძრახება ვისმეს?

აკაკი იყო დიდი მამულიშვილი, სამშობლოს მოყვარული, მაგრამ განა ამავედროს იგი მთელ მსოფლიოს დიდკაცთა პანთეონში ამაყად, შუბლგახსნით, მღიმარედ, არ შევა, როგორც ერთი პირველთაგანი კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილი გმირი, მსოფლიო მოციქული?!

რას ნიშნავს მისი მცნება:

„ჩემი ხატია სამშობლო – სახატე მთელი ქვეყანა„?!

განა ერთა თუ სახელმწიფოთა ურთიერთობა ამაზე ძლიერ, ამაზე სწორად გამოსთქვა ვინმემ?

განა კარლ მარქსმა ეს მცნება უარჰყო?

განა ლენინი – ეს მეოცე საუკუნის კომუნისტური რევოლუციის შემქმნელი – ამასვე არ იმეორებს? ვინ გაბედავს სთქვას, რომ გარეშე ეროვნულ თვითგანვითარებისა, სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა, შესაძლოა მშრომელი ხალხის წინსვლა და მსოფლიო ბედნიერება?

ის, ვისაც სამშობლო არ უყვარს, ის ვინც თავის ქვეყანას ვერ შეიგნებს, ვერ შეიყვარებს – ის სხვებისათვისაც უსარგებლოა, უღირსია!..

რუსეთის დიდმა რევოლუციამ ერთ მთავარ მცნებად, თვისი ბელადის ლენინის ბაგით, ხომ ერთა თავისუფლებაც ჩამოაქანდაკა!

და ეს იმიტომ, რომ ისეთი მახინჯი, ვინც თავის სამშობლოს უარჰყოფს, მსოფლიო სამშობლოში – ინტერნაციონალში ცხვირსაც ვერ შეჰყოფს.


აკაკი ცოლ-შვილთან ერთად

ვინ არის აკაკი?

ჩვენ და სავავალოდ, აკაკი ჯერ შესწავლილი არ არის. მოვა დრო, მომავალი თაობა უკეთ შეიგნებს აკაკის და მაშინ იგი არა თუ ჩვენში – მთელ მსოფლიოშიც კაშკაშა მზეებრ ამობრწყინდება!..

აკაკის დიადობა იმდენად წარსულს არ ეკუთვნის, რამდენადაც მომავალს.

მხოლოდ ტვინდამბლა დაცემულნი თუ აუვლიან გვერდს ან ისინი, რომელთათვისაც პოეზია და ჭეშმარიტება ხურმის ერთ კურკადაც არ ღირს და მშვენიერება, სიყვარული და მოქალაქეობა ტვინის ღიტინად მიუჩნევიათ.

უკანასკნელი მსოფლიო საშინელი ქარტეხილის ჟამსაც კი, როცა ომმა და რევოლუციამ ძველი ღირებულებანი გააცამტვერა, – აკაკი უფრო გაკაჟდა, ამაღლდა. მისი წინასწარმეტყველება ახდა.

მოკლედ: აკაკი ჩვენი წმინდათაწმინდა, **სამშობლო მწერლობის ჯავარი, პოეზიის გვირგვინი, მსოფლიო** მოქალაქეობის ნიმუში, მშრომელთა განთავისუფლების მომღერალი, ნორჩი თაობის აღმზრდელი, უკეთესი მერმისის და წინსვლის, რწმენის სიმბოლოა. **მან ყველა ქართველის გულში სიცოცხლითვე აიგო ხელთუქმნელი ძეგლი, ჩაბალახ-ახდილი** ერის უგვირგვინო მეფედ შეიქმნა, სასოწარკვეთილების ჟამს მისი ნუგეშის მცემელი, თვითარსებობის კვერთხი და მშრომელი ერი მოვალეა ცოცხალი ძეგლი აუგოს მას.

მოქალაქენო, სააღდგომო მილოცვების დროს არ დაივიწყოთ ჩვენი დიდი მოძღვრისა და წინასწარმეტყველის, აკაკის მწირი, ობოლი სამარე: იგი ნიაღვრისაგან წაილეკება და ღორღით წაილაშება, თუ დროით არ დავიცავით კედლით.

წარმოვიდგინოთ ვითომ აკაკი სააღდგომო სახლში გეწვიათ – საამისო ხარჯის ნაათალი გადასდეთ! თქვენი სააღდგომო ხარჯებიდან ერთი მიასედი, თვითვეულ თქვენ ბავშვს თითო კვერცხი შეაწირვინეთ და ამ დიდ საქმეს უეჭველად გავაკეთებთ.

ისმინეთ ჩემი, აკაკის სამარე დაკარგვისაგან უნდა დავიცვათ, სამარეზე შესაფერი ძეგლი აღვმართოთ!

ვინც აკაკის ძეგლის ასაგებად თავის წვლილს არ გაიღებს – უფლება არა აქვს ქართველ მოქალაქედ იწოდებოდეს.

ის ერი, რომელიც თავის ნაამაგდარ წინაპართ არ აფასებს – ღირსი არ არის უკეთესი მომავალისა.

და ნურც ელის!

ის თაობა, ქვეყნის მოჭირნახულეთა ის ნაწილი, რომელიც ცოცხლათვე იღებს სიცოცხლეზე ხელს, ცოცხალთა შორის ვერ ჩაირიცხება!..

ასე რამ დაგვაძაბუნა, რა მოგვტეხა, – უუნარობა, გულგატეხილობა ხომ სულით ჯაბანთა წესია.

საქართველო ფენიქსისებრ დაიწვის ცეცხლში და განახლებული ამოკრიალდება!

მოდის ახალი საქართველო, **აკაკის ნამდვილი საქართველო: ეს არის** მშრომელთა საქართველო, თავისი ვინაობის მტკიცედ დამცველი და საერთაშორისო ძმობა-ერთობის მქადაგებელი!

ამის ნიშნები უკვე სჩანს და ვინც ამას ვერ ჰხედავს – ცოცხლითვე და სატირალია!

ჩვენ ამათგან არ ველით აკაკის ღირსეულ შეფასებას, რადგან ისინი აკაკიმ თავის სიცოცხლეშივე დაიტირა - არამედ თვითმოქმედ, მარად სიცოცხლისთვის მებრძოლი მშრომელი ხალხისგან.

აი ვინ უნდა ააგოს აკაკის ძეგლი!..

ეს ძეგლი აქამდეც უნდა დადგმულიყო აქ, სამარეზე, მაგრამ თითქოს აკაკის ბედი არა სწყალობდა: – ასე მგონია, აკაკი აქ რომ არ დაკრძალულიყო, იქნებ ეს კედელი მაშინ უფრო გაევლოთ და კლდის რღვევა მაინც შეეჩერებინათ:

ხოლო თუ ჩვენ წარმომავალი თაობა, ჭაღაროსანი ხალხი, დღიურ ზრუნვაში ჩაფლული ამ დიდი საქმისთვის ვერ მოვიცლით (და უნდა მოვიცალოთ კი!) მაშინ, თქვენ მაინც ნუ დაივიწყებთ ამ დიად საქმეს, თქვენ – ახალგაზრდებო, აკაკის სულის ყვავილებო, ბავშვებო, პატარა გოგონებო და ბიჭუნებო, ჩვენი მომავლის ნუგეშნო, ია-ვარდებივით რომ შეჰფენიხართ ამ ფერდოებს, ყოველდღე იზრუნეთ აკაკის ძეგლის აგებისათვის!

ქალებო, – თქვენ მუდამ უყვარდით სულმნათ აკაკის, როგორც ფუძენი ერისა და მომავალი თაობის აღმზრდელი! – თავი გამოიდეთ და აკაკის ძეგლიც აიგება!

დღეს ეს ძნელი არ არის, იმიტომ, რომ მშრომელი ხალხის ხელისუფლება, ხელისუფლება მუშე-

ბისა და გლეხებისა, რომელთა გათვითცნობიერებას და გაღვიძებას მთელი სიცოცხლე შემლეროდა აკაკი, დღეს ძვირფასი მგოსნის წინაშე ვალმოუხდელი არ დარჩება, განსაკუთრებით ჩვენი დედაქალაქი, რომლის სათავეში სდგას გლეხის შვილი, მუშა, მდაბიო წრიდან გამოსული, თვით განვითარებული, აკაკის ნაწერებზე აღზრდილი დიდი მოქალაქე. (ხმა: სუხიშვილი?) **დიაღ, მართალია, ლადო სუხიშვილზე მოგახსენებთ!**

ქალნო და კაცნო, ჭაბუკნო და ბავშვნო, მუშა-გლეხნო, მოხელენო და მოწაფენო, თქვენის სახით მოვუხმობ მთელ საქართველოს და იმედი მაქვს ხმა ჩემი არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. არ დარჩება არც ერთი ადამიანი, რომ არ გამოგვეხმაუროს! ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელოვნო, სამრეწველნო, საბანკო და სხვა დაწესებულებებმაც...

აქ – აკაკის სამარეზე ნამდვილი ბაღნარი უნდა გაიმართოს:კლდის რღვევა კედლით გამაგრდეს, ძეგლი დაიდგას!

და ეს ძეგლი დაიდგმება კიდეც! ..

დასასრულ, მართალია, თითოეული თქვენგანისათვის ძვირფასია აკაკი, მაგრამ ვინაიდან თქვენ ჩვენის რედაქციის მოწოდებისამებრ ამობრძანდით ამ სასტიკ ქარში, და ჩვენი სასიქადულო თანამშრომლის ხსოვნას ჩვენს მოწოდებაზე ღირსეული პატივი ეცით, – ამიტომ უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ...

ამასთან ერთსაც გთხოვთ: ამ თვალსეირით არ დავკმაყოფილდეთ, არამედ ნივთიერი წვლილიც გამოვიღოთ ძეგლის აგებისათვის!

ახლა მაინც გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაული სულმნათი მგოსნის წინაშე... ხუთმეტი წლის წინად ტფ. გუბ. თავადაზნაურობამ თუ შესძლო და ილიას ძეგლი დაუდგა. დღეს მთელი ქართველი მშრ. ერი უფრო შეიძლებს ამას.

საუკუნო ხსენება აკაკი დიდს, გამარჯვება მის მშობელ ერსა, ვაშა მის მცნებათა აღმსურვებელს!

აკაკის საღამო

(შთაბეჭდილებანი)

ორი თვის ლოდინის შემდეგ, 6 აპრილს, ორშაბათს, როგორც იქნა, ვეღირსეთ დიდი მგოსნის, ხალხის სულის მესაიდუმლის და წინასწარმეტყველის, აკაკის საღამოს....

„მცირე თეატრის“ დარბაზი ხალხით გაჭედილია, ბევრი ფეხზე სდგას.

9 საათზე ფარდა აიხადა. საღამოს ხელმძღვანელმა იოსებ იმედაშვილმა დამსწრე საზოგადოებას, აკაკის პატივის მცემელთ მოახსენა, ბოდიშისებურათ, რომ ასეთი დიდი მგოსნის საღამო, მცირე თეატრის პატარა დარბაზში იმართებაო და დასძინა, აკაკი ხომ სიცოცხლეშიაც უბრალოების, სისადავის მოყვარული იყო და ახლაც ეს ბედი ხვდაო... მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ: აკაკი სასახლესა და ქოხშიაც აკაკად დარჩებაო. შემდეგ მოუხმო საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მგოსნის ხსოვნისათვის.

საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა. ამ დროს სცენის სიღრმიდან მოისმა მუსიკის სამგლოვიარე ჰანგები, რაიც საზოგადოებამ ფეხზე დგომით მოისმინა... ამის შემდეგ იოსებ იმედაშვილმა განაცხადა – ჩვენი დიდი მგოსნის ხსოვნის პატივსაცემათ პირველი სიტყვა ახალგაზრდას დაუთმეთ, ისიც ქალსაო... და სიტყვა მიაკუთნა ახალგაზრდა მოსწავლე ქალს ელენე მამაცაშვილს.

ელენე მამაცაშვილი

აკაკი წერეთლის შემოქმედება

ქართველ მგოსანთა პანთეონში მუდამ იბრწყინავს ჭაღარით შემკული სათნო სახე აკაკი წერეთლის მუდამ მხიარული, დაუღალავი ახალგაზრდა სულით.

„ხალხის გულის მესაიდუმლემ“ ხალხისავე სული ჩამოქნა თავის უკვდავ ლექსებში, რისთვისაც მას „ქართველი ერის სულის მოქანდაკე“ უწოდეს.

ის არ არის ღვთით მოვლინებული „წინამძღვარი ერისა“, „შუა-კაცი უბრალო“, ის მხოლოდ „გარემოების საყვირია“:

*„ეს **გული, სარკედ ქცეული,***
ბუნების ნათავხედია,
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია:
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!“

რა გარემოებას ყვიროდა ასე დაჟინებით აკაკის მუზა?

ეს იყო XIX ს. მეორე ნახევარი. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართული ენა ძაღლის ენად იწოდებოდა, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობა ვანდალობდა საქართველოში, როდესაც თვით ქართველი ქალებიც ამგვარად მჭერმეტყველობდნენ:

„რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას გვავნებს უცხო
ტომობა?“

როდესაც ქულაჯაში ჩაცმული გიორგი ერისთავი გრიბოედოვის ქორწილში არ შეუშვეს,

ასეთი დამცირებული,–

*„**ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით***



აკაკის საფლავი

მძინარი,
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქ - ახდილი“.

სამშობლო თავის სატრფოდ დასახა მგოსანმა და გატაცებით მარცვლავს თავის გულის თქმას:

*„**თავი ტარიელ მგონია,***
ოცნებით გარემოცულსა;
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი-ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს
მოელის ტურფა გამომხსნელს“.

მგოსანი ხედავს საშინელ რაყიფს, რომელიც ვარდებით ეკალში იტყუებს მის სატრფო -სათაყვანოს:

*„ ... **ზედ შედგება ფეხით,***
დაიმონებს, ცრემლებს ადენს,
ლეჩაქს მოხდის, გააშიშვლებს,
ბანგს შეასმევს, დააძინებს,
გამოუზრდის მონად შვილებს
და თვითონვე მას დასცინებს“.

სულის ფანცქალით ხედავს ის სატრფოს გულუბრყილობას და ემუდარება:

*„მივაძახე: **ჭინჭარში ნუ ვარდები!..***
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე !
მაგ შარბათში საწამლავს,
ჰსვამ, იცოდე!“

მაგრამ...

*„**მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!..***
ალერსით მთვრალს ვერ
უხილავს ისარი!“

სიცოცხლე-მოშხამული მგოსანი მტრის ხელში მკვდრად სთვლის სატრფო - სამშობლოს და გახელებული დაეძებს მის საფლავს. ლექსი „სულიკო“ – მისი პოეზიის შედევრია; აქ გადაშლილია მთელი გრძნობა მოფანცქალე გულისა, ალერსის კრიალოსანი....

ის ეძებს სატრფოს ვარდის სურნელებაში, ბულბულის ჰანგებში, ვარსკვლავის ციმციმში.

გრძნობით გადადუღებული, სიამით დაყუჩებული გულით ის ამბობს:

*„**ბულბულს ყურს ვუგდებ,***
ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა“.

მისი ფიქრი ეხვევა სალამურის თუმცა მწარე, მაგრამ მაინც მშობლიურ მოთქმას, ვით ძმა – ძმას; მის სევდის ჰანგებს ეძებს ის, რომ მათ შორის მყოფ „ქართველს გული გაუხარონ“.

სალამურის ამ მწარე ზუზუნში ის მხოლოდ ერთის ოცნებით სცოცხლობს:

ისტორიულად საქართველო ანთეოზია, რომელიც ბრძოლაში მიწაზე დაცემით მეტ ენერგიას იძენდა მშობელი მიწისგან და ახალის ძალით სდგებოდა საბრძოლველად.

აკაკის სწამდა ეს ახალი ძალა, სწამდა მას, რომ:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი“.

სწამდა ეს მთელი თავის გრძნობით, სიძლიერით და მისი მხნე სული მიჰქრის „აღმართ-აღმართ“, რომ იქ, ნეტარების მწვერვალზე დასტკბეს გაზაფხულის სიამით, ნახოს „ქორწილი ბუნების“, გაიგონოს მისი ძლევამოსილი „მაყრული“.

მხოლოდ ეშინია მას, რომ ვერ გასწევს ის ტარიელობას, რომ სუსტია ის ძლიერ რაყიფის წინაშე, მაგრამ მაინც არ ჰკარგავს მაცოცხლებელ იმედს:

*„...**რისთვის** დავკარგო იმედი?*
გმირს წინა-უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!..
არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის... უყივის,
ჩემი დაფი და ნაღარა!..“

„ნესტან-დარეჯანი“ ცხრა კლიტულში დამწყვდეული განთავისუფლდება, დაიბრუნებს სილაღეს, დაიკავებს ღირსეულ ადგილს!

ჯერ კი მგოსანი ამხნევებს ძვირფას ქართველებს:

*„**პატიოსან ღარიბს რით სჯობს***
გამდიდრებული იუდა?“

დე, გავღარიბდეთ, დავსუსტდეთ, მაგრამ რწმენა მზიან მომავლისადმი და დიდსულოვანი უნდა შევინარჩუნოთ, რადგანაც

*„**არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს***
და ისევე გაიღვიძებს“...

სჭექს მისი მკვეთრი, მაგარი სიტყვები, „ნესტან-დარეჯანის“ გამოხსნა კი შესაძლებელია მხოლოდ საერთო თანხმობით.

არ არსებობს ქართლი, კახეთი, ან იმერეთი! არსებობს მხოლოდ ქართველი ერი, ერთსულოვანი, მჭიდროდ შეკავშირებული, ერთის მიზნით აღტყინებული ქართველობა.

*„**ერთობა ჩვენთვის ხატია,***
მტრებისთვის სახრჩობელაო!“

გვასწავლის აკაკი.

მარტივი, გასაგები ენით, სასიმღერო ტონზე დაწერილი ლექსით სასიქადულო მცნებებს აწვეთებს ის ქართველი ხალხის სულში:

*„**ჩონგური საქართველოა,***
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,

სხვა და სხვა კუთხის მცხოვრები:

*„**ოდელა - დელა - დელაო!**“..*

მისი მუზა არ არის ამაყი, ზემდგომი, ის სწერს ხალხისთვის, ხალხური ენით! ამისათვისაც არის, რომ მიწის მუშა დაღიღინებს მის ლექსებს და პოულობს მათში მშობლიურ ხაზებს.

აკაკის იდეა სამშობლოს შესახებ ბევრს ისე წარმოუდგენია, რომ მისი იდეალია ძველი, ფეოდალური საქართველო. ეს არ არის მართალი! აკაკის იდეალი – ცოტნე თუმცა დადიანია და თორნიკე – ერისთავი, მაგრამ მათი მიზანი ხომ აკაკის მიზანია, მის სატრფო-სამშობლოს კერაზე თავისუფლების წმინდა ცეცხლის შენახვა.

მისი სატრფო კი – მშრომელი ხალხის ქვეყანაა.

მშრომელი ხალხის გათვითცნობიერება-ქვეყნის აყვავებაა.

ის ეუბნება გლეხის შვილს:

*„**მამ ნუ გძინავს, გაიღვიძე!***
იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყვე ამა სოფლის
ცრუ გამოცანაო!“

აკაკი ხედავს და გრძნობს გამეფებულ უსამართლობას, ჩაგვრას და დევნას, უქმ მდიდართაგან მშრომელი ხალხის გაყვლეფას, მაგრამ ის არ ამწვავებს კლასობრივ განხეთქილებას, არამედ გვმოძღვრავს საერთო ძალით უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებას და საერთო მიზნისათვის ბრძოლას.

ამაში არ უნდა უკიჟინოთ აკაკის: ის შიშობს, რომ შინაგანმა განხეთქილებამ არ დააზიანოს საერთო მიზანი – ქართველი ერის გათვითცნობიერება.

გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია და ძვირფასი ჩვენთვის არა გზა, არამედ მისი დიდი მიზანი, იდეა.

ერთს საუბარში ის ამბობს:

„ხალხის საქმეს – ხალხისავე შვილებმა უნდა უჭირისუფლონ... ხალხის ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენ!“..

1905 წ. ის გულწრფელად ეგეგება მშრომელი ხალხის აღდგენის ცდას, კმაყოფილებით ამბობს:

*„**ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი***
როცა გაზაფხულს კარი ეღება“.

და აღფრთოვანებული იძახის:

*„**ხალხი აღელდა!** ვაშა მის ღელვას!“*

ამიტომაც არის, რომ ქართველი გლეხისათვის ძვირფასია მოხუც აკაკი-ში – ქართველი აკაკი, მისი მამულიშვილობა. მისი სიკვდილის დღეებში გამოქვეყნებული იყო წერილი – **„გლეხის გოდება“, სადაც გლეხი მოზღვავებულ გრძნობას ფურცლავს და უწოდებს** მგოსანს **„დიად მასწავლებელს“, „ლიტერატურის არშიას“, „ეროვნების ბურჯს“, „გენიოს ამირანს“.**

„ბევრს სიბნელეში შეიჭრა მისი სხივები“, – სწერს გლეხი: „ბევრი დაკარგული ინსტიქტი აამოძრავა და გააღვივა მისმა სხივებმა და ახლა კი ... ახლა... ამ შავბნელ ხანას? – ამ სასოწარკვეთილ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობს „ხალხის შვილი“ და ისევ გულამოსკვნით ამბობს: „დავკარგეთ ჩვენი ენის მშობელი - ქურუმი – დიდი მასწავლებელი ... დავრჩით ცხოვრების ბრძოლის ნაშეზედ გარიყული ობლები. და ვინღაა ჩვენი პატრონი?“

აი ამ ფაქიზ ბუნების შვილთ უგალობს აკაკი, მათ ერს ეტრფის, მათი სამშობლო მისი სამშობლოა, **მრავალტანჯული** „ნესტან-დარეჯანი“.

აკაკის მთელი ცხოვრების შინაარს შეადგენს სამშობლო, მისი წმინდა გრძნობა: თვით ქალი იმდენად საფასურია, რამდენადაც ის მას მოაგონებს სამშობლოს.

მას იზიდავს არა სახე, რომლის მშვენება თვალს სჭრის და გულს იტაცებს, არამედ სახე რომელსაც აზის „აღმგზნები ბეჭედი სამშობლოს სიყვარულისა“.

ის ეძებს ქალში ქართველ დედას, ძველი სულის მატარებელს და პოულობს მხოლოდ რუსთაველისებურ ფატმანს, დიაცს, და თუ იპოვის თავის იდეალს, სიხარულით მიმართავს მას:

*„**შენს მკერდს ვემთხვიო,***
მაქვს მე სურვილი,
თეთრი რომ არის, მისთვის კი არა,
არა... მისთვის რომ მამულისშვილი,
ჭეშმარიტ დედას მაგ გულით გეპყრა!“

აკაკის დრამატურგიაც და პოემებიც სამშობლოს იდეალიზაციაა:

„პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, – აქ ჩვენ ვხედავთ ძველ წინაპართა საქართველოს, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილს.

მისი სატირაც – ფუტკარის შხამიანი ნესტარი უმთავრესად მიმართულია იმ ელემენტებისადმი, რომლებიც შეურაცხჰყოფენ მის ქართველურ გრძნობას:

ის ხსნის ნიღაბს ცრუ პატრიოტებს და უმტკიცებს საზოგადოებას, რომ სირცხვილია პატრიოტობის გაგება „მრავალ-ჟამიერის“

→

სამღერად.

მისი არაკები – ეს კრილოვის და ლაფონტენის არაკებია, ქართული სულით ჩამოქნილი, მისი ლეიტ-მოტივით ამეტყველებული.

აკაკის ღრმა პატრიოტიზმი მით უფრო უმწიკვლო და პატივსაცემია, რომ ის აკაკის გაგებაში არ გადადის ვიწრო შოვინიზმში:

„იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს და
სხვა ტომებს კი ისე უყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც
მტერი მტერს“.

ნაციონალური თვითშეგნება აძლევს საშუალებას ერს სხვა ერის გვერდში ამოდგომისას. უსახო ერი – დაკარგულია, პატივცემა თავის თავისადმი იწვევს პატივისცემას სხვებისადმი. ამას ამბობს აკაკი:

„სამშობლო ჩემი ხატია,
სახატე მთელი ქვეყანა“.

მაშინდელი საზოგადოებისათვის ასეთ ლირიკას აღმზრდელობითი ხასიათი ჰქონდა.

აღზრდას, საერთოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საზოგადოების სახის ჩამოყალიბებისათვის; საზოგადოების ძალა და განვითარება დამოკიდებულია მასში მოქმედ პირებისაგან.

აკაკიც დიდ მნიშვნელობას მიაწერს აღზრდას: უვარგისია აღზრდილი – დამნაშავეა აღმზრდელი:

ჰაჯი-უსუბ – დიდი გამზრდელი, თავის თავს სდებს ბრალს, როდესაც შეიტყობს გაზრდილის უვარგისობას. ის თავს იკლავს და ეუბნება საფარს:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

სიკვდილის წინ აკაკის უკითხავდენ მის ნაწერებს და როდესაც ეს პოემა – **„გამზრდელი“ წაუკითხეს, მან ცრემლები გადმოყარა და სთქვა: „მართლაც ეს კარგად დამიწერიაო“.**

აკაკი ის დიდი გამზრდელი იყო, რომელიც ზრდიდა ქართულ სულს, შესტრფოდა მას, ამკობდა მას, თავს ევლებოდა.... მისი ცრემლები ჰაჯი - უსუბის ცრემლები იყო, რომლებითაც მან დაიტირა მაშინ მრუდე ქართველი საზოგადოება.

ეს აკაკის მიერ დატირებული საზოგადოება დღეს გამოიგლოვა ახალმა ქართველმა საზოგადოებამ.

რუსეთის რევოლუციამ გაანთავისუფლა საქართველო რუსეთის ცარიზმის ბატონობისაგან. აღსდგა ქართველი ერი, განახლდა ქართველი საზოგადოება!

დაიმსხვრა ქაჯთა ციხე!

„ნესტან-დარეჯანი“ ლაღობს!

ფრთას შლის საქართველოს ამაყი, თავისუფალი სული! **სჭიმავს ბრძოლაში გამოჭედილ კუნთებს!**

აღსრულდა აკაკის წინასწარმეტყველება:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!“

დღეს არამც თუ გაღვიძებული, არამედ ახალ სოციალური საზოგადოების მშენებლობის გზაზე შემდგარი საქართველო განსაკუთრებით აფასებს ამ მისი ჭირისუფლის სიტყვებს.

დღეს მისი „ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტი“ – სამშობლო მოუთხრობს მგოსანს ნეტარ გაზაფხულის სიტკბოებას...

„მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილი-შვილო სამარეს“...

და მთაწმინდასთან ერთად მთელი ერიც.

1890 წ. აკაკის გადაუხადეს **50 წლის იუბილე და ცნეს საერო მგოსნად, მისი დღესასწაული კი ქართველი ერის გათვითცნობიერების დამამტკიცებლად. დღეს ჩვენ** აღვადგინოთ მისი ღამაზი სული, ვაღიაროთ ის ქართველ სახალხო მგოსნად, ეს დღესასწაული კი მისი სატრფო - სამშობლოს გაღვიძების, გაკაჟების, განახლების მღაღადებლად! ...

შემდეგ ექ.ივ. ელიაშვილმა დამსწრეთ გაუზიარა მოგონებები აკაკის შესახებ. აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“**-დან ნაწყვეტი – „ბრძოლის ველი“,** წარმოსთქვა ქალმა მარგ. მუჯირმა, „ქართველი ქალი“ აკაკისა, გაინსცენირებული იოსებ იმედაშვილის მიერ, **სადაც ქართველ ქალის როლს ასრულებდა მარ. ქილარჯიშვილი.**

შემდეგი განყოფილება აკაკი ხალხურ მუსიკაში:

ა) „ნათელას სიმღერა“ **(შეასრულეს დანიელა ურიამ და ძმ.** კრავეიშვილებმა. საზოგადოების თხოვნით მათ რამოდენიმე სხვა სიმღერაც იმღერეს);

ბ) „პატარა კახი-დან“ – **„დაიგვიანეს“** – მუსიკა ნ.სულხანიშვილისა (მ. თარხნიშვილმა – **„ნახევრი ცხოვრების** გზა გავლიე“, სოლო ჭიანურზე – მარო თარხნიშვილმა (ჭიანური – ალ. ოღანეზაშვილისა).

აკაკი ეროვნულ მუსიკაში: გოჩას არია (ოპერა „თამარ ცბიერი“ - **დან, „თავო ჩემო“ (მუს. ზ. ფალიაშვილის) – ნ. ქუმსიშვილმა საზოგადოების** დაჟინებითი მოთხოვნით „ურმული“, როიალთან – მარ. ანდრონიკაშვილმა.

საერთოდ ამ განყოფილებამ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

აპოთეოზი

აკაკი ცოცხალ ყვავილებში. ქართველი ქალი დაფნის გვირგვინით. გარს აკაკის სკოლის მოწაფენი ყვავილებს მიმოაბნევენ დადაფნილ აკაკის და მის გარშემო „მთაწმინდა“ -ს მღერიან. ჩინებულია ეფექტი.

შავ ფარდებს უკანიდან, თითქო საფლავიდან, მოისმის ხმა – აკაკის ანდერძი ახალგაზრდობის მიმართ. და ამის შემდეგ სცენაზე გამოჩნდება სახელმწ. აკ. დრამის მსახიობი გიორგი დავითაშვილი და კითხულობს პირველად ამ შემთხვევისათვის სამელოდეკლამაციოთ გადაკეთებულს აკაკის ლექსს „ავადმყოფს“. როიალთან ნინო ლაფერაშვილი. საზოგადოება მსახიობს მხურვალე ტაშით აჯილდოვებს. კვლავ მოისმის „მთაწმინდა“ ბავშვების სიმღერა და სურათს ფარდა ნელ-ნელა ფარავს. საღამოს ანსამბლი დიდებული იყო, ხალხი ნასიამოვნები დარჩა.

არ დავრჩი კმაყოფილი მხოლოდ მე, თქვენი უმორჩილესი მეგობარი, მკითხველო და, აი, რატომ:

ზემოთაც ვთქვი, ახლაც ვიმეორებ, რომ საღამოს დაესწრო მხოლოდ ხალხი, ხალხის ოჯახის წევრები: მწერალთა კავშირიდან, ხელოვნებისა, თეატრისა და სხვადასხვა საკულტურო დაწესებულება-კავშირიდან, ინჟინრებიდან და სხ.

რით აიხსნება ეს? რით შეიძლება თავის გამართლება? ყოველი მხრივ მივუდექი ამ საკითხს, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე!..

თუ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია პატარა დაწესებულებაა ან იოსებ იმედაშვილი პატარა კაცია, სად იყვნენ ამდენ ხანს: მწერალთა კავშირი, ხელოვნების ჯგუფი, ქართული თეატრის მესვეურნი და სხვადასხვა საკულტურო და საგანმანათლებლო ორგანოები?

და განა აკაკის საფლავია დავიწყებული? ასეა თითქმის ყველა ქართველი მოღვაწის.

შეიძლება ვინმემ ბრძანოს: რა საჭიროა საფლავების შემკობაო! ამაზე მეც თანახმა გაგიხდებით მაშინ, თუ საზოგადოთ მიღებული იქნება ეს.

დღეს ხომ მთელი შეგნებული ნაწილი კაცობრიობისა წინააღმდეგია სხვისი შრომის მისაკუთრების, უსასყიდლოთ სარგებლობის, ექსპლოატაციის?

და აკაკის გონების ნაწარმოებით, ნაშრომით ვინ არ სარგებლობს დღეს? – მისი შემოქმედების ნაყოფი ვის არ ასაზრდოებს დღეს – მთელს ერს და სხვებსაც: გონებრივად და სულიერად.

აი, რისთვის არ დავრჩი კმაყოფილი!...

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, ხალხური თქმულებაა.

წარჩინებულნო მოქალაქენო! მიუხედავათ ამისა, რომ აკაკის საფლავის მდებარეობა ორ-სამჯერ მეტს ხარჯს მოითხოვს, ისეთ ადგილას ასაფლავია, ის ახალგაზრდობა და მდაბიო ხალხი, რომელთაც აკაკი მთელს სიცოცხლეში თავს ევლებოდა და მისთვის კვნესოდა, სასახელოდ დააგვირგვინებს დაწყებულ საქმეს, მაგრამ წარჩინებულების გარეშე დგომა, მე მგონია, ვერ იქნება ლამაზი.

კ. თავართქილაძე.

აკაკის ძეგლისათვის

„თეატრი და ცხოვრება“**-ს მკითხველნო, თანამგრძნობნო და,** საერთოდ, ქართული ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულნო, პოეზიისა და ხელოვნების თაყვანისმცემელნო, თეატრის ქურით გამთბარნო!

არც ერთ წუთს, არას დროს არ დავიწყოთ ჩვენი დიდი მოძღვრისა და წინასწარმეტყველის აკაკის მწირი, ობოლი სამარე: იგი ნიაღვრისაგან წაილეკება და ღორღით წაინაშება, თუ დროით არ დავიცავით კედლით და ძეგლი არ დავადგით! მაშ ვისაც რამდენი შეგიძლიათ, გადასდეთ და შეწირული თანხა აკაკის ძეგლის ამგებ კომიტეტს გადაუგზავნეთ (**„თეატრი და ცხოვრება“, რუსთველის პრ. N 34).**

დაბა-სოფლის ჭირისუფალნო, არ დაივიწყოთ აკაკის ძეგლის საქმე: მოაწყეთ საღამო - წარმოდგენები და თანხა აკაკის ძეგლის ამგებ კომიტეტის სახელზედ გადმოაგზავნეთ.

ქართველო ერო, საქართველოს მშრომელო ხალხო და მოზარდო თაობავ, აკაკის სამარე დაკარგვისაგან უნდა დავიცვათ, – სამარეზედ შესაფერისი ძეგლი დავდგათ!

ვინც აკაკის ძეგლის ასაგებად თავის წვლილს არ გაიღებს – უფლება არა აქვს ქართველ მოქალაქედ იწოდებოდეს.

ვინც ნაამაგდარ წინაპართ (როგორც აკაკია) საქმით პატივს არა სცემს, მისი ნაშრომით კი სარგებლობს, – მუქთახორა

ვირუსი

(სიცილ-ტირილიანი)

კლარა გელაშვილი

2020 წლის მარტია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული საგანგებო რეჟიმისა, გადავწყვიტე, ახლობლის სამძიმარზე შერბენის რეჟიმით წავიდე. წასვლით კი წავალ, მაგრამ ხალხმრავლობის შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული გეგმა უნდა ავამოქმედო, სხვა გზა არაა!...

ეზოში შესულს ისეთი სიმშვიდე დამხვდა, მისამართის სიზუსტეში ეჭვიც კი შემეპარა...

– ვიზიარებ! – პირბადიანი თავი დავხარე და გარდაცვლილის ერთადერთ ვაჟს, თანაგრძნობის ნიშნად, ხელთათმანიანი ხელი მკლავზე მოვუცაცუნე.

ცოტა არ იყოს, ეს ჟესტი ეხამუშა, მაგრამ ლოყები ისე უღაჟღაჟებდა, როგორც მერე თქვეს, ცოტა ჩაკრულში იყო და ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ეს ედარდებოდა....

როგორც წესი, მიცვალებულს შემოვუარე, ჭირისუფლებს თავი დავუხარე, მაცხოვრის ხატთან სანთელი ავანთე და თვალი გარდაცვლილისკენ გავაპარე. როგორიც მახსოვდა, ისევ ისეთი იერი ჰქონდა 97 წლის კოლა ძიას!...

– ა, კაცი! წავიდა მშვიდად, ყოველგვარი შიშისა და კანკალის გარეშე. ისე, რომ ვერც კი იგრძნო სამყაროს ატორტმანება!... – გავიფიქრე ჩემთვის.

როგორც ჩანს, ჭირისუფლებმა შემიცნეს და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს...

– კოლა, კოლა�ა, ვალოდიას გოგო მოვიდა, ბიჭოოო! მამამისთან დაგაბარებს რამესა ქეთოი.... უთხარი, ქეთო, უთხარი... დააბარე, რაც გინდაა... კოლა, კოლაააა, კორონამ ხომ მაინც ვერ შეგაშინა, ბიჭოოოო!

ისე უცებ, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო უმცროსმა, სამოცდაათიოდე წლის დამ, დატირება, რომ ფიქრებში წასული რაღაცნაირად შევცბი და სასწრაფოდ გავედი აივანზე, სადაც დისტანციურად მდგომი ხუთიოდე პირბადიანი ადამიანი ერთმანეთს „ამაგრებდა“.

– უიმეე, როგორ გასუქებულა!!!... – ზურგში მხეცებივით დამედევნენ „გულვარდგადასაყრელი“ სიტყვები...

კოლას ვაჟი, ლოყებღაჟღაჟა სიკო, ახლა კიბესთან, პირით გზისკენ იდგა და აშკარად ეტყობოდა და, ბუნებრივიც იყო, ალბათ, ძალიან ნერვიულობდა.

კიბეს ნელ-ნელა ჩავუყევი...

– ეეეხ! რა ცუდ დროს წავიდა!!!

იჭვნეულად გადახედა გვერდზე მდგომმა ორმოცდაათიოდე წლის წვრილთვალება კაცმა სიკოს და ისე ამოიოხრა, უგულო უნდა ყოფილიყავი, მადლობა არ გეთქვა ასეთი თანაგრძნობისთვის!...

თითქოს ამას ელოდაო, შეზარხოშებულმა ჭირისუფალმა ორივე ხელისგული სიმწრით დაატყაპუნა და ისე მოუჭირა რკინას, რომ მთელი კიბის მოაჯირი შეირყა. მერე თავი გაიქნა-გამოიქნია და თითქოს ვერავის ხედავს, ან ხედავს, მაგრამ თავისი გაჭირვებია და აღარაფერს დაეძებსო, ისეთი ხმით ამოიხავლა, ყველამ მისკენ გაიხედა...

– იღბალი არ უნდა, ბიჯო?!... ბედი არ გინდა?!... ათი წელია, ორმოცდაათ ლარზე ნაკლები არავისთან მიმიტანია, ამის დედა ვატირე!.. ათი წელი!!!... ახლა ნათესავებში?!..

სიკო, საუბრის დროს, მარჯვენა ხელს ცხვირწინ ისე უტრიალებდა „გულშემატკივარს“, იფიქრებდით, ა, ცოტაც და, სახეში გაარტყამსო... მერე თავი გვერდზე შეაბრუნა და შედარებით ხმადაბლა გააგრძელა:

– მეთქი, მოხუცი მყავს სახლში და!... სესხი და ვალია, ძმაო, ყველაფერი!... – აქ ისევ ხმას აუწია სიკომ, – ასე არაა?!.. აი, ნახე! – სიკომ ფურცელი ამოიგლიჯა ჯიბიდან და ცხვირწინ აუფრიალა მოსაუბრეს. – 500 კაცის სიაააა, ძმაო, ორი წელია ჯიბით დამაქ და აქედან ოცი კაციც ვერ მოდის!!!.. – მაჯით სიმწრის ცრემლი მოიწმინდა თვალზე და განაგრძო, – ამის ღირსები ვართ მე და მამაჩემი?! ან რაღა ახლა, ტო!!! .. – სიკოს ისეთი სასოწარკვეთილი და გაუბედურებული კაცის ხმა ჰქონდა, კორონას მომგონის ამოგდება კიდევ ერთხელ, მისი ცოდვითაც ვინატრე!!!...

ალბათ, ასე შეებრალათ ორმაგად დაზარალებული კაცი სხვებსაც; შორიახლოს მდგომი გამხდარი ტიპი აკეცილი, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სიკოს, ოდნავ მოიხარა, ყური ყურთან მიუტანა და შესავლისთვის პირველი კითხვით მიმართა: – მამის სახელი, ბრატ? ჩანგალზე მოყოლილ ქალაქელს, ალბათ, კულტურული მიმართვის ფორმისთვის ესაჭიროებოდა სიკოს მამის სახელი, თორემ... (საწყალი კოლა!)

სიკოს თავიც არ აუწევია. იფიქრებდით, ვერც გაიგონაო, მაგრამ მერე, ნელ-ნელა, ქვეშიდან ისე გამოხედა, ბერბიჭა რომ ფხიზელი ყოფილიყო, ან თავმოყვარე, იქ რაღა გააჩერებდა!...

რამდენი რამ იკითხებოდა სიკოს თვალებში!... მთელი შეშლილი სამყარო იქ ჩაბუდებულიყო ყველა თავისი უბედურებით!... უფრო მეტიც, ღმუილი ისმოდა, ვირუსის გამო აზვირთებული დედამიწის ღმუილი!...

რაღაც ორ წუთში, მოაჯირზე დაყრდნობილმა სიკომ მხრებში ჩარგული საკმაოდ სქელი კისერი გვერდულად მოაბრუნა და, თითქოს იპოვნა ის, ვისაც პასუხს აგებინებს ამ ყველაფერზეო, სარკაზმული ღიმილით ბაგეგაპობილმა დამარცვლით უპასუხა:

– კ ო რ ო ნ ა... – ცოტა შეყოვნდა და კისერწაგრძელებულმა თვალი თვალში ისევ გაუყარა: – გ ა ი გ ე, ბ ი ჭ ო?! თ უ ვერ გაიგე?! – მერე თავი შეაბრუნა და გადანერწყვა... მგონი, შეიკურთხა კიდეც...

სულ რამდენიმე კინკილა ადამიანი იდგა ეზოში, მაგრამ თვალ-ყური ყველას მათკენ ჰქონდა მიპყრობილი. ტროსტზე დაყრდნობილმა ცილინდრიანმა მოხუცმა კაცმა თავი მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია და იმანაც დამარცვლით, თუმცა უფრო ხმადაბლა, სიკოს მისამართით, სინანულით ჩაილაპარაკა: კორონიჩი...

ყვავილების მიწა

ერთი სომეხი მეგობარი მყავს, პოღოსა. სამოცდაათ წელს მიტანებული კაცია, ძველი მეყამირე. საბჭოთა პერიოდში სად არ ყოფილა, რა არ უნახავს, რა არ გადახდომია თავს. ალალი შრომით საკმაოდ ბევრ ფულს შოულობდა.

რა არ გამოსდის ხელიდან – კალატოზობა, დურგლობა, მებათქაშეობა, საუკეთესო ელექტროშემდუღებელი და „კაფელშიკიცაა“.

მართლაც უნივერსალური ხელი აქვს, პოღოსას, ძალიან დაკვირვებულია და დიდი იუმორის გრძნობა გააჩნია.

ისე საინტერესოდ ყვება თავის თავგადასავალს, ხანდახან მიჭირს იმის გარკვევა, რომელია რეალური და რომელი მოგონილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ყოველივეს მაინც ინტერესით ვისმენ.

ერთხელ, სუფრასთან საუბრისას, მოულოდნელად, რაღაც გაახსენდა და წამოხტა:

– ააა, შენთან არ მოვყოლილვარ, ხომ. მე ის კაცი ვარ, რომელმაც რუსებს 5 ტონა რუსული მიწა კილოობით მივყიდე.

ყველას გაგვეცინა.

– კარგი, რა, პოღოს, ახლა მაინც ნუ გვატყუებ.

– მე და ტყულილი?

– ტყუით!

– ჩემს სანათესაოს და სეროჟას თავს ვფიცავარ. კაცს თუ ცოტა გონება გიჭრის და აზროვნებ, მშიერი არ დარჩები. ფულის შოვნა ყველგან შეიძლება, ისიც, მითუმეტეს, უცხო ქალაქში. ბაზრის ერთი თავიდან მეორეში მწვანილის ყიდვა-გაყიდვაში ვიყავი.

– მერე მიწა როგორ გაყიდე ქალაქში?

– ჩეულებრივად! აბა, კარგად დამიგდე ყური. სვერდლოვსკში ვარ ჩემი „ბრიგადით“. სამუშაოს ვეძებთ, მაგრამ მთელი კვირა გავიდა და ვერაფერი ვნახეთ. რა ვქნა, არ ვიცი. მოგეხსენებათ, რუსის ქალებს როგორ უყვართ ყვავილები. თურმე, ყვავილებისთვისაც რომ კარგი მიწაა საჭირო – მაშინ გავიგეთ. შემთხვევით ერთი ერევნელი მძღოლი გავიცანი. დიდი ტრაილერით იყო ჩამოსული. იდეა დამებადა: ქალაქგარეთ გავედით ერთ-ერთ სოფელში. კარგი ფხვიერი მიწა ექსკავატორით დავტვირთეთ, ჩავიტანეთ ქალაქში. მანქანა ერთი დიდი კორპუსის წინ დავაყენეთ და, სარეკლამოდ, დიდ ქაღალდზე, წარწერა გავუკეთეთ: „ყვავილების მიწა, სომხეთიდან“! – თან ხმისჩახლეჩვამდე ვყვირივართ: „იყიდეთ, ყვავილების მიწა, სომხეთიდან“.

დადგა რიგი, მაგრამ რა რიგი, ვედროს ხუთ მანეთად ვყიდდით. რამდენიმე საათში ისე გავყიდეთ, დასვენებასაც ვერ ვახერხებდით და დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექით. თანხა გვარიანად შეგვიგროვდა.

რობერტ ბერიძე

ჯემალ მეხრიშვილი

ვაია ჯოლჯოლდი - უზენაესის ოპონენტი?!

ლიტრას ეუბნებოდნენ და,
კოკავ, შენ გაიგონეო!
ქართული ანდაზა

ერთი შეხედვით, სულ უმნიშვნელო რამის გაუთვალისწინებლობაც კი მალევე ან მოგვიანებით საბედისწეროდ შემომტრიალდება ხოლმე, თუ ჩემი ყოველდღიური ცხოვრების მდინარებაში მაშინვე არ მივუჩინე თავისი ადგილი! მაგრამ რა წყალს მივეცე, ყოველ წვრილმანს როგორ გაითვალისწინებ – ჩემისთანა ჩვეულებრივი ადამიანისთვის ეს შეუძლებელია!

ამჯერად აი, რა დამემართა. ნოველის, **„საიტის ტურები“** დასაგვირგვინებელ ფიქრებს ისე ვყავდი შეჯაჭვული, საგათენებო ძილ-ღვიძილშივე გადავწყვიტე: ყურადღება სხვა რამეზეც რომ არ გამფანტვოდა, დღევანდელი ანუ 2017 წლის 27 იანვრის **„ლიტერატურული საქართველო“**, ჩვეულებისამებრ, ახლაც, დილით კი არ მეყიდა, არამედ, საღამოთი, ნოველა უკვე დასრულებული რომ მექნებოდა!.. მით უმეტეს, აქ რაიმე საფრთხე არ მელოდა – დარიგებული მეგაზეთე გაზეთს ორი დღით მინახავს ხოლმე, ხოლო თუ არ...

საწერ მაგიდასთან მჭიდროდ მიმჯდარი, ის-ის იყო გონებაში გაელვებული აზრის წინადადებებად ჩამოქნას რომ უნდა შევდგომოდი, წეღან, რაღაც მსუბუქი სანოვაგისთვის ძირს ჩასულმა მეუღლემ, კარი ფრთხილად შემომიღო და მაგიდის კუთხეში ვალმოხდილივით დამიდო **„ლიტერატურული საქართველო“** – აი, დრო დაგიზოგეო!

მეუღლე აკრეფილი ნაბიჯით ისევ რომ გავიდა, კინაღამ შევიშალე! ჯერ ხომ საკუთარ თავზე მომერია ცოფი – რატომ ესეც ვერ გავითვალისწინე და არ გავაფრთხილე-მეთქი! ახლა უდანაშაულო თანამეცხედრეზე ამეღრინა გული – ვინ დაავალა, როდის იყო... მაგრამ რომელ მოკვდავს განუჭვრეტია განგების ჩანაფიქრი, მე განმეჭვრიტა?!

დუმილიანმა საუზმემ ისე ჩაიარა, ვერ ვარჩევდი, კოვზით ჰერკულესის ფაფას ვეხებოდი თუ აყალოს სალაფავს!

მეუღლის სამსახურში წასვლისთანავე ისევ საწერ მაგიდას რომ მივუბრუნდი, მეტი რა ჩარა დამრჩენოდა – ზერელედ მაინც უნდა გადამეთვალიერებინა, თორემ გაუსინჯავი გაზეთი უფრო გამაწამებდა!

გაზეთს გონგაფანტვით ვაშრიალებდი, ფიქრი კი კრუხივით ისევ ნოველის დასასრულს დაჰკუტკუტებდა. მე-11 გვერდი მთლიანად პოეზიას ეჭირა. ის იყო, ესეც მაშინვე უნდა გადამეფურცლა, რომ უცებ თვალში მომხვდა მოკლე, შეკრული ანოტაცია – ზაალ ებანოიძე. **ო, აქ უკვე... მწამდა, ზაალი ალა-ალა არავისზედ ალაპარაკდებოდა!**

თვითონ პოეტი? პირველი წიგნის ავტორი მაია ჯოლბორდი.

მყისვე გამახსენდა, ერთხელ ლიტერატურულ პრესაში როგორ მომხიბლა ამგვარმა, თავისი მხედრული პირდაპირობით და, რაც მთავარია, საუკუნეთა სიღრმეებიდან მომდინარე საგვარეულო ხელობით: საბას მიხედვით ჯოლბორდი ხომ ისრის მკეთებელს ნიშნავს!

ცოდვა გატეხილი სჯობს – ლექსების კითხვას მაინც სულსწრაფებით შევუდექი, ჩემს საქმეს დროიანად რომ შევდგომოდი, მაგრამ ერთ-ერთ ლექსში **„გამოფიტული ვარსკვლავები“** ერთ ისეთ სტრიქონს წავატყდი, რომლის ძალმოსილებამ თითქოს დროისა და სივრცის მიღმა გადამტყორცნა და მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარად დამტოვა!.. ვიღას ახსოვდა რაღაც საიტი... **„საიტის ტურები“... მგლები თუ აფთრები!..**

აი, რას წერს მაია ჯოლბორდი.

ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა, ბნელდება და ბნელდება.

„ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა!“ – ეს ხომ ათასწლეულის ალეგორიული ფრაზაა. თან მხატვრული ლიტერატურის კითხვისას დამახასიათებელმა, ყველასათვის კარგად ნაცნობმა ლირიკულმა შიშმაც შემიპყრო და აი, რატომ. **„მწიგნობართა** ასოციაციამ“ **1999 წელს გამოსცა ტოტალიტარული რეჟიმისა და მეშურნეთაგან სასიკვდილოდ დაკორტნილი პოეტის,** ნიკო სამადაშილის ლექსების პაწია კრებული **„სინათლის მიმოქცევა“**. ჰოდა, ყოველმხრივ ილაჯგაწყვეტილი პოეტი თავის ერთ-ერთ ლექსში **„დარდი ბუხართან“** ზანტად ანადენ კვამლს აი, რას შესთხოვს.

უსაზღვროება ისე შესუდრე,
რომ ჩვენს პლანეტას გზა აერიოს!

კარგად მახსოვს, პოეტის ამგვარმა გამძვინვარებამ ჩემზე ისე შემაძრწუნებლად იმოქმედა, შიშისაგან წამით სული კოჭებში წამივიდა! უფალს მაშინ პოეტის ეს თხოვნა-ღაღადისი მართლა რომ შეესმინა, ციური სხეულებით გაჭედილ სამყაროში გზაარევით მიმქროლავი ჩვენი პლანეტა, ანუ დედამიწა, გიგანტურ პლანეტებთან გარდაუვალი შეხლა-შეჯახებისას ხომ თვალის დახამხამებაში განაცარმტვერდებოდა, მე კი ამქვეყნად ვეღარ გავჩნდებოდი-მეთქი!

ახლა შეადარეთ და განსაჯეთ: ნიკო სამადაშვილთან საქმე გვაქვს პოეტის მხოლოდ სასოწარკვეთილ თხოვნა-მუდარასთან, მაია ჯოლბორდთან კი **„წყალ**გაუვალ“ დასკვნა-განაჩენთან!!!

„ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა!“ – პრინცესასებურად ბრძანებს პოეტი და, იმავწამიერად, უზენაესის ოპონენტიც ხდება, ვინაიდან მის მიერ, ვინ იცის, როდის და როგორ შექმნილი, თანაც, საათივით აწყობილი სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, ღამე მთელი მსოფლიოს გასაშეშებლად გამომწვევად დაუწუნა და უჭკუოდ, ჭკუაუსწავლელად გამოაცხადა!!!

გაგონილა მეტი უსამართლობა, შარიანობა თუ ამორძალისებური თავგამეტება?!. ამას კი ვინ მოითმენს?!

აბა, აქ თავგასართობი შიში მაინც როგორ არ დაგეუფლება! ამგვარი „ცილისწამებით“ განაწყენებულმა თუ განრისხებულმა უზენაესმა ჩვენი ჭკუის სასწავლებლად ვაითუ ჩვენთვის გაუსაძლისი რამე ცვლილება შეიტანოს თავის ნახელავში: დააღამოს და აღარც გაათენოს!.. გათენებით კი გაათენოს, მაგრამ აღარასოდეს დააღამოს!.. მზე სულ დაგვანატროს და ისე ააცივოს, ყოველმა სულიერმა ყინვადაკრულ ფუტკრებივით იწყოს ამოჟუჟვა!... ანდა, გავარვარებული მზე ლაზერულ პროჟექტორივით აღარ მოგვაშოროს და რამდენიმე საათში დედაბუდიანად შევიხრუკოთო!..

აბა, ცხრილში გატარებულებს კი რაღა ესწავლებათ, ნორჩი მკითხველები კი თავს ტყუილუბრალოდ ნუ შეიშინებენ, ვინაიდან მსგავსი არანაირი საშინელება არ დაგვემუქრება! მიზეზი მარტივია – კაცობრიობის ისტორიას ერთი მაგალითიც კი არ ახსოვს, ნებისმიერი მოკვდავის მიზეზით უზენაესს სამყაროს მოდელში, ციურ სხეულთა მოძრაობასა თუ დროის პერიოდებში, რაიმე **„ნოვატორული გაუმჯობესება“** შეეტანოს, ანდა სახელდახელო სეზონური სარემონტო სამუშაოები ჩაეტარებინოს!

„ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა!“ – ამ განსაცვიფრებელ ფრაზაში მხიბლავს ერთმანეთს გადაწნული მანდილოსნური თავდაჭერილობა და მხატვრული მიგნების ძალმოსილება! შეიძლება მაია ჯოლბორდმაც ჩვენსავით, ანდა ჩვენზე უკეთესადაც იცოდეს, ჭკუას ვინც ვერა და ვერ სწავლობს, მაგრამ ქალური კდემამოსილება და მხატვრული ვალდებულება თითქოს თავს აკავებინებს თითის პირდაპირი გაშვერისაგან! ან გინდ გაბედულადაც დაესახელებინა ეს **„ვაჟბატონი“**, რომელმაც **„ჭკუა ვერ ისწავლა“**, სასურველი მხატვრული ეფექტი მაინც არ ექნებოდა, ვინაიდან, დღიდან მხატვრული ლიტერატურის გაჩენისა, სულ **„მის“** უჭკუობასა და თავწვერაობაზე გოდებენ, ხსნა კი არა ჩანს! პირიქით, უფრო უარდაუარ მივდივართ! და აქ პოეტმა ქალბატონმა გამაოგნებელი, მაგრამ **„სახიფათო“** მხატვრული ხერხი გამონახა – **„დაბალ ღობედ“**, ალეგორიულად, ღამე მიიჩნია, რამაც მაშინვე უზენაესის შეუკრთომელ ოპონენტდ აქცია!

სხვა მკითხველებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ამ კონტექსტში, ღამე უნდა განვიხილოთ არა როგორც დედამიწის ღერძული ბრუნვის უცვლელ პერიოდთან მიმართებაში, არამედ, ჩვენი – ათასნაირი ზნე-ნირის, ბუნების, ნაკლის, ახირების, გრძნობების, სურვილების, მოთმინება-მოუთმენლობის, მისწრაფების, ჟინის, საქმიანობის, ვნებების თუ ჩანაფიქრის მატარებელი, **„ჭკუაუსწავლელი“** ადამიანების წამწუთიერად ცვალებადი გუნება-განწყობილების თვალსაწიერიდან!

მაშ, აქ როგორღა გინდათ, ღამე მუდამ და ყველასთან **„ჭკვანასწავლი“** იყოს და ჩვენი პლანეტის თითოეულ მოქალაქეს სწორედ მაშინ დაუღამოს ან გაუთენოს, ვინც როდის მოიპრიანებს?!

ამის მარტო გაელვებით წარმოდგენაც კი შეუძლებელია! ამიტომ, ცხადია, ჩვენნაირების ხელში უბედური ღამე ჭკუას ვერასოდეს ვერ ისწავლის! ანდა, თავისი პატიოსნებითა და პუნქტუალურობით განთქმულ ღამეს, რაღა ჭკუის სწავლება უნდა – იმაზე მეტი ვისგან ან რაღა უნდა ისწავლოს, რაც სამყაროს გაჩენისას მისთვის უზენაესს დაუნათლებია?!.

რას არ გაფიქრებინებს ეს სხარტი ფრაზა!

მაია ჯოლბორდი ამ ხერხით კაცობრიობას მაჯას ხომ არ უსინჯავს, რათა გონის სიფხავე და განსჯის უნარი შეგვიმოწმოს?! ამიტომ იქნებ ღამემ კი არა...

„ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა!“ – ყველას ბოდიშს მოვუხდი, მაგრამ ჩემი ამჟამინდელი ემოციური ვარაუდით, მსგავსი ფრაზა, მამაკაც პოეტს, თითქოს, არ მოუვიდოდა!.. არც უნდა მოსვლოდა!.. მაგრამ თუ მოუვიდოდა, არ უნდა დაეწერა!.. **ხოლო თუ მაინც დაწერდა, არ ექნებოდა ამგვარი საგამოცანო მიმზიდველობა, ვინაიდან მამაკაცები უფრო პირდაპირები ვართ, მანდილოსნები კი ხშირად ამბობენ ერთს, იგულისხმება კი სულ სხვა რამ, რასაც მამრები, ჩვენდა სამარცხვინოდ, ზოგჯერ,** ვერ ან გვიანღა ვხვდებით ხოლმე და!.. ამიტომ მხიბლავს ამ ფრაზაში გაცხადებული მაია ჯოლბორდის არისტოკრატიული ამრეზილობა!

„ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა, ბნელდება და ბნელდება!

ამ წერილში, ეპიგრაფად წამძღვარებული ქართული ანდაზისა არ იყოს, პოეტი ქალბატონი ნეტა, ლიტრაში ღამეს ხომ არ გულისხმობს, კოკაში – კაცობრიობას?!

* * *

შეიძლება ზოგიერთს გაუკვირდეს – მერე, ამ კუდმოკვეცილ წერილს რად უნდოდა სამი წლის ლოდინი ან სამზადისიო!

რა მაქვს დასამალი: მე ამის დაწერა უზურში არცა მქონია, თორემ წინ რაღა დამიდგებოდა?!

ის ნოველა, **„საიტის ტურები“**, იმავე კვირადღეს დავასრულე და დაიბეჭდა („ლს“, 28.04.17) კიდეც.

მაია ჯოლბორდის ეს ფრაზა კი – **„ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა, ბნელდება და ბნელდება!“** - ნუგეშმწველად ამეკვიატა და ჩემს ცნობიერებაში **„რაღაც“ წერილს,** თურმე, უმტკივნეულოდ ამწიფებდა, ოღონდ გადმოსაფრქვევ მიზეზს ელოდა!

და აი, 2020 წლის 13 მარტს ერთ-ერთი ქართული ტელეარხიდან ახდილად რომ გვეუწყა: კორონავირუსი მსოფლიოში შეგნებულად გაავრცელესო, პოეტი ქალბატონის ეს ფრაზა გონებაში ატომურ სოკოსავით ამეფაფრა და ყურში საბედისწერო გადასხვაფერებით ამიწივლდა.

-- ღამე ისწავლის კი ჭკუას, თუ...

საკითხავი აი, რა არის!

ნოდარ ახალკაცი

რამდენიმე სურათი საქართველოში

უძველესი დროიდან ქართულ ხალხურ მედიცინას უნარი შესწევდა მკურნალობის ზოგადი ელემენტები გაეთავისებინა და აღნიშნული ტრადიცია ემპირიული ცოდნით თაობებისთვის გადაეცა. აქიმები (მუხჩევი – სვანეთი; დასტაქარი – ხევსურეთი; მკურნალი – ქართლი) კარგად იყვნენ დაოსტატებულნი თავის საქმეში. ჩვენს წინაპრებს რთული ოპერაციების გაკეთება სცოდნიათ, როგორიც იყო: ძვლის დაზიანების ადგილზე სპილენძის ფირფიტის ჩასმა, თავის ქალიდან ჩირქოვანი ბუდობის (პეპლის) ამოღება, კიდურის ამპუტაცია და სხვა. ოპერაციების დროს იყენებდნენ მჭედლის მიერ დამზადებულ თვითნაკეთ ძვლის, ხისა და ლითონის იარაღებს. რაც შეეხება ტკივილის დროს ნერვიული იმპულსების შეჩერებას, ცნობებს კათოლიკე მისიონერებიც გვაწვდიან, რომლებიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს თავად ლევან დადიანის კარზე მოღვაწეობდნენ. თეატინელი ორდენის ბერი, შავი ჭირის გავრცელებას ოსმალეთს უკავშირებს, სადაც იგი ყირიმიდან უნდა შესულიყო. არქანჯელო ლამბერტის აზრით, დასავლეთ საქართველოში ეპიდემიას 20 ათასამდე კაცი უნდა ემსხვერპლა.

ეპიდემიიდან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისები ხშირად ხალხის გადასახლების მიზეზიც ყოფილა. XIX ს-ის დასაწყისში გერმანიის სამხრეთ დასავლეთ მხარეში (შვაბია) პანდემიით გამოწვეული სიდუხჭირე სექტანტური მოძრაობის მიზეზი გამხდარა. სექტის დამაარსებელმა მოსახლეობას არარატის მთისკენ წასვლა მოუწოდა. აღთქმულ მიწამდე ჩვენი ქვეყნის ტერიტორია უნდა გაევლოთ. საქართველოში ჩამოსულმა შვაბებმა სომხეთისკენ წასვლა გადაიფიქრეს და თბილისის შემოგარენში დასახლდნენ.

შვაბებს სისუფთავისა და წესრიგის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ახასიათებდათ. როგორც გერმანელი კოლონისტების XX ს-ის დასაწყისის პრესა იუწყება, ყოფაში „სანიტარული“ დღის ტრადიციად დამკვიდრება პირვანდელ სამშობლოში, ხშირ ეპიდემიებს უკავშირდება. კვირაში ერთხელ კარ-მიდამოს დასუფთავება ცხოვრების წესად იქცა. რა საქმეც არ უნდა ჰქონოდათ, ოჯახის ყველა წევრი შაბათ დღეს პირადი ჰიგიენით, კარმიდამოს დალაგებისა და ინვენტარის დასუფთავებით იყო დაკავებული. მასში მონაწილეობა სავალდებულოდ ითვლებოდა. დროთა განმავლობაში ჩვევა „ ტრადიციად“ იქცა. წინა დღით დასუფთავებული ჯამ-ჭურჭელი, შაბათს მაინც ხელმეორედ ირეცხებოდა. სისუფთავის „რიტუალში“ ოჯახის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას. იმ დღეს სხვა საქმეს ხელს არ კიდებდნენ.

ქართული ტრადიციული მედიცინა ეპიდემიის წინააღმდეგ დისტანცირების გარდა, ხალხურ ფარმაკოლოგიურ ხერხსაც მიმართავდა. ჩვენში ყვავილის აცრის წესი-ვარიოლიზაცია ადრეული პერიოდიდან იყო ცნობილი. მკვლევართა აზრით, ვაქცინა, რომლის დამზადებისა და კლასიფიკაციის პრინციპი იგივეა, რაც თანამედროვე სამედიცინო ვაქცინისა, საქართველოდან კონსტანტინეპოლის გზით ევროპაში უნდა გავრცელებულიყო. ქართლში ყვავილზე აცრის პრაქტიკას გერმანელი მოგზაური იოჰან გულდენშტედტი 1771 წელს ადასტურებს. ოფიციალურად, შრატის გამოგონება 1796 წლით თარიღდება. თუ მოგზაურობას ინგლისში წამლის გამოგონების თარიღს შევუდარებთ, ყვავილზე აცრა ჩვენში შედარებით ადრე უნდა ცოდნოდათ, ვიდრე ამ მეთოდს ინგლისელი ექიმი ედუარდ ჯენერი მიაგნებდა. XVIII-ის მეორე ნახევარში ყვავილზე აცრა რომ მოსახლეობისთვის ცნობილი იყო, მეფე ერეკლე II-ის წერილიდანაც ჩანს. იგი სახელმწიფო მოხელეს რევაზ ამილახვარს 1772 წელს ამცნობს: „ჩვენს შვილს იულონს ყვავილი აუჭერით და დიახ გაცხელებული იყო“. ამრიგად ირკვევა, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში, ზოგიერთ ინფექციურ დაავადებას საქართველოში აცრის (აჭრის) მეთოდით მკურნალობდნენ. აღნიშნული წყარო კიდევ ერთხელ ადასტურებს მოგზაურ გულდენშტედტის ცნობის სინამდვილეს.

ხალხური წარმოდგენით: „ჟამნი-პაწაწინა ადამიანების მსგავსი ყოფილან, რომლებიც სამი ფერის ისრით იყვნენ შეიარაღებულნი: თეთრი, წითელი და შავი. ვისაც შავს დაჰკრავდნენ, მაშინვე კვდებოდა. წითელი ისრით დაჭრილი დიდხანს ცოცხლობდა, ხოლო თეთრ ისარდაკრული კი ეპიდემიას გადაურჩებოდა. ჟამს ვერავინ ემალებოდა. ისინი ყველაფერს ხედავდნენ. მზაკვრული მიზნის განსახორციელებლად დადიოდნენ ხევიდან ხევში, სოფლიდან სოფელში, ოჯახიდან – ოჯახში.“ როგორც მთხრობელიდან ირკვევა, ჩვენს წინაპრებს ეპიდემიის გამავრცელებლები ისარ-მომარჯვებული „კუპიდონის“ მსგავს არსებებად წარმოედგინათ.

ჟამიანობას საქართველოში გამოცდილი ხერხებით ებრძოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეპიდემიის დროს, სოფლის უხუცესთა გადაწყვეტილება აბრკოლებდა ინფექციის სიჩქარესა და გავრცელების არეალს. „ჭირის“ გამოვლენის შემთხვევაში მოსახლეობას არატრადიციული ნაბიჯის გადადგმა უხდებოდა. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ ეპიდემიისაგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება, ავადმყოფისგან დისტანცირება და დროული იზოლაცია იყო.

ძველად, გარდაცვლილის ოჯახს, დაკრძალვის ტრადიციის შეცვლაც უხდებოდა. ეპიდემიის გართულებისას უხუცესთა გადაწყვტილებას ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. კრების თანახმად, „ჟამით“ დასნეულებული ცხედარი სოფლის ახლოს გამართულ საკირეში უნდა დაეწვათ. ამის შესახებ XIV საუკუნის წერილობითი წყარო გვატყობინებს: „... ჩვენ სეტისა ხეუმან, ერთმანერთისა დამოწმებითა მას ჟამსა ოდეს ძნელი სენი შემოვიდა, მერმე საფლაუსა ქრისთესასა შევეხვეწეთ, დაუთქვით საკირი და გვიშველა იმ სენისაგან... ვინც იმა საკირესა შიგან მისისა მიცვალებულის სული ახსენოს საშენდობოი გასცეს...“

თუ თემის წევრი ხევის უხუცესთა გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა „იმავე დღეს იბარად თორმეტი ჩაფი“ სასმელის გადახდა მოუწევდა. ბეგარის მაღალი თამასა სპეციალურად იყო დაწესებული, რომ ოჯახს მისი გადახდის უნარი არ ქონოდა. ბიბლიის არშიაზე მინაწერი იმის დასტურია, რომ ეპიდემიის დროს სოფლის მოსახლეობა ვალდებული იყო საჯარო გადაწყვეტილება (დისტანცირება, იზოლაცია, დაწვა) უსიტყვოდ აღესრულა. ჩანს, რომ ჩვენი წინაპრები „ერთობილი ხევის“ წევრთა სიცოცხლეს მეტად უფრთხილდებოდნენ, ვიდრე საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას. მინდა აღვნიშნო, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება და მისი აღსრულება მაღალი კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაგალითს წარმოადგენს. დამეთანხმებით, თანამედროვე პერიოდში მიცვალებულთან დაკავშირებული ადათის ამ სახით გადაწყვეტა, ჩვენთვის დღესაც ძნელად მისაღებია.

ქართველი ხალხის ყოფითი კულტურისა და მოყვასისადმი თავგანწირვის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ხევსურეთში ანატორიების სევდიანი ისტორია, რომელიც ეპიდემიით ამოწყვეტილ სოფელს უკავშირდება. ანატორია შატილიდან სამი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. იგი მდინარეების – არღუნისა და მუცოს შესართავთან არის აგებული. ნაგებობა შავი ფიქალის ქვითაა ნაშენი. ინტერიერში იარუსიანი საწოლებია ჩაშენებული, რომელიც დრომ ძვალსანახად აქცია. „ჟამით“ სენშეყრილი ხევსურები თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში. ოთხი ათეული წლის წინ თავად მაქვს ნანახი უხეშად გათლილ აკვანთან გარდაცვლილის ჩონხი. გადმოცემით, დედა დასნებოვნების შემდეგ ჩვილ ბავშთან ერთად მისულიყო აკლდამაში და იქ შეგებებია სიკვდილს. ახალგაზდა თუ მოხუცი, ხეიბარი თუ საღსალამათი, ყველა, ვინც გრძნობდა მოურჩენელი ჭირისაგან მოახლოებულ სიკვდილს, ანატორიაში ჰპოვებდა განსასვენებელს. როგორც მთხრობელი აღნიშნავდა, თაროებიდან ადრე გარდაცვლილებს იატაკზე დაასვენებდნენ და თავად იკავებდნენ მათ ადგილს. ასე ელოდნენ სიკვდილს. ამგვარი ცოცხლად თვითდამარხვის შემთხვევა კაცობრიობის ისტორიისათვის არ არის ცნობილი. ხევსურების სიმამაცემ არ შეიძლება არ შეგძრას და მათ მიერ უდიდესი პატივისცემით არ განიმსჭვალო. რამხელა სულის სიმტკიცე, რწმენა და თვითშეგნება ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს, რომ ქვის ერთ პატარა სენაკში დალოდებოდნენ სიკვდილს. ანატორიის მოვლენა მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაგალითია, რადგანაც იცოდნენ, რომ განწირულნი იყვნენ და მძიმე გადაწყვეტილებით მოყვასის გადარჩენას ცდილობდნენ. ასეთია გმირული და, ამავდროულად, სევდიანია ხევსურეთის აკლდამებში ეპიდემიით ამოწყვეტილი ერთი პატარა სოფლის ისტორია.

ეპიდემიები განსაკუთრებულ მასშტაბებს ქალაქებში იღებდა. ინფექციის აღმოსაფხვრელად თბილისის მმართველობა ხშირად მიმართავდა სანიტარულ ღონისძიებებს. მიუხედავად ამისა ჩატარებული სადეზინფექციო სამუშაოები არ იყო საკმარისი. XVIII-XIX სს-ში. ქალაქის შესასვლელთან აარსებდნენ საკარანტინო და სადეზინფექციო პუნქტებს. მათ შორის ერთ-ერთი მცხეთის შემოსასვლელში, სამთავროს ფერისცვალების ეკლესიის მახლობლად იყო გამართული.

თბილისის ქარვასლებში თავს იყრიდნენ ბუხარიდან და თავრიზიდან მომავალი ქარავნები, ავღანეთ-აზერბაიჯანიდან

პანდემიის ისტორიიდან

ანატორი - ნასოფლარი (აკლდამა)

შემოსული ვაჭრები, ჩრდილოეთ კავკასიიდან სამუშაოზე ჩამოსული ხელოსნები და მრავალი სხვა. სტუმრების გარდა ინფექციის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო: სასმელი წყალი, ანტისანიტარია, ბაზარში შემოტანილი არაჯანსაღი პროდუქტი და სხვა. ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში, გარკვეული პერიოდულობით, დედაქალაქმა რამდენიმე ეპიდემია გადაიტანა. მათ შორის იყო: ყვავილის ეპიდემია 1772 წელს; შავი ჭირი – 1811 და 1853 წლებში; ქოლერის ეპიდემია – 1892 წელს; ესპანკის ეპიდემია – 1919 წელს და სხვა.

ქალაქის ქუჩებში ათასი ჯურისა და ზნის ადამიანი იყრიდა თავს. ყველა ეროვნების ადამიანებს ცხოვრების თავისი ტრადიცია ჰქონდა. მიუხედავად განსხვავებული მრწამსისა და ეთნიკური სხვაობისა, მოსახლეობა ლხინსა და ჭირს თანაბრად ინაწილებდა. სოლიდარობა, რომელიც ქალაქის ამქრული ცხოვრების წესს უკავშირდებოდა, თბილისური ყოფის ორგანული ნაწილი გახდა.

მულტიეთნიკურ თბილისს გამორჩეული ტრადიციები ახასიათებდა, რომელიც ეპიდემიების პერიოდში ვლინდებოდა. ინფექციის დროს დაცარიელებულ თბილისში მოსახლეობის დასახმარებლად მხოლოდ ერთადერთი ამქარი რჩებოდა. სწორედ ეს გაერთიანება იღებდა პასუხისმგებლობას, რომ ქალაქს სიცოცხლე შეენარჩუნებინა. ესენი ტყავის გამომყვანი ხელოსნები იყვნენ. მშვიდობიან პერიოდში მათი ყოფა-ცხოვრების წესი და რიგი სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. მედაბაღეთა გმირული ისტორიის გაცნობამდე, თქვენი ყურადღება ძველი თბილისის



რამდენიმე ეპიზოდზე მინდა შევაჩერო.

XVIII ს-დან კავკასიის ქალაქებში სწრაფად იქმნებოდა ახალი პროფესიული გაერთიანებები. თბილისში თვალსაჩინოდ ვითარდებოდა ქალაქური ხელოსნობა და სავაჭრო საქმიანობა. დედაქალაქში ყველა დარგს თავისი ამქარი ჰყავდა. მათ შორის იყო: რკინეულით მოვაჭრეები, მჭედლები, სირაჯები, მეთულუხჩეები, ხარაზები, დერციკები, მედაბაღეები და სხვა. ცალკეული ამქარი კომპაქტურად სახლდებოდა, რაც საფუძველს ქმნიდა თბილისში ერთი დარგის ხელოსანთა ქუჩა-რიგები გაშენებულიყო (ბამბის რიგი, ვერცხლის ქუჩა, ღვინის აღმართი და სხვა).

სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მშვიდობიანმა თანაცხოვრების ტრადიციამ ამქრის შემადგენლობაზეც იქონია გავლენა. თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში ხელოსანთა კორპორაცია ერთი რელიგიისა და ეროვნების ადამიანებისაგან შედგებოდა, თბილისის ამქრული გაერთანება პირიქით, მრავალეთნიკური იყო. ჩვენში ამქარი არა ნაციონალური და ამღსარებლობის ნიშნით ერთიანდებოდა, არამედ პროფესიული გაწაფულობის ხარისხით. თბილისის ამქრებში ერთად შრომობდნენ ქართველი მართლმადიდებელი და რუსი მალაკნები, თურქი სუნიტი და ირანელი შიიტი, აზერბაიჯანელი თათარი და სომეხი გრიგორიანელი, სპარსელი ცეცხლთაყვანისმცემელი და ქართველი ებრაელი. მრავალეროვან ამქარს ჰყავდა თავისი უსტაბაში, მოლარე, გააჩნდა წესდება, ზნეობრივი ნორმების კოდექსი, ჰქონდა საკუთარი დროშა და გერბი. ამქართა წესდებას მხარს უჭერდა ქართული ფეოდალური სამართალი.

ამრიგად, ოსმალეთის, ირანის, შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, თბილისური ამქარი სარწმუნოებით და ეთნიკური შინაარსით თვითმყოფად გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნითა და ცხოვრების განსაკუთრებული ნირით ხასიათდებოდა. სოლიდარული თანაცხოვრების წესი ყველა მოქალაქეს ავალდებულებდა ეპიდემიების, მიწისძვრის თუ ხანძრის დროს ერთმანეთის გვერდით დამდგარიყო. ამქრის წევრი მოვალე იყო დახმარებოდა ობლებსა და უმწეოდ დარჩენილ მოქალაქეებს. მსგავს ზნეობრივ პრინციპებზე იყო აგებული თელავის, სიღნაღის, გორისა და ახალციხის ამქრული გაერთიანებები.

კვლავ ეპიდემიების ისტორიას დავუბრუნდეთ. თბილისს ხშირად განუცდია შავი ჭირის პანდემია. ზოგჯერ ისე სწრაფად ვრცელდებოდა ინფექცია, რომ ადამიანები იძულებულნი იყვნენ ქალაქი დაეტოვებინათ. მოსახლეობა მოჩარდახული ურმებით აუყვებოდა კოჯრის აღმართს, რათა თრიალეთის ზეგანისათვის შეეფარებინა თავი. თბილისში მხოლოდ უპატრონო მოხუცები, ხეიბრები და ავადმყოფები რჩებოდნენ. ასეთ დროს განწირულ თანამოქალაქეების საპატრონოდ მხოლოდ ტყავის გამომყვანი დაბაღები რჩებოდნენ. ჟამიანობის დროს ისინი ვალდებული იყვნენ ქალაქისთვის მიეხედათ. ამქარი თავის თავზე იღებდა განწირული მოსახლეობის გამოკვებასა და მოვლა-პატრონობას. ჟამიანობის დროს დაბაღ-ხელოსნების ქალაქის „მოწყალების სანიტრად“ გადაქცევა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია იყო.

თბილისურ ყოფაში დაბაღების ეპიდემიასთან ბრძოლის წესი გვიან ფეოდალური პერიოდიდან უნდა მომდინარეობდეს. სხვადასხვა ეროვნებისაგან შემდგარი ტყავის ხელოსანთა ამქარი, მთელი ძალით უტევდა ქალაქში შემოჭრილ ჭირს. მეტყავეთა პროფესიული გაერთიანება „ჟამის“ დასრულებამდე არ ტოვებდა ქალაქს. ცდილობდნენ, თბილისი მარადიორებისა და ხანძრისაგან დაეცვათ. პირველ რიგში ხელოსნები სურსათ-სანოვაგესა და სასმელ წყალს ურიგებდნენდავრდომილებს. საჭმლის მარაგს მოსახლეობა წინასწარ ტოვებდა ქალაქის ერთიან სასურსათო სალაროში. სიკვდილის შემთხვევაში ცალკეული თბილისელი თავისი სარწმუნოებითა და ადათით პატიოსნდებოდა. სათანადო რიტუალის შესრულების შემდეგ გარდაცვლილი ბალდახანით გადაჰყავდათ დღევანდელი ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ერთიან სამარხში იკრძალებოდნენ. შეგირდები, რომელებიც ამქრის „ძედ და შვილად“ ითვლებოდნენ, ეპიდემიის კერიდან შორს გაჰყავდათ. ისინი დაკავებული იყვნენ: სადურგლო და მიწის სამუშაოებით, წყლის მომარაგებით, ქალაქში დარჩენილი საქონლის მოვლით, ქუჩების დასუფთავებითა და სხვა.

დაბაღ-სანიტრები სიცოცხლის რისკის ფასად უნარჩუნებდნენ თბილისს მომავალს. ძნელია იცოდე, რომ შესაძლებელია განწირულის ხვედრი გაიზიარო და, მიუხედავად ამისა, შენი ქალაქის გადასარჩენად იზრუნო. არ შეიძლება ამ დიდებული ადამიანების პატივისცემისა და სევდის გარეშე გახსენება. დაბაღების მოყვასისადმი თავგაწირვისა და მოქალაქეობრივი სულის სიმტკიცეზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ჩვენი აზრით, დღეს არსებული ქალაქური სოლიდარობის განცდა თბილისელი ამქარების, განსაკუთრებით კი მედაბაღეთა ცხოვრების წესიდან უნდა იღებდეს სათავეს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა ეპიდემიის დროს ტყავის ოსტატები ქალაქის სანიტრები გამხდარიყვნენ? რატომ მაინცდამაინც ისინი და არა რომელიმე სხვა ამქარი, თუნდაც, მეთულუხჩეები, ანდა ნალბანდები? აი რას გვიყვება ამის შესახებ ცნობილი ეთნოგრაფი ი. ნანობაშვილი:

ტყავის დასამუშავებელი საამქროები (დაბახანა) წყლის პირას უნდა ყოფილიყო გამართული, რადგან ეს საქმე ანტისანიტარიის კერას წარმოადგენდა. გამდინარე წყალი წარმოების აუცილებელი პირობა იყო. დაბაღები ტყავის მასალას ყასბებისაგან ყიდულობდნენ. ზედმეტი ნაწილების მოშორების შემდეგ ავლებდნენ გოგირდის გამდინარე ნაკადულში და იწყებდნენ მათ დამუშავებას. ტყავის გამოსაყვანად ხმარობდნენ ისეთ ანტისეპტიკურ საშუალებებს, როგორიც იყო: შაბი, კირი, თრიმლი, ნაცარი, მარილი, ალაო, გვარჯილა, კუპრი, ძმარი და სხვა. ტყავის შესაღებად იყენებდნენ ბუნებრივ საღებავებს. მათ შორის: ენდროს, მუხის, თელის, ბროწეულისა და კაკლის ქერქის ნაყენს. ტყავის ნარჩენებისაგან ადუღებდნენ სადურგლო წებოს, რომლის სუნი ქალაქის ბოლოში აღწევდა. მედაბაღეთა ნახელავით მარაგდებოდნენ მეწაღენი, მეჩექმენი, მეუნაგირენი და სხვა.

ალბათ, წარმოიდგინეთ თუ როგორი არაჰიგიენური და ანტისანიტარული საქმე უნდა ყოფილიყო ტყავის გამოყვანის პროცესი. სწორედ აქ იმალება დაბახანის ხელოსნების „მოქალაქეობრივი გმირობის“ საიდუმლეობის არსი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტყავის საამქროში შეგირდი პატარაობიდანვე იწყებდა მუშაობას, მაშინ ცხადი გახდება, რომ დაბაღს ავადმყოფობასთან შემგუებლობა უფრო მეტად უნვითარდებოდა, ვიდრე სხვა ნებისმიერი ამქრის წევრს. წლების განმავლობაში ანტისანიტარულმა საქმიანობამ და შრომის პროცესში ანტისეპტიკური საშუალებების გამოყენებამ, მათ ორგანიზმში დაავადებების მიმართ მძლავრი იმუნიტეტი გამოუმუშავა. ისინი შედარებით ნაკლებად ავადდებოდნენ, ვიდრე თბილისის სხვა მოქალაქეები. სწორედ ძლიერმა იმუნიტეტმა განაპირობა პანდემიის დროს ტყავის გამომყვანი ხელოსნები ქალაქის „სანიტრები“ გამხდარიყვნენ. გარდა იმუნიტეტისა, მოსახლეობას სწამდა, რომ დაბახანის ხელოსნებს ეპიდემიოლოგიურ საქმიანობაში ღვთისმშობლის მადლი ფარავდა, რომელიც კორპორაციის მფარველ სიმბოლოს წარმოადგენდა. „ღვთისმშობელი ყრმით“ მუშამბის დროშაზე იყო გამოსახული. დაბაღ-ოსტატს მაგიურ ფუნქციასაც მიაწერდნენ. ხალხური რწმენა-წარმოდგენით მისი სამოსი, განსაკუთრებით კი ტყავის წინსაფარი, უშვილობის სამკურნალოდ მიაჩნდათ.

ისტორია მეორდება. დღეისათვის მთელი მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. სამედიცინო პერსონალი, პოლიცია, ჯარისკაცები, მებაჟეები და ახალგაზრდა მოხალისეები სიცოცხლის ფასად ებრძვიან პანდემიას. დღეს ისინი დაბახანის ამქრის წევრების უძველესი ტრადიციის გამგრძელებლები არიან. ჩვენი დროის პატრიოტები ქალაქისა და ქვეყნის გადარჩენისათვის თავისი წინაპრების მსგავსად დღესაც ისევე იბრძვიან, როგორც ძველი თბილისის დაბაღები.

თბილისელები ისევე, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები, მოვალედ თვლიდნენ ერთმანეთის მიმართ ტოლერანტული და სამართლიანი ყოფილიყვნენ. მოსახლეობა არასდროს ივიწყებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ქალაქს სიკეთე აჩუქა. თბილისის ცხოვრებაში იყვნენ ჭეშმარიტი მოქალაქეები, რომლებმაც საქმითა და სიტყვით ხალხის უპირობო სიყვარული დაიმსახურა. მათი სახელები ზეპირი გადმოცემით შემორჩა არა ერთ ქუჩასა თუ მოედანს, უბანსა თუ დასახლებას. ისტორიამ ისინი ძველი თბილისის „მისამართებში“ შემოინახა. ლეგენდის სახით ქალაქის ზეპირსიტყვიერებას შემორჩენა 1919 წელს ისპანკის ეპიდემიის წინააღმდეგ მებრძოლის, თბილისის საბჭოს საგანგებო კომისიის წევრის, ექიმ ივანე გომართელის სახელი. მისი ღვაწლი ქალაქის საზოგადოებამ შინაარსით თბილ და ფორმით მარტივ პწკარედში შემოგვინახა. აი ისიც: „ვენაცვალე გომართელსო, ავად გავხდე, მომარჩენსო“. გვჯერა რომ ეს სიტყვები ისტორიის მარადიულ სივრცეში იტრიალებს. ასე იქნება დღევანდელი ჩვენი გმირების სახელებიც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხელისუფლება. როგორც იქნა მივხვდით, რომ ქვეყნის გადარჩენა პროფესიონალებისა და პატრიოტების ძალიხმევით შეიძლება. მჯერა, რომ ეპიდემიის დასრულების შემდეგ ე.წ. „ჩარეცხილების“ შესაძლებლობები კიდევ უფრო სრულად წარმოჩინდება.

პანდემია დაუნდობლად ექცევა მსოფლიოს. კორონავირუსმა ნოკდაუნში ჩააგდო სამყარო. ნოკაუტი -კი ჩვენ უნდა მოვიგოთ. დავუდგეთ თანამედროვე გმირებს გვერდში და ნუ გავურთულებთ მათ საქმეს. ისინი სამშობლოს არა ქანცგაწყვეტილნი, არამედ ენერგიით სავსენი სჭირდება. ამიტომ ჩვენც შევუერთდეთ მათ მოწოდებას: „დავრჩეთ სახლში“!

გიორგი ხარაიშვილი

***

არ გიცნობ.
არ გიცნობ
არ გიცნობ...
და ქარი მეძახის გარედან...
არ ვიცი, თუ როგორ განგივრცო,
ეს ვნებით დაღლილი პლანეტა...

შემოდი,
შემოდი,
შემოდი,
ეს კარი ღიაა ბოლომდის...
და მერე თაროზე შემოვდებ
ამ საწყალ ეჭვებს და მოლოდნს.

იხსნება ზღვის თეთრი ნიჟარა,
ზღვა მღერის
სიცოცხლის არიას...
ეგ თმები, გთხოვ, არ გაიშალო
ქარია,
ისედაც ქარია...

ტალღები... და ტალღის ტანდემი
ზიდავენ დაგრეხილ კანაფებს...
ედგარის დამდევენ ლანდები:
„ანაბელ
ანაბელ
ანაბელ“...

და მე კი
არ გიცნობ,
არ გიცნობ...
და ქარი მეძახის გარედან...
არ ვიცი,
თუ როგორ განგივრცო,
ეს ვნებით დაღლილი პლანეტა...

***

ოთახის სინათლეს იზიდავს
ქოთნიდან ყვითელი ბალბა...
ირხევა სწორკუთხა პრიზმიდან
გაქცევას თუ ლამობს, ალბათ...

მეც ყვითელ ნაჭუჭში ვკანკალებ,
ვილესავ დაღრეცილ ნისკარტს,
და ისე მწყურია გაქცევა,
საკუთარ სიცოცხლით ვრისკავ.

ვეხლები კედლების სიმყარეს,
საკუთარ ვნებების საკანს...
და მაინც სულ სხვაგან მივყავარ
ფიქრების სისხლიან საგას...

ხელებით, თვალებით, ნეკნებით
ვეკვრები დუმილის ღრუბელს...
და მთვარის ყვითელი პეპლებით
სავსე მაქვს წყლიანი უპე...

გამოვალ, ოდესმე გამოვალ
თუ ცრემლით ნაჭუჭი დალბა...
ჰო, ალბათ, ეჭვების გამოა,
რომ ხმება ქოთანში ბალბა...

***

საიდან სადამდე, საიდან
სადამდე, მივა და გასტანს...
ან კიდევ როდემდე აიტანს
ეს გული არყოფნის განცდას...

ფანჯრებზე მიკრული ზამთარი
ოთახის სიმშვიდეს მიყოფს...
თუ ახლა რაღაცა დამთავრდა,
ეს ნიშნავს, რომ რაღაც იყო...

გაკვამლულ ფიქრებში ნაგელვებს
მოვიძრობ დუმილის ნიღაბს...
დრო გადის და ისევ მაღელვებს,
დრო გადის და ისევ მიყვარს...

დუმფარის ბალიშზე დაწვება
ჭაობის დამდნარი ორთქლი...
დაყნოსავს სულ ახლად ნაწვიმარ
ბალახებს, ყვავილებს, ფოთლებს...

ფანჯრებზე მიკრული ზამთარი
ოთახის სიმშვიდეს მიყოფს...
კარგია, რაღაცა დამთავრდა,
ეს ნიშნავს, - რომ რაღაც იყო...

თებერვალი

თუ თებერვალი ღრუბლის ზეფირებს
ყინვით ალესილ კბილებს დაასობს,
თუ შენ სიყვარულს დაიზეპირებ,
უავტოროდ და უშინაარსოდ...

თუ შენი ტანის ყველა პარალელს
არ შეერევა ზამთრის სიფითრე,
თუ ოცნებები დაგიფარავენ,
თუ კი სიკვდილი გადაგიფიქრებს...

თუ კი ოთახი ეჭვებს იკავებს,
როგორც შემცდარი ყავით მკითხავი,
მაშინ მაგ მკერდის უცნობ იგავებს,
ჩემს ნაცვლად სხვები წაიკითხავენ...

***

შენ ხის ტოტი ხარ, –
ფრთებდამსხვრეულ ჩიტებს მოელი,
რომ ნოემბრის მზე შეიფარო
ჩრდილქვეშ ინახად...
და ყვითელ ფოთლებს,
როგორც პირველ,
მიმკვდარ სიყვარულს
– ისე ინახავ.
მე ხის მჭრელი ვარ,
გაბურული ფიქრის მეხოტბე..
და კარგად ვიცი,
მთელ ესკადრას შენი ნავი სჯობს,
და მაინც, მოჭრას ვამჯობინებ,
რომ მე ამ ტოტზე
– თავი დავიხრჩო...

უმისამართო მონოლოგი

ჩემო ქალაქო, ჩემო ქუჩავ,
ჩემო გამზირო,
ჩემო სოფელო, ჩემო ხიდო,
ჩემო სადგურო...
თქვენ შეგიძლიათ
მოგონების ჭაში ჩამძიროთ,
თქვენ შეგიძლიათ
ერთი ნახვით გამანადგუროთ...

თქვენ შეგიძლიათ ჩემი ჩონჩხი
თქვენკენ დახაროთ:
ჩემო პოლუსო, ჩემო გრძედო,
ჩემო განედო...
თქვენ შეგიძლიათ დამანახოთ,
რომ ეს სამყარო,
მხოლოდ ქვიშაა...
და ფერფლია უერთმანეთოდ...

და ამიტომაც დავეძებდი,
ახლაც დავეძებ
მას, ვინც მიმიღებს, შემიყვარებს
და მიღალატებს...
ვინც განმიახლებს მოგონებებს
სისადავეზე
და გადაღებავს ჩემი სულის
შავ-თეთრ პალატებს...

თუმცა...
არავის შესძლებია რამით გამართოს,
რომ თითქოს ეჭვი შესევია მათ ხმებს,
მათ გულებს...
მე კი დავდივარ და დავეძებ
უმისამართოდ
მას, რაც მადარდებს, რაც მაცოცხლებს
და მანადგურებს...

ნათია ჭინჭარაული



***

ფიქრმა სიფხიზლე ვერ აისხლიტა,
იქნებ ლოდინიც თავს უშველიდა...
როგორც დაჭრილი ცხელი სისხლისგან,
ისე მეცლება ღამე ხელიდან...

რჩება სიჩუმე ბოლო პასუხად
და გულისცემაც ექოს გაივლებს..
გთხოვ, მომცე ნება –
წყალი დავუსხა
შენს სულში ჩემთვის დარგულ
ყვავილებს..

***

მივდივარ
რხევით,
ნაზად და სადად...
მარადიული ჩამესმის ხმები,
ვხვდები, რომ შევცდი და მაგის გარდა
კიდევ უამრავ რაღაცას ვხვდები...

რაც არ არსებობს,
გამოვიგონე,
როგორც
ანდრეზი,
მითი,
ბალადა...
ხდება მას მერე – ყველა სტრიქონი
შენი სრულყოფით დამიავადდა.

გახდი საწყისი წერტილი,
ღერძი..
გახდი
ნაპირი,
ნაპრალი,
სივრცე...
ხდება მას მერე – სიფხიზლეს ვებრძვი
და ვერ შევძელი თავი ძილს მივცე.

ვსახლდები, სადაც თეთრია ღამე
და სიზმრებიდან შიში გადმოდის,
შიში, რომელიც გავათამამე,
შიში, რომელსაც სულ გავურბოდი...

ნიშნად სიმშვიდის მივდივარ რხევით,
დრომ შეაყაროს ამ კედელს ცერცვი...
ვგრძნობ, არაფერი ხდება შემთხვევით
და ეს შემთხვევაც რაღაცას შეცვლის!

***

უარვყოფ
დღეებს,
სახელებს,
დოგმებს,
ომებს ცივსა და ფარულჟინიანს,
როგორც სურვილი – ფეხდაფეხ მოგდევ
და ასრულების არ მეშინია...

როცა ფანჯრიდან ფრთხილად შემოდის
ქარი და იქვე კუთხეში წვება,
სიუცხოვე მაქვს მე უშენობის
და საუცხოო ტრიალებს ვნება.

უსასრულობას არაა აქვს ზღურბლი,
არც დასაბამი არა აქვს ერთი,
ფიქრი კი მაინც გადააქვთ ღრუბლებს
დასავლეთიდან აღმოსავლეთით...

და დგება წყალი მიწიდან ცამდე,
რომ ჩამოყაროს ღრუბლის ქვირითი...
ამ ყველაფრიდან იმ არაფრამდე
მე შენთვის ვცხოვრობ, ანდაც პირიქით..

***

სულერთი...
სულ ერთად კიდევაც
ქუჩებმა ათასჯერ დაგვლანდეს,
გზის იქით თუმც გზები კიდეა
ვის ჯერა დროის ან კალენდრის...

ჩემს ნაბიჯს წარსული ამძიმებს…
შენს სიტყვას მომავლის სუნი სდის,
ამცირებს დროსა თუ მანძილებს,
ამრავალფეროვნებს სუიციდს.

სულ იცდი... არაცხად ხერხებით
შეხებით დროს ეორჭოფები..
მზე აჭერს პლანეტის ხერხემალს
მიწას უმკვეთრდება ჭორფლები.

მოფრენილ ამბებთან
საშიშად მშვიდი ვარ
ან სააშკარაოდ პირისპირ...
რომ ჩვენი ფიქრი თუ იდეა
დიდია
სიცოცხლის ქირისთვის.

***

ჩემს გზას –
არამნირს,
არამიწიერს,
შეუცნობელს და შეუდარებელს –
ქარი ხეებმა გადაურნიეს,
ხეებს ქარები დააბერებენ...

რეალობისგან თავს თუ დაიხსნი,
მაშინ ცხოვრებამ ისიც გაცალოს,
რაც აღმატებით არის ხარისხში
და არასოდეს არის საცალოდ.

ის რაც აქამდე
არა და ვერ თქვი,
ის რასაც
სხვაგან მალავენ თურმე,
მე ვნახე ჩემს სახლს სისხლივით მკვეთრი
როგორ ჩაექცა თავში სიჩუმე..

თუმც გამოხურულ კარების აქეთ
ღმერთმა თუ გკითხა, ნუ ღელავ კაენ,
ჩემი ლექსები, რომლებმაც გამთქვეს,
ეტყვიან მიზეზს რისთვისაც კლავენ...

***

საკმარისია, რასაც მალავდი.
ქარს აქ არ უნდა გამოყოლოდი,
გრძნობ,
გადამფრენი ღრუბლის დალანდვა
თვალებს უტოვებს წვიმის მოლოდინს.

რუხი დღეები
მიყვა და მიყვა,
არ გამოლია სევდის ლიმიტმა,
გრძნობ,
ისარივით მოზიდულ სიტყვას
ეს ყრუ სიჩუმე როგორ ისხლიტავს.

ღამე ყოველთვის
უფსკრულს გაგონებს,
ფიქრს კი სიცხადის ჩუმი შიში სდის...
და დღეებს – სევდით სავსე ვაგონებს
ვეღარ დაუცდი მგზავრის სიმშვიდით.

გააცლი ფიქრებს თითეულ სტრიქონს
ვით დაბერებულ ხეების მერქნებს...
ამ ცხოვრებისთვის კი არა, თითქოს
იცი, რომ რაღაც მეტისთვის შეგქმნეს.

***

ეს ღამეც –
თეთრი,
მკაცრი,
ურყევი,
საათებია მიყურებს სახტად,
მე კი ვწევარ და ჩემს თავს ვუყვები
დღეებს, რომელიც ერთად გადაგვხდა...

***

და თუ ბრუნვაა –
ვირჩევ წოდებითს!
წვიმა გადანერს სევდის ეტრატებს...
მივდივარ,
მაგრამ კი არ გშორდები,
გიახლოვდები დეციმეტრამდე.

იქნებ ასეა,
ან ვცდები იქნებ...
სურვილის ისრებს ბრმადაც ისვრიან,
სხვას თუ ეყოფა რომ მასზე ფიქრობ
ჩემთვის ეგ არასაკმარისია.

იდეალისტებს გვღუპავს იდეა,
ყოფის სრულყოფა
მსხვერპლი,
დილემა,
რომ ვერ გადათვლი ის სიმდიდრეა
და რომ ინატრებ ის ცდომილება!

სანამ წარსული გაუკერპდებათ
გადარჩენილი დროის ნამტვრევებს,
სადაც მაგ სავსე სულის პეპლებმა
ჩემი მსუბუქი სული დამტვერეს,

ვგრძნობ შეციებულ თითის ბალიშებს
მაინც ათბობენ სიტყვის ძონძები...
და გთხოვ ამ გზაზე სულ ნუ გამიშვებ,
და თუ გამიშვი – ნუღარ მომძებნი ...

ძველი ნასოფლარები ჯავახეთში

სირგვი

მდებარეობს ბარალეთის ჩრდილოეთით, ორ კილომეტრზე დაშორებით მისგან. ორი პატარა ხევის შესართავთან, ღამაზი მრგვალი მთის ძირში, რომელზედაც ტყე სულ არ არის. ნასოფლარები ძალიან კარგად ემჩნევა ისე, რომ მნახველმა რომ მოინადინოს შენობის ადგილების ნახვა, შეუძლია, რომ დათვალოს. ნასოფლარს სამხრეთით, კლდეზე აქამდის შენახული აქვს პატარა საყდარი, რომელსაც ხალხი „წმ.გიორგის“ უწოდებს. კედლები ნაგებია უბრალოდ გათლილი ადგილობრივი შავი ქვით და კარგადაც არის შენახული, თაღი კი (საკურთხევლის გარდა) მთლად ჩამონგრეული აქვს, ამ 6-7 წლის წინედ კი მთელი იყო.

ნასოფლარის მახლობლად, დასავლეთისკენ რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე, წყლის მარცხენა მხარეს, კლდეში არის ხვრელი (მაღარო), რომელშიც კაცი მოზუკული ძლივს შეეტევა. რაკი კარებს გასცილდება, **შეუძლია წელში გასწორდეს. მე თითონ შევსულვარ. ამბობენ, რომ ეს მაღარო აღნიშნული გორის თავზე და სოფლის ერთ მხარეს გადისო. ვინ იცის,** რამდენ განნირულს შეუფარებია თავი, ლეკიანობის დროს? რადგან ხალხი ამბობს, რომ ***„ეს სოფელი (სირგვი) ლეკებს აუოხრებიათო“.***

სირგვის ეკლესიაზე არავითარი წარწერა არ შენახულა.

ხიდიჯვარი

ნასოფლარია ბარალეთის სამხრეთით, ორ ვერსზე, მდინარე „დიდი წყლის“ მახლობლად (ბატონიშვილი ვახუშტი ამ „დიდ-წყალს“, „ბარალეთის წყალს“ უწოდებს), ნასახლარები ძალიან კარგად მოსჩანს. არის პატარა საყდარიც, რომელიც ძალიან დაზიანებულია, ოთხივე კედელი და თაღი ხომ სულ აღარ აქვს.

ამ დიდ წყალზე, წინედ, გადებული ყოფილა დიდი ხიდი, რომელზედაც ჯვარიც ყოფილა და სოფელსაც, მოხუცების გადმოცემით, ეს სახელი მიუღია. ამ ნასოფლარის ცოტა ქვემოთ ახლაც არის ხის მშვენიერი ხიდი, რომელიც აერთებს სოფლებს: ბარალეთს ბუღაშენთან[1] და სხვა.

ამ ხიდთანვე არის დიდი ეკლესიის ნანგრევები (შენახულა: ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და ნაწილობრივ დასავლეთის კედლები, სამხრეთით კი საძირკველიც აღარ არის. ეკლესია თავის დროზე შესანიშნავი იქნებოდა თავის სიმაღლით, სიდიდით და სხვა, მაგრამ ახლა უნუგეშოდ არის მიტოვებული. გარშემო არაფერია ნასოფლარი ეკლესიისა და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეკლესიაც და მისი მიდამოც (რომელიც ახლა საყანე მინებად არის გამოყენებული) ბარალეთის ნაწილი ყოფილა, რადგან სულ რომ უარი ვსთქვათ ამაზე, არ იქნება, რადგან ვახუშტის თქმით – ***„ბარალეთი არს მცირე ქალაქი“*** **(„გეოგრაფია“) და, ალბათ,** აქამდის უნევდა მისი ერთი ნაწილი, მით უმეტეს, რომ საყდარს და ბარალეთს შორის არ არის დიდი მანძილი. და, დაუშვათ, რომ ეს ასე არ არის, მაშინ, თავის თავად, კითხვა იბადება: მაშ ვის რად ეჭირვებოდა ამოდენა ეკლესია? თუ არა, ისევ „მცირე ქალაქს“ (ე.ი. ბარალეთს).

მით უმეტეს, რომ ადგილი, სადაც ეკლესია სდგას, უწინაც ბარალეთს ადრეც და ახლაც მასვე ეკუთვნის.

ამ ეკლესიაზე დედაჩემმა (რახელ ესტატე ბერუაშვილის ასულმა გოგოლაძემ) მიამბო შემდეგი თქმულება: ***„ერთი ობოლი და-ძმანი ყოფილან. ძმა სადღაც დაკარგულა, როცა გაზრდილან ორივენი,*** შეხვედრიან ერთმანეთს, მოსწონებიათ ერთმანეთი და ვაჟს ქალი ცოლად შეურთამს (რადგან როცა ვაჟი დაკარგულა, მაშინ ბავშვები ყოფილან) და ერთმანეთი ვეღარ უცვნიათ. შესულან და ამ ეკლესიაში ჯვარი დაუწერიათ. ღმერთმა არ უყაბულა იმათს და ეკლესია მათთვის პირქვე მოუქცევია და ქვეშ მოუტანია შემცოდე და ძმაო“.

ალანთა

ნასოფლარია სოფელ ბალანთას (ბალანთა ძევს სოფელ ბარალეთის ჩრდილო მხარეს 8 ვერსის დაშორებით) დასავლეთის მხარეს, ნახევარ კილომეტრზე. **პატარა ნასოფლარი ყოფილა. არის ნაეკლესიევი, ორმოები (ალბათ,** პურისთვის) და შენობების ადგილები.

ალანთა იხსენიება ერთ ხალხურ ლექსში, რომელსაც „ჭონას“ უწოდებდნენ ჯავახეთში და მღერიან გოგო-ბიჭები აღდგომის წინა დღეებში (უფრო ღამ-ღამობით), როცა „ჭონაზე“ დადიან და აღდგომისთვის საერთო კვერცხს აგროვებენ.

აი ეს ლექსიც:

„ალანთასა, ბალანთასა,
ჩამოვკიდამ კალათასა;
ადე, ქალო, კვერცხი ჩადე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“... და სხვა.

ნასაყდარი ალანთას ადგილი წარმოადგენს ახლა საძოვარ ადგილს სოფელ ბალანთისას.

მიმინეთი

ნასოფლარია სოფელ კაჭიოს (კაჭიო მდებარეობს ბარალეთიდან ოთხ კილომეტრზე ჩრდილოეთით) აღმოსავლეთით, ბარალეთის წყლის გაღმა მაღლობზე.

შენობის ადგილები ძალიან კარგად ემჩნევა. არის ნაეკლესიარებიც. საფიქრებელია, რომ იგი ძველად კაჭიოს ნაწილს შეადგენდა. სოფელი ღამაზ მაღლობ ადგილს ყოფილა გაშენებული.

თვით სოფელი კაჭიო არის ძველი, ქართველთა სოფელი, სადაც ამჟამად მოსახლეობენ სომხები. კაჭიოს შუაზე, მაღლობ ადგილას, აგებულია ღამაზად ნაგები მომცრო ეკლესია, რომელიც აქნობამდის კარგად არის დაცული. თაღი (საკურთხევლის გარდა) ჩამონგრეული აქვს. დანარჩენი სულ კარგად არის დაცული. ეკლესიის დასავლეთის კედელზე, ფანჯრის ზემოდან, ერთ სტრიქონად დაცულია შემდეგი ასომთავრული წარწერა: ***„ქრისტე შეიწყალე პავლე“.*** ეკლესიის წინ არის ძველი სასაფლაო. ზოგ საფლავზე არის მშვენივრად გამოქანდაკებული (ქვისგან) ცხენები, ვერძები და სხვა. კარგი იქნება, რომ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ამას ყურადღება მიაქციოს და ეს შესანიშნავი საფლავის ქვები მუზეუმისთვის წაიღონ, რადგანაც მას მოსახლეობა ანადგურებს.

თვით ეკლესია კი ადგილობრივ კოლმეურნეებს გამოყენებული აქვთ სამეურნეო იარაღების საწყობად.

ნეღრეკი

ნასოფლარია სოფელ იხტილის ზემოთ (იხტილას ჩვენს მატიანეში ეწოდება „ღრტილა“), მოზრდილი ხევის ნაპირზე. ამ ხევში მოჩხრიალებს სამსრების წყალი, რომელშიც გემრიელი კალმახი ბუდობს. ნასახლარები ძალიან კარგად ემჩნევა. ეტყობა, რომ არ ყოფილა დიდი სოფელი. გარშემო ნასოფლარს აკლია ქვის გალავანი. როგორც დასავლეთის მხრიდან სჩანს, გალავანი მეტად მაღალი ყოფილა, შემდეგ, დროთა განმავლობაში, გალავანი თანდათან დაქცეულა და დადაბლებულა, დასავლეთისკენ კი დარჩენილა დაუზიანებლად. ამ მხრიდან შედის კარები სოფელში, რომელსაც ისეთი უზარმაზარი ქვის ბალავარი აქვს გადებული, რომ რამდენიმე სულ ხარს გაუჭირდება მისი გათრევა. თვით გალავნის ეს ნაწილი დიდრონი ლოდებით არის მოქცეული მთელი ნასოფლარი, რომ, მტერთაგან, თავის დაცვის მიზნით, უზრუნველყოფილიყვნენ.

ნასოფლარის შუაზე დღემდის დაშთენილია წითელი ფერის თლილი ქვისაგან აგებული ღამაზი ეკლესია, **1936 წლის გაზაფხულამდის მოაღწია მან სრულიად ისე, რომ თაღის გარდა დანარჩენი ყველაფერი მთელი იყო. თვით საკურთხევლის კამარაც კი. აღნიშნულ წელს კი** ახალქალაქის რაიაღმასკომის თავმჯდომრის, გამომჟღავნებული ხალხის მტრის და ქართველთა დიდი მოძულის, გვარად თუმასიანის განკარგულებით, ვითომც „მასალად გამოყენებისთვის“, აღნიშნული ძეგლი მატერიალური კულტურისა, ნახევარზე მეტად დააქციეს და ღამაზი ეკლესია დაამახინჯეს.

იქნებ სულაც დაექციათ იგი, მაგრამ მე ამისთვის განცხადებით მივმართე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, რის შემდეგ შეაჩერეს დანარჩენის დაქცევა. ეკლესიაზე არავითარი წარწერა არ არსებობს. თვით ამ ნასოფლარ ნეღრეკის ჩრდილო-დასავლეთით, თითქმის ორ კილომეტრზე, არის ძველი ქართველთა სოფელი იხტილა, რომელშიც, ამჟამად, მოსახლეობენ სომხები. როგორც აღვნიშნე, ამ სოფელს ჩვენს მატიანეში ძველად იხტილის მაგიერ „ღრტილა“ ეწოდებოდა და მით არის შესანიშნავი იგი, რომ აქ მოხდა, სხვათა შორის, ის საპაექრო (საპოლემიკო) კრება, რომელიც მოიწვია მეფე ბაგრატ მეოთხემ (1026-1072), ამ კრებას დაესწრნენ ქართველთაგან: ბერი ეფთიმე გრძელი, ანუ იერუსალიმელი და სომხთაგან: სოსთენ მარმაშნელი. აქ დაიწერა ქართული ძეგლი: ***„სიტყვის გებაი ეფთიმე გრძელისაი,*** სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღვრისა“. რომელიც დღემდის დაცულია და დაბეჭდილიც (მიხ. საბინინი: „საქართველოს სამოთხე“ 1882 წ. სანკ. პეტერბურგს. გვ. 615-621). პროფ. ლეონ მელქისეგ-ბეგი ამ ძეგლს „ტრაქტატს“ უწოდებს.[2] ეს კრება მოწვეული იქნა 1046 წელს.

აი სწორედ ამ სოფელში, დასავლეთის მხარეს, წყლის პირად ამართულს მაღლობზე სდგას ბაზილიკური რიგის ეკლესია, შეძერწილი წითელი ფერის თლილი ქვით, რომელსაც გარშემო ავლია ქვის კარგი გალავანი. თვით ეკლესიას ჩვენს დრომდის ჩინებულად მოუღწევია, მხოლოდ დაზიანებულია მისი დასავლეთის კედელი, დიდი მიწის ძვრის დროს ჯავახეთში 1899 წელს, რომელმაც მრავალი სოფელი დააქცია და თვით სოფელი იხტილაც, ამ მიწის ძვრის დროს აღნიშნული კედელი გაყოფილა და შემდეგ შეუკეთებიათ სხვა ქვით, რომელზედაც არის შეკეთების წელი და სომხური წარწერა.

ეკლესიის სამხრეთის კედელზე, კარებს ზემოდან, ორ სტრიქონად დაცულია ქართული ასომთავრული წარწერა ამოჭრილი ღამაზად. აი ეს წარწერა: ***„გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის ცოლისა, და თმოგველთა ქალისა*** რუსუდანისაგან. შეუნდვეს ღმერთმან. ქორონიკონი იყო: ფ კ ჰ = ***528.***

ჭორვინის ძესა იოანეს, შეუნდვენ ღმერთმან“.

გამოდის, რომ ეკლესია აგებულია 1308 წელს[3].

ეკლესია ამჟამად ხორბლის საწყობად გამოყენებული აქვს ადგილობრივ კოლმეურნეობას.

დასასრულ აღვნიშნავ, **როგორც პროფ.** ლეონ მელქისეთ-ბეგმა პირადი საუბრის დროს გადმომცა, იგი ფიქრობს, 1046 წელს მომხდარა საპაექრო კრება არა თვით იხტილაში, არამედ ს. ბარალეთის ადგილში, სადაც აღმართულია ქვის სვეტი ამაღლებისა, რომელიც სდგას სახნავ-სათეს მინდორში, ბარალეთის ჩრდილოეთის 2 კილომეტრზე.

რადგან იმ დროს ასეთი კრებები (როგორც, მაგალითად, რუის-ურბნისისა /1103 წ./ მინდორზე ხდებოდაო. ჩემ კითხვაზე, რომ თუ ასე ყოფილიყო, ბარალეთის სახელით იქნებოდა ეს კრება და არა ღრტილისა, რადგან აღნიშნული ამაღლების მინდორი ს. ბარალეთს ეკუთვნის-მეთქი, მან ამაზე მიმიგო, რომ შეიძლება იმ დროს ბარალეთი ჯერ არც არსებობდაო და არც ღრტილას არის ბევრით დაშორებული (2 კმ ნახევარი იქნება). შეიძლება ეს ასეც იყვეს და არც იყვეს, მაგრამ ეს ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს (ისტორიკოსთ საქმეა) და სჯობს გავჩუმდეთ.

სოფელ იხტილაზე და მის ეკლესიაზე, სოფელ ბარალეთში მცხოვრებმა გლეხმა გრიგოლ ლევანის ძე გოგოლაძემ გადმომცა შემდეგი თქმულება: ***„დღევანდელ იხტილის ადგილას ძველად იყო ხშირი*** ტყეო[4] და ძალიან ბევრი იცოდა ამ ტყეებში ირემიო. ერთხელ ამ ადგილას თავისი ცოლით ნადირობდა ქალაქ თმოგვის პატრონიო. მოკლეს ერთი ირემი, დაანთეს ცეცხლი დღევანდელი ეკლესიის ადგილას და მწვადი შესწვეს და ჭამესო. ჭამის შემდეგ ქალმა გადახედა იქაურობას და ძალიან მოეწონა, მეტადრე ცივი წყაროს წყლები, რომელიც ახლაც ბევრია ღამაზი ტყიანი ადგილი და ქმარს უთხრა: „აქ საყდარი უნდა ავაშენო, კარგი ადგილია და ოდესმე სოფელი გაშენდებაო“. თქვა და კიდეც ააგო საყდარიო, რომელიც ახლაც არის და სოფელიც მართლა ხომ გაშენებულა და ახლაც არისო“.

ღამაზი თქმულებაა და როგორც უნდა ვიფიქროთ, მას მართლა რაიმე კავშირი უნდა ჰქონდეს ისტორიულ სინამდვილესთან, მით უმეტეს, რომ ეკლესიის წარწერაში იხსენიება ვინმე თმოგველთა ქალი „რუსუდანი“.

ცივი წყარო

ნასოფლარი სოფელ ბარალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6-7 კილომეტრზე დაშორებით. ე.წ. ბარალეთის იალას გზაზე, სოფელ აგანას ზემოთ, 2 კილომეტრზე. არის ნასახლარები, პატარა მომაღლო გორაზე. არის დიდი ლოდებით შემოზღუდული, სამლოცველოსნაირი ადგილი. რა თქმა უნდა, დღეს იქ არავინ ცხოვრობს.

მურჯი

ნასოფლარია სოფელ კოთელიას მინდორში, ჩრდილო-დასავლეთით, ერთ კილომეტრზე ცოტა მეტზე დაშორებით. სოფელ ბარალეთის დასავლეთით, **3-4 კილომეტრზე,** არის ნასახლარები, ციხის ნანგრევები და დარანი. მიწის ქვეშ გაყვანილი ხვრელი, რომლის შესახებაც კოთელიელები გადმოგვცემენ, წყლამდი ჩადის, რომელიც ნასოფლარ მურჯის აღმოსავლეთიდან ჩაუდის ნახევარი კილომეტრის მანძილზე. დღეს იგი ეკუთვნის სოფელ კოთელიას და წარმოადგენს კარგ სახნავ-სათეს მინდორს, რომლის მოსავალიც განთქმულია ჯავახეთში.

ვარდი-ციხე

ნასოფლარ მურჯიდან დასავლეთისკენ გასდევს ძალიან გრძელი ქედი, რომელიც სიგრძით 6-7 კილომეტრზე მეტი გამოვა, რომ გაიზომოს. ამ ქედის ოდნავ დავაკებაზე, მურჯიდან 5-6 კილომეტრზე დაშორებით, არის მოზრდილი ნასოფლარი ვარდი-ციხე. სოფელ ვარევნის აღმოსავლეთ მხარეზე, ერთი კილომეტრის დაშორებით მისგან, ნასახლარები იმდენად გარკვევითა სჩანს, რომ მსურველს შეუძლია დათვალოს. ნასოფლარის შუაზე არის ღამაზად ნაგები თლილი წითელი ფერის ქვის საყდარი, რომელსაც თაღი მთლად ჩამონგრეული აქვს. კედლები კი კარგად არის დაცული, სამხრეთის კედლის გარდა, რომელიც ოდნავ დაზიანებულია. სამხრეთის კარებზევეა (ზემოდან) ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც, დროთა ვითარების გამო, მზეს, ავდარს და ქარს იმდენად წაუშლია, რომ აღარც კი იკითხება.

რადგანაც ნასოფლარი ქედზეა, ამიტომ აქედან ხელის გულივითა სჩანს მთელი ჯავახეთის მინდორი, რითაც მნახველი ერთგვარ სიამოვნებას განიცდის.

თვით სოფელ ვარევანში ქართველების ეკლესიის გალავანში, ღობესთან არის მიყუდებული დიდი ლოდი, ისევე გათლილი, **რომელიც ძველად ეკლესიის ბალავარი ყოფილა, რასაც ამტკიცებს ქვებზე უსწორმასწოროდ ამოჭრილი წარწერა, რომელიც წაიკითხა 1933 წელს დოცენტმა** ნიკო ბერძენიშვილმა აი ეს წარწერაც: ***„სახელითა ღვთისაითა, დაიდგა ესე ბალავერი ხელითა ცოდვილისა იოანეს და გაბრიელისაითა, ქორონიკონი იყო ს.მ.„*=(240).**

გამოდის, რომ ეკლესია აქ 1020 წლიდან ყოფილა. წარწერა ქვაზე ამოჭრილია ქართული ასომთავრულით.

მურჯიკანი

ქ.ახალქალაქიდან 6-7 კილომეტრზე დაშორებით, დასავლეთის მხრით, ზედ ხევის პირზე, რომელშიც ჩადის მდინარე ფარვანა, ანუ ახალქალაქის წყალი, **ნასოფლარი კარგად ემჩნევა. არის მოზრდილი, წითელი ფერის ქვით ნაგები ეკლესიაც, რომელიც კარგად არის დაცული (ჩამოქცეული აქვს მხოლოდ კამარა). მურჯიკანი განთქმულია თავისი უხვი მოსავლით. აქედან არიან სოფელ ბარალეთში ამჟამად მცხოვრები მურჯიკნელები. მურჯიკანი ეკუთვნის სოფელ პტენას.**

15.09.1937 წელი
(სტილი დაცულია)

გიორგი გოგოლაძე

---

1 ეს სოფელი დაარსებული უნდა იყოს, ჩემის აზრით, მესხეთის კანონმდებელ, ერისთავ აღბუღასაგან (თუ ბუღასაგან? გ.გ.)

2 „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“... ტფილისი, 1928 წ. გვ. 105-120. აგრეთვე: პროფ. კორნ. კეკელიძე: „ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში“, „ჩვენი მეცნიერება“. N 2-3, 1923 წ. გვ. 108-114. მისივე: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ.1 1923 წ. გვ. 541

3 წარწერა ამოიკითხა 1933 წელს ჯავახეთში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ნიკო ბერძენიშვილმა, საიდანაც ვისარგებლე მეც (გ.გ.)

4 ამას ბევრი მოხუციც ამტკიცებს. ცნობილი ისტორიკოსი ალ. ფრონელი (ყიფიძე) ამტკიცებს ამას (იხ. მისი წიგნი „დიდებული მესხეთი“, 1915 წ.) მიუხედავად ამისა, საოცარია, რომ განთქმული ქართველი გეოგრაფოსი ბატობიშვილი ვახუშტი რატომ უწოდებს

რეცენზია

„...ვინც დიდებით სხვებზე სჯულია!..“



ისტორიული წარსულის ამსახველი თხზულებები, თუნდაც სამიჯნურო, საგმირო-სარაინდო, თავისთავად, მეტ ინტერსს იწვევს მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველში, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურა ან დოკუმენტური პროზა. ისტორიული პერიპეტიების მხატვრულად წარმოჩენა მუდამ ასაზრდოებდა ქართულ მწერლობას. ეს წარსული შეიძლება ყოფილიყო ჩვენი ეროვნული სულისკვეთების ამსახველი, ან მეზობელი ქვეყნების (თუნდაც არაქრისტიანული) ისტორიული ცხოვრების ყოფითი პრობლემების გააზრება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ისტორიული პროზა, რომელსაც ჯერ კიდევ „აღორძინების“ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, როდი იყო კარჩაკეტილი, პირიქით, მხატვრული სიტყვის ოსტატნი ესწრაფოდნენ ხატოვნად წარმოეჩინათ ამა თუ იმ ქვეყნის წარსული. ამიტომ იყო, რომ ჩვენში აქტიურად იქმნებოდა როგორც ორიგინალური, ისე ითარგმნებოდა უცხოენოვანი ლიტერატურა, თუნდაც აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები კლასიკური ხანიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით კი აქტიურდება XVII საუკუნიდან. მეფე პოეტები – ვახტანგ VI, თეიმურაზ I და თეიმურაზ II ჩინებულად ფლობდნენ რა სპარსულ ენას, ორიგინალური ძეგლებიდან თარგმნიდნენ ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. „სპარსული ენის სიტკბომამ, მასურვა მუსიკობანიო“ – წერდა თეიმურაზ I და არც თუ უსაფუძვლოდ, ვინაიდან, საგრძნობი იყო კეთილმყოფელი გავლენა სპარსული ლიტერატურისა ქართულ მწერლობაზე. დღესაც ტრადიციულია ქართულ-სპარსული (ირანული) კულტურული ურთიერთობები. აღმოსავლური პოეტური მემკვიდრეობით დაინტერესება კვლავ ცხოველმყოფელია ჩვენი მწერლობისთვის. ამის ნათელი დასტურია ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის მურმან თავდიშვილის ისტორიული შინაარსის რომანი „ფირდოუსი“, რომელიც გასულ წლის მიწურულს ცალკე წიგნად გამოსცა „ინტელექტმა“ (რედაქტორი, მწერალი, ფილოლოგიის დოქტორი, ნომადი ბართაია). რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დიდი ინგლისელი რომანტიკოსის – ჯორჯ ბაირონის ცნობილი ფრაზა: „მწამს, რომ უფრორე აღმაღლდება სიმღერა თქმული, იმნაირ პირზე, ვინც დიდებით სხვებზე სრულია!“ გამომდინარე იქიდან, რომ, ზოგადად, ეპიგრაფები რამდენადმე ხსნიან თავად თხზულებათა ძირითად იდეას, ამ შემთხვევაშიც „ფირდოუსზე“ წამძღვარებული ბაირონის ხატოვნად ნათქვამი, სავსებით შეესაბამება რომანში ასახულ მოვლენებს. ამდენად, თხზულების ავტორს იგი სრულად მართებულად გამოუყენებია კიდეც, რათა წინასწარ ლაკონურად გამოეხატა თავისი სათქმელი.

დიახ, თავის ეპოქაში პროგრესული აზროვნებით და მხატვრული სრულყოფით სხვებზე უფრო „დიდი“ იყო „ფირდოუსის“ მთავარი გმირი – ჰაქიმ აბულ ყ-ასიმ ტუსი, იგივე ფირდოუსი, სპარსული პოეზიის ეს საოცარი ხელოვანი, „შაჰნამეს“ ავტორი. ბატონ მურმან თავდიშვილის რომანში, რომელიც ცხრა სოლიდური თავისაგან შედგება, ასახულია ფირდოუსის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება მოყოლებული ყმაწვილკაცობიდან, ვიდრე აღსასრულამდე. რომანში თხრობა უაღრესად დინამიურია, ცოცხალი ფერებით ამეტყველებული, საინტერესო და მოულოდნელი ეპიზოდებით აღსავსე. თხზულების კითხვისას ჩნდება განცდა, თითქოს თავად ვიყოთ მომსწყე და მონაწილენი მოქმედების განვითარების. ზოგჯერ სიხარულსაც და, ზოგჯერ, მწუხარებასაც განაცდევინებს მკითხველს „ფირდოუსის“ პოეტურად ამეტყველებული პროზაული სტრიქონები, რომანიდან შეიცნობს და გაიზიარებს თანამედროვე საზოგადოება ბევრ საინტერესო, ისტორიულ ამბებს სპარსეთის უძველესი ისტორიიდან, რომ ყოველდღიურ ყოფით პრობლემად იმდროინდელი ირანელებისთვის როდი ყოფილა უცხო – სიყვარული თუ სიძულვილი, შური და მტრობა, ამაღელვებელი განცდა თუ ადამიანური უზნეობანი, გონებრივი სისპეტაკე და, პირიქით, გონებრივი სიმწიფე. „ფირდოუსში“ თვალნათლივ იკვეთება სპარსული პოეზიის სიდიადეც და საზოგადოების თაყვანისცემაც მხატვრული სიტყვისადმი, რომლის სათავეშიც იმ ეპოქაში იდგა მართლაც, რომ ბრძენი ფირდოუსი (თავად სიტყვა „ფირდოუსი“ სპარსულია და ქართულად ნიშნავს ბრძენს), რომელსაც ბრწყინვალე განათლება მიღებული სამანიდთა კარზე და იქვე დაუწყია მოღვაწეობა. რომანში ვკითხულობთ, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ფირდოუსმა დიდი მელექსის – დაყიყის სიკვდილის შემდეგ თავად დაიწყო „შაჰნამეს“ გალექსვა, რომელიც, თავდაპირველად, პროზაული ფორმით ყოფილა შესრულებული. ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ფირდოუსმა ზუსტად ოცდაათი წელი მოანდომა ამ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში მან პირად ცხოვრებაში მრავალი ურვა და წუხილი გადაიტანა: მეუღლისა და შვილის სიკვდილი, სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა, დევნა და შევიწროება ზოგიერთი ვაითანამოკალმისაგან, თუმცა სულიერად არ დაცემულა. ფირდოუსი პოლიტიკური ვითარების გამო იძულებული იყო გადაემალა თავისი თხზულებები და თავადაც ეხეტიალა სხვადასხვა მხარეში. სწორედ ამ ხეტიალში დაწერა „სატირა სულთან მაჰმუდზე“, საკმაოდ ვრცელი – ას ბაიათიანი თხზულება, რომელიც, ძირითადად, შედგება „შაჰნამეს“ ციტატებისაგან. თავად „შაჰნამე“, ანუ „მეფეთა წიგნი“, რომელიც 50 000 ბაიათს მოიცავს.

მსოფლიო მასშტაბით უნიკალურ ლიტერატურულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. „შაჰნამეში“ მხატვრულადაა ასახული ძველი სპარსეთის ისტორია და ყოფა. მასში უხვადაა ჩართული ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, ლიტერატურული ხერხები. მან დიდი წვლილი შეიტანა სპარსული და, საერთოდ, აღმოსავლური პოეზიის განვითარებაში იმ გააზრებით, რომ „შაჰნამეს“ მიხედვით შეიქმნა არაერთი ლიტერატურული ძეგლი, როგორც პოეტური, ისე პროზაული.

ამდენად, დიდი შემოქმედის, ფირდოუსის მღელვარე ცხოვრების წარმოჩენა და მისი მხატვრულ-ინტელექტუალური მრწამსის ხატოვნად სრულყოფა იშვიათად თუ უცდია ვინმეს და რაოდენ საყურადღებოა, რომ ჩვენი დროის თვალსაჩინო ლიტერატორმა – მურმან თავდიშვილმა, ჩინებულად გაართვა თავი ამ საძნელო საქმეს. მწერალმა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე მკითხველს საოცრად ლამაზი რომანი შესთავაზა. „ფირდოუსის“ კითხვისას უთუოდ „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე გაახსენდება კაცს. აქ უხვად შეხვდებით ანდაზებსა თუ აფორიზმებს, ბრძნულ გამონათქვამებსა თუ გონიერ მოსაზრებებს, რომლებსაც რომანის გმირები ხშირად წარმოთქვამენ ხოლმე საკუთარი შეხედულებების ნათელსაყოფად. რომანში საქართველოს ისტორიული წარსულის ზოგიერთი დეტალიც გაიელვებს აქა-იქ, რაც დასტურია ქართულ-სპარსული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისა. აშკარაა, რომ მწერალმა მურმან თავდიშვილმა, ვიდრე რომანის წერას შუუდგებოდა, წინასწარ, საგულდაგულოდ, შეისწავლა ეს ურთიერთობები, – ძველი სპარსეთის ყოფა-ცხოვრება, იქაური ადათ-წესები, სპარსული ლექსიკური ურთიერთობები, ტოპონიმები. ამდენად, რომანის ავტორმა სრულიად მართებულად შექმნა თავისი სამუშაო მასალა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა იდეის ხორცშესხმას. ასე დაიბადა ჩვენს დღევანდელობაში კიდევ ერთი საინტერესო, ისტორიული შინაარსის რომანი „ფირდოუსი“, რომელიც უთუოდ დააინტერესებს ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით კი, ჩვენს ახალგაზრდობას. თხზულებაში გამოყენებული ტროპული მეტყველების სახეები, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და მოხდენილად ჩართული დიალოგები, ნაწარმოებს სასიამოვნო საკითხავს ხდის. ასე, რომ, „ფირდოუსი“ მართლაც დიდი შენაძენია ქართველი საზოგადოებისათვის.

სოსო გიძოშვილი

„მიეცი ნიჭსა გმა ფართო!“

ჭადრაკი

დიახ, მომიკლეს მე დედოფალი,
შუა ომში ვარ ჩაბმული, თითქოს,
კარზე კი მტერი არის მომდგარი
და ჩემს მაგივრად, ვიღაც სხვა ფიქრობს.

წაგებულ ომში თავად ჩავები,
როცა ავრიე სხვის აზრში ჩემი,
ამ ხაფანგშიაც ჩემით გავები,
ახლა მჭირდება მე ნოეს გემი.

აღარც ის მოჩანს, – მხოლოდ ვედრება...
ვითარ ოხრავდა ცოდვილი პავლე,
ამ მოლოდინით რა დამშვიდდება?! –
თუკი წააგებ, გზაც შენვე განვლე.

როგორ მომადგა კარს ეტლი მტრისა,
ლაზიერები მადგანან თავზე,
დღეს აღარ მინდა გაგდება ხმლისა
და ლაჩარივით განდგომა განზე.

უკვე ცხენების ფლოქვთა თქარუნი
ეალერსება ამ წუთისოფელს,
როგორ მინდება ბედთან ლამუნი
და ვევედრები ზეცაში მყოფელს.

ნუთუ, ეს არის ჩემი განგება –
მეფედ ყოფნა და სიკვდილი მერე...
სიცოცხლის წუთი დამეკარგება,
რომ დავმუნჯდები, რას იტვი მერე?!

უკვე „სიკვდილის“ დადგა დროება, –
ჩემი სანთელი ოდესღაც ენთო,
სადღა დავმალო ეს სათნოება,
რასაც განვიცდი, უფალო, ღმერთო?!

ჩემმა მეტოქემ დრო არ დაკარგა
და მე მიბოძა იმედი, თითქოს,
წამით მშვიდობა ისე დამყარდა –
მინდა, უფალმა თავისთან მიხმოს!

როგორ ჩაბნელდა, – გვიან განათდა,
ჭადრაკი კვლავაც იყო დაგმული,
მახსოვს, ის გზები, ვთქვა თუ არა ვთქვა,
თავი კალთაში მქონდა ჩარგული.

მივხვდი, რაც ვქენი და ვაღიარე,
არ დაველოდე უფალის თხოვნას,
ჩემი ტანჯული გზა გავიარე,
აღარ ვაპირებ ხელახლა მოსვლას.

ახლა დავმშვიდდი, შანსი მაქვს კიდევ,
თუ პაიკს დავძრავ, კვლავაც მე ერთით,
ვიცი, ცხოვრებას ამით დავინგრევ,
გროსმაისტერი იქნება ღმერთი.

გიორგი გიგაევი,
ნინოწმინდის მე - 4 საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე

ტარიელ ფუტკარაძე - 60

გილოცავთ 60 წლის იუბილეს!

რაც დრო გადის, მეტად ფასდება იმ ადამიანთა დამსახურება, რომელთა მონაწილეობითაც ჩაეყარა საფუძველი სამხრეთ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის ისტორიას. უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან დაიწყო პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის თანამშრომლობა მაშინდელ თსუ-ის ახალციხის ფილიალთან. პროფესორი მერაბ ბერიძე იმდროინდელ თანამოაზრეებს თანამებრძოლებად მოიხსენიებს, რაც ზუსტად შეესაბამება 90-იან უმძიმეს წლებში მათ საქმიანობას მესხეთში.

ვულოცავთ 60 წლის იუბილეს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს. გამოვხატავთ მადლიერებას იმ თანადგომის გამო, რომელსაც გამოხატავდა როგორც პროფესორი – უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში უშუალო ჩართულობით, როგორც მეცნიერი – სამეცნიერო ღონისძიებებში, მომავალი მკვლევრების აღზრდაში, აქტიური მონაწილეობით, როგორც ადამიანი – უნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამს თანადგომითა და მხარდაჭერით.

ის, რომ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთობა სამი ათეული წლის განმავლობაში გრძელდება, არც შემთხვევითია და არც საფუძველს მოკლებული. ეს კავშირი ზიარ ღირებულებებს ეყრდნობა, მათგან მთავარი ქვეყნის, სახელმწიფოს უანგარო და დაუღალავი სამსახურია.

მადლობას მოვახსენებთ ბატონ ტარიელს სტუდენტების, საუნივერსიტეტო განათლებისა და ქვეყნის სამსახურში გატარებული წლებისთვის, აქტიური სამეცნიერო საქმიანობისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ნაწილად იქცა 30-წლიანი თანამშრომლობა, რომელიც პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ცხოვრების ნახევარს ითვლის. ვფიქრობთ, მან ცხოვრების ყველა მთავარი სირთულე გადალახა, წინააღმდეგობათა დიდი უმრავლესობა დაძლია და ახლა უფრო ბევრად ძლიერი აგრძელებს გზას.

ბატონო ტარიელ, გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ საქმიანობას, თქვენ ეს შეგიძლიათ, რადგან თქვენი ძალის, შემართებისა და სასიცოცხლო ენერგიის მასაზრდოებელი ქართველოლოგიის, სტუდენტთა თაობების, მეცნიერების, მეგობრების, ულამაზესი ოჯახის, მშვენიერი მეუღლისა და ნიჭიერი შვილების, შვილიშვილების სიყვარულია. ეს კი ამოუწურავი საბადოა!

მაკა ბერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

სიტყვითაც და საქმითაც მართალი კაცი

ტარიელ ფუტკარაძე მესხეთის უნივერსიტეტში

დღეს, საქართველოში, იშვიათია ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს ტარიელ ფუტკარაძეს, როგორც გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს, უპირველესად კი, დიდ პატრიოტს. იგი, სხვებისაგან განსხვავებით, იმითაც გამოირჩევა, რომ არასოდეს არ აკეთებს პოპულისტურ განცხადებებს, მისი ცხოვრების კრედო მხოლოდ საქართველოს უკეთესი მერმისისათვის დაუღალავი ბრძოლაა.

ეგრერიგად, პოლიტიკურად აჭრელებულ დღევანდელ საქართველოში, ე.წ. „ეროვნულ თავდადებას“, სხვა ელფერი დაჰკრავს, – ხშირად მოჩვენებითი და, განსაკუთრებით, პოპულისტური, თუმცა ბატონ ტარიელის მამულისათვის თავდადება, სიტყვითაც და საქმითაც, მართალ და ჭეშმარიტ პატრიოტობაში გამოიხატება.

როდესაც ბატონმა ტარიელმა პოლიტიკაში პირველი ნაბიჯი შედგა, მას, დღემდე, ერთი მისხალი გაბრუდებული ნაბიჯიც არ გადაუდგამს. მისი მთელი შეგნებული ცხოვრება, ხშირად, მისთვის, სიცოცხლის დიდ რისკთანაც კი იყო დაკავშირებული.

ვიზუალურადაც რომ გადავხედოთ მეცნიერის მდიდარ ბიოგრაფიას, ნათელი წარმოდგენა გვექნება, რაოდენ დიდი ადამიანია იგი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა მართლაც საინტერესო სამეცნიერო, შემოქმედებითი და პოლიტიკური ცხოვრების გზა განვლო.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, ახალგაზრდული ასაკიდანვე, აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იგი ინიშნება ქალაქ ბათუმის პრეფექტად; როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ეროვნული მთავრობის აქტიურმა წევრმა, 1991 წლის 9 აპრილს, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. იგი ანტიეროვნული ძალების შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სისტემატიურად განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დღემდე კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით კი უარი აქვს ნათქვამი სადეპუტატო პენსიაზე.

ბატონი ტარიელი სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად; თსუ-ის ახალციხის ფილიალში – ქართული ენის კათედრის გამგედ. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს: აჭარაში,სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერხევში, ტაოში; 1995 წლიდან ორგანიზატორია დიალექტოლოგთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმისა – „ქუთაისური საუბრები“; მისი რედაქტორობით გამოდის სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“. სხვადასხვა წლებში გამოსცემდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ქუჯს“, სამეცნიერო-პოპულარულ გაზეთს – „ქართული!“. ქ.ქუთაისში დაარსებულ „საქართველოს სახელმწიფო ენის საბჭო“; თანამოაზრეებთან ერთად – სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი – „ქართველთა (ქართველური) ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე“; „იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი“; „საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაცია„ და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

2011 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი და ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის ხელმძღვანელი და სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემების“ მთავარი რედაქტორია. მას ეკუთვნის ენათმეცნიერული ხასიათის 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები), ასევე ავტორია 300-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე სადოქტორო დისერტაცია.

ხაზი უნდა გაესვას ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტსაც, – ბატონი ტარიელის მარადიული სატკივარი და მოუშუშებელი იარა ჩვენი თურქეთელი და ფერეიდნელი ძმების ბედზე ზრუნვაა. განსაკუთრებული პატივი კი მასთან ურთიერთობა და თანამშრომლობაა, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი თითოეული წერილის პწკარედი ხომ მნიშვნერლოვნად ამაღლებს „ლიტერატურული მესხეთის„ ავტორიტეტს.

ბატონო ტარიელ, ჩვენო ერთგულო მეგობარო და დიდო ადამიანო! გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის„ რედაქცია, მთელ თავის შემოქმედებით კოლექტივთან და მრავალათასიან მკითხველებთან ერთად, სულითა და გულით გილოცავთ ღირსეულ იუბილეს – 60 წლისთავს! თქვენისთანა დაუღალავი, ჭაბუკური შემართების მებრძოლი ადამიანისათვის ის დიდი და, ალბათ, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, რომელიც გასავლელი გაქვთ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ, გვჯერა, კიდევ მრავალი ახალ-ახალი წარმატებების მომტანი იქნება!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქციის სახელით,
ავთანდილ ბერიძე

ფოლკლორი

ერი დედაენაი

ერთ კაცს ცოლი ჰყავდა. ამწარებდა ეს ქალი ამ კაცსა. ეს კაცი ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა ცოლი თავიდან, მაგრამ ვერაფერი მოეგონებინა. ერთხელ ცოლს უთხრა:

– ერთ საიდუმლოს გეტყვი და არავინ არ უნდა იცოდესო.

– რა არის ეგეთიო?

– ტყეში, მუხასთან რო ორმოა, იმაში ძაან ბევრი ოქრო ყოფილა, წავიდეთ, ამოვიღოთო, – უთხრა კაცმა.

ქალს ძაან გაუხარდა და დაიწყეს მზადება. კაცმა ბაწარი იშოვა და წავიდნენ.

გზაში ეჩხუბება ეს ქალი, გინდა თუ არა, მე უნდა ჩავიდე ორმოშიო.

კაცი ეუბნევა.

– შენ ვერ მაახერხებ ოქროს ამოღებასო. ქალი მაინც თავისას გაიძახის და არ უჯერებს ქმარს. კაცს უხარია, რო ცოლი ეხვეწება, – მე ჩამიშვიო, მაგრამ უარს კი ეუბნება, რო უფრო მაანდომოს და ჩაუშვას. ქალმა რო აღარ მაასვენა, ჩაუშვა. ქალმა ორმოდან ამოსძახა:

– კაცო, ორმო მიწით არის დაფარულიო!

– მიწა უნდა გადაქექო და ქვეშ არი ოქროო, – ჩასზახა ქმარმა.

ქალმა დაიწყო მიწის ქექვა. კაცი წავიდა და ერთი დიდი ბადიმი[1] მაიტანა ორმოსთან, ჩახედა ცოლს, დრო იხელთა და ეს ბადიმი ზედ დააგდო. ქალი ქვეშ მააყოლა ისე, რო ვეღარ ამოვა, რაც არ უნდა ქნას.

კაცმა რაკი ეს საქმე გააკეთა, წავიდა სახში და იყო თავის შვილებთან. აღარავინ არ ეჩხუბებოდა და არ ამწარებდა.

ერთხელ მოუნდა კაცს ცოლის ნახვა და წავიდა ტყეში იმის სანახავად. მივიდა ორმოსთან და ჩასძახა:

– ცოლო, როგორა ხარო?

– ქალს ხმა არ ამოუღია. ორ-

გაგრძელება გვ.23 ▶

1 ბადიმი – ქვა, რომელსაც ორმოს ახურავენ;.

„თამარს ვაქებდეთ ძეფისა...“

ვაჟა სამსონიძე

ასე იწყებს დიდი შოთა რუსთაველი „სამგზის სანატრელი“ და „შვიდმნათობიერი“ თამარის ქება-დიდებას თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ (ნესტანი თამარია, რომლის სახელი ქვემორე /ე.წ. პოემაში/ უთქვამს, უქია“). იქიდან მოყოლებული, ვინ მოთვლის, რამდენი ლექსი, ლეგენდა, პოემა, მოთხრობა, რომანი დაიწერა მეფეთა მეფისა და დედოფლის მისამართით. თამარი, როგორც სიბრძნისა და სილამაზის განსახიერება, არაერთხელ ქცეულა ოცნების და წერის მუზად უცხოელებისთვისაც. სამწუხაროდ, არიან ისეთი გულღრძო, უმადური „კალმოსნებიც“, რომლებიც მრუდე სარკეში იყურებიან და თავიანთი მახინჯი წარმოდგენებით გულს ურევენ ადამიანებს.

ჯერ კიდევ კომუნისტების დროს (სტალინის გარდაცვალების შემდეგ) რუსულმა ჟურნალმა „კროკოდილმა“ დაბეჭდა ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი წერილი თამარ მეფეზე, რის გამოც, რა თქმა უნდა, პასუხი არავის უგია. რას იზამ, „კროკოდილი“ სხვისი ჟურნალია და როგორც უნდა, ისეთ პასკვილს გამოაცხობს, მაგრამ როცა შენიანი, შენი სისხლ-ხორცი უარესს გიშვრება, ესაა უბედურება. ამ ხალხს, რატომღაც, ავიწყდება ჭკვიანი კაცის ნათქვამი: „თუ შენ საკუთარ ჯამში ჩააფურთხებ, სხვა სულაც შიგ ჩაგ... მსო“, სწორედ ასე დაემართა ნიჭიერ, ახალგაზრდა მწერალს, „საბას“ ლიტერატურული პრემიის სამგზის ლაურეატს, ლაშა ბუღაძეს.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე ბატონი ლაშას რომანის („პირველი რუსი“) ის მონაკვეთი, სადაც აღწერილია თამარისა და გიორგი რუსის „პირველი ღამე“. ავტორი ისე „დეტალურად“ და „დამაჯერებლად“ წერს მომხდარის შესახებ, გეგონება, თვითონაც იქ იყო და საკუთარი თვალით იხილა ყოველივე. ლ.ბუღაძე სიტყვებს არ იშურებს თამარის ფიზიკურ „ნაკლოვანებებზეც“ და მას „უკანალ-ჩავარდნილს“, „სახეღინღლიანსა“ და „ქაჩალს“ უწოდებს. საინტერესოა, საიდან იღებს ავტორი ცნობებს იმ ავადსახსენებელი „პირველი ღამისა“ და თამარის „ფიზიკურ ნაკლოვანებათა“ შესახებ? თამარის ისტორიკოსებთან მსგავსი რამ არაფერი წერია, თორემ ლ. ბუღაძე, ალბათ, ვერ იქნებოდა პირველმთქმელი იმ სიბინძურისა. ეტყობა, მისი ეს მონაჩმახი, მისივე მოგონილია. მართალიც რომ იყოს იგი თავის „აღწერაში“, მაშინაც არ უნდა მიეშვა თავისი აღვირახსნილი ფანტაზიის სათავე თამარის განსაქიქებლად, – შეურაცხყოფა არ უნდა მიეყენებინა დიდებული მანდილოსნისათვის, რომელიც სალოცავ ხატად ჰყავთ მიჩნეული ქართველებს.

განა შეიძლება უდიერად იხსენიებდე ხელმწიფე-ქალს, რომელმაც კიდევ უფრო გასწია-გაკიდეგანა დავით აღმაშენებლის ხმლით შეკრული საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“!

როგორ შეიძლება აუგი თქვა შენი ქვეყნის ბრწყინვალე დედოფალზე, რომლის მხედრობამ საარაკო გამარჯვება მოიპოვა შამქორისა და ბასიანის ომებში და შორს გაიტანა საქართველოს სახელი;

როგორ შეიძლება აბიაბრუებდე და არად მიიჩნევდე მშვენიერ ხელმწიფე-ქალს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის პირველწყარო გახლდათ და რომელსაც უძღვნა რუსთაველმა სიყვარულისა და მეგობრობის ეს საგალობელი!

როგორ შეიძლება ცრუობდე და ცუდს წერდე იმ დიდებულ ქალბატონზე, რომლის სახელსაც მიაკუთვნებენ ქართული ეკლესიების, ციხესიმაგრეების, ხიდების, არხების, წყაროების აშენებას?

განა შემთხვევითია ისიც, რომ ტაო-კლარჯეთ-შავშეთში ქართველებს დღესაც „ცოცხლად“ ახსოვთ პირმშვენიერი თამარი, რომელსაც „ლამაზთან“ ერთად „დილბარსაც“ (მომხიბვლელს) ეძახიან;

დაბოლოს. რუსთაველი რომ აღარ შევაწუხოთ, ლაშა ბუღაძეს უფრო უნდა დავუჯეროთ თუ დიდ ვაჟას, რომელიც თამარისადმი მიძღვნილ ლექსს ასეთი სათაყვანებელი სიტყვებით ამთავრებს:

„მფარველად გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო!“

ლაშა ბუღაძეს, თურმე, ისეთი ავტორებიც სცოდნია, „ვინც საპირფარეშოში არა თუ კითხულობენ, არამედ წერენ კიდეც“. ეტყობა, ამ სიტყვების მთქმელმაც საპირფარეშოში დაწერა „პირველი რუსი“ და ამიტომაც ყარს იგი შორიდანვე...

ლაშა ბუღაძემ, რომელმაც ძალიან გააღიზიანა და აღაშფოთა ქართველობა თამარისადმი ესოდენ უკეთური გამოხდომებით, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განუცხადებია, რომ, თურმე, ბოდიშის მოხდას აპირებდა, საზოგადოების წინაშე, მაგრამ, „მეგობრებმა“, ხელი ააღებინეს ამ განზრახვაზე. ესე იგი, რა გამოდის? გამოდის ის, რომ მარტო ლაშა ბუღაძე არ ყოფილა გამონაკლისი, რომ მისი „მეგობრებიც“, ალმაცერად უყურებენ „სამგზის სანატრელსა“ და „შვიდმნათობიერ“ თამარს.

უფრო „შორს წავიდა“, ამ მხრივ, ვინმე ანი (ანანია) გაჩეჩილაძე, რომელსაც დაუარსებია საწარმო თუ კომპანია „აიისა“ (აი ისა? რომელი?). ეს საწარმო-კომპანია უშვებს პრეზერვატივებს (ესღა აკლდა ჩვენს „გაბერწებულ“-გამეჩხერებულ ქვეყანას!) თამარ მეფის, „ქართვლის დედის“, დავით აღმაშენებლის „ძლევაი საკვირველის“ გამოსახულებით. ჯერ ერთი, ანანიასთანა ახალგაზრდა, ლამაზი გოგოს ლექსიკონში სიტყვა „პრეზერვატივი“ არც უნდა არსებობდეს, მეორეც – რას ერჩის თამარს, „ქართვლის დედას“, დავით აღმაშენებელს, სხვა ვერაფერი მოიგონა?! ანი გაჩეჩილაძე თავს იმით იმართლებს, რომ ხსენებული ადამიანები, სასულიერო პირები მაშინ კი არ იყვნენ, არამედ მონარქები გახლდნენ და მერე შერაცხეს ქართველებმა წმინდანებადო. ეს ვერაფერი შეღავათია, უბრალოდ, არ უნდა ჰკადრო შენს დიდ წინაპრებს უკადრებელი. მე უკეთეს ვარიანტს შევთავაზებდი ახალგაზრდა ქალბატონს: მიახატოს პრეზერვატივებს თავისი მშვენიერი სახე-სხეული და შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ასეთი „ნაწარმი“ უფრო ხალისიანად იქნებოდა შეძენილ-გამოყენებული „საჭიროების შემთხვევაში“...

ასე რომ, დაანებეთ თავი დიდ მეფეს და სხვა წმინდანებს, თუ კარგის თქმას ვერ ახერხებთ, ნურც ცუდს იტყვით მათზე. ისინი, თქვენი კომენტარების გარეშეც უქრობ ვარსკვლავებად ბრწყინავენ ღვთისმშობლის წილხვედრილი საქართველოს ცაზე!...

რედაქციისაგან: ***თუმცა დიდი დრო გავიდა ამ მკრეხელური ამბებიდან, რაც უკადრებელზე უკადრებელი იკადრეს და კადრულობენ კიდევ ჩვენი ე.წ. დღევანდელი „ძალად ცნობადი“ სახეები, მაგრამ ისიც კარგად უნდა ახსოვდეთ: – ასეთი უმსგავსო საქციელით შეუძლიათ ერთჯერადად საზოგადოების ყურადღების მიქცევა, მაგრამ თავიანთი ნაცოდვილარებით გადავსებულ სანაგვე ყუთებს, ბოლოს, სადაც ცლიან, არც ის უნდა დაივიწყონ!***

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის!

ერეკლე მეორის სამხედრო ხელოვნება ასპინძის ბრძოლაში

◀ დასაწყისი გვ. 1,4,5

ერეკლემ ამ წარმატებას რით მიაღწია? თუ ბრძოლის დინამიკის აღწერის თეორიას მივმართავთ, ძალთა თანაფარდობას განაპირობებს ორი ფაქტორი: რიცხოვნობა (რაოდენობითი მხარე) და თვისობრივი მხარე. თვისობრივ მხარეს თავის მხრივ განაპირობებენ ბევრი ფაქტორები, მებრძოლის ინდივიდუალური მომზადების დონე, შეიარაღება, მოულოდნელობა, რელიეფი, ამინდი და სხვა. ერეკლემ გონივრულად გამოიყენა თვისობრივი მხარე, ხოლო კულმინაციური ბრძოლა იყო მხედართმთავრული ნიჭის უბადლო გამოვლინება.

ერთის მხრივ, მან შესანიშნავად განალაგა თავისი ძალები, ხოლო მოწინააღმდეგე შეიტყუა ისეთ პირობებში, სადაც მას მოქმედების არავითარი შანსი არ დაუტოვა. ამით მან თავისი ჯარის თვისობრივი მხარე გააუმჯობესა, ხოლო მოწინააღმდეგის უკიდურესად დაბალ ნიშნულზე დაიყვანა. რაც შეეხება მოწინააღმდეგის რაოდენობრივ მხარეს, როგორც ცნობილია მის წინააღმდეგ ერთი საშუალება არსებობს – მოწინააღმდეგე როგორმე უნდა დაანაწევრო) აქ მან ბრწყინვალე ხერხი მოიფიქრა, ხიდის დანგრევით მტერს მოუსპო საშუალება მტკვრის მარცხენა მხარეს დარჩენილი ძალები საჭირო დროს ჩაერთო ბრძოლაში. აღნიშნულმა ფაქტმა მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური დაძაბუნება განაპირობა, რაც მათ მიერ წინააღმდეგობის განევის სურვილზე აისახა.



თუ სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა მოქმედება ვითარების მიხედვით, ხოლო ამ აზრს ტაქტიკის გონივრული გამოყენება განამტკიცებს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლაში ერეკლე II-მ სავსებით დაიცვა ეს დებულება, რაც სარდლის მიერ სამხედრო საქმის კარგად ცოდნაზე მეტყველებს. მან გონივრულად გამოიყენა თავდაცვისა და კონტრიერიშის შემადგენელი ელემენტები: ადგილმდებარეობის სწორი შერჩევა და ვითარების დროული შეფასება; მოწინააღმდეგის შეჩერება და დანაკარგის მიყენება; კონტრიერიშზე დროული გადასვლა; მოწინააღმდეგის ძალების ბლოკირებით შექმნილი უპირატესობის განვითარება; მოწინააღმდეგის ძალების განადგურება. მოცემულ ბრძოლაში ასევე გამოვლინდა შეტევითი ოპერაციის მახასიათებლებიც: მთავარი დარტყმის მიმართულების სწორად შერჩევა; მოულოდნელი თავდასხმა და ინიციატივის ხელში ჩაგდება; სისწრაფე, მობილურობა და გამბედაობა.

ასპინძის ბრძოლაში გამოყენებულ იქნა ისეთი ტაქტიკური ელემენტები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობასა და მნიშვნელობას თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად. ესენია:

– საბრძოლო მოქმედებათა წარმართვა მანევრის გამოყენებით;

– ადგილმდებარეობის გონივრული შერჩევა;

– ჯარების მოხერხებული განლაგება და ურთიერთქმედება;

– მოწინააღმდეგის მიერ ბრძოლის ველზე მაშველი ძალების მიღებისა და მანევრის ჩატარების შესაძლებლობის აღკვეთა საფაზვერვო და დივერსიული მოქმედებების გზით;

– კონტრიერიშის განხორციელება ადგილის, დროისა და მიზნის მიხედვით.

მოწინააღმდეგის შეცდომის გონივრულმა გამოყენებამ, მისი ფსიქოლოგიური გარემოს უარყოფითად შეცვლამ, რომელიც ანალიზშია მოცემული, ბრძოლის ველზე მტრის სრული განადგურება განაპირობა. ქართველმა ხალხმა დიდების შარავანდედით შემოსა ასპინძის გმირები. ხოლო ამ ბრძოლის სარდალი - მეფე ერეკლე II ქართველი ხალხის ერთ-ერთ საყვარელი გმირი გახდა. ასპინძის ბრძოლის სამხედრო ოპერაციაში მთელი სისრულით გამოვლინდა სამხედრო ხელოვნების უმთავრესი პრინციპები:

– ძალთა არათანაბარი განაწილება;

– ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება;

– შეტევის მიმართილების შერჩევა;

– მოულოდნელობის ფაქტორზე დაყრდნობით მცირე ძალებით მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის განადგურება.

ამრიგად, ასპინძის ბრძოლით კიდევ ერთი ფურცელი ჩაიწერა საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი საბრძოლო ოპერაცია, რომელიც შედგებოდა აწყურის, საყუნეთი-ტყემლანას და ასპინძის ბრძოლის დასკვნითი ეტაპისაგან. ასპინძაში გადამწყვეტ შერკინებამდე გამართულმა ბრძოლებმა არა მარტო საგრძნობი დანაკლისი მიაყენა მოწინააღმდეგეს, არამედ ქართველებს დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა შესძინა. ასპინძის ველზე ხელსაყრელ პოზიციებზე ქართველთა ჯარის სწორად განლაგებამ, კარგად მოფიქრებული გეგმით ბრძოლის წარმართვამ, სარდლებისა და ცალკეული რაზმების მეთაურთა მამაცურმა და უნარიანმა მოქმედებამ, მეფის გმირობამ, ქართველთა გამარჯვება განაპირობა. აღნიშნული ბრძოლა თვალსაჩინო მაგალითია სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლისა, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

დავით მაღლაკელიძე,
პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი, ისტორიის დოქტორი

ხორველას აქვავი

(გადათარგმნილი)

ხორველას ამბავს მოგიყვები,
შიგ დავატან გამჩენელსა,
სამი ბერი ერთად ზისა,
ერთად პური გასტეხესა.
წავიდნენ და მოახსენეს
თავიანთსა გამჩენელსა,
ხალხი სულ გაურჯულოვდა,
ლამის ყველა გათათრდესა.
ნათლიობა აღარ არის,
არ ინდობენ ერთმანეთსა,
და რომ ძმასთან ვეღარ მივა,
ვიღა იტყვის მეზობელსა.
ამიერით გაეგონა
ხორციელად ღვთისმშობელსა,
აღარ დადგა ხორციელად,
სულიერათ გაფრინდესა.
იქ მივიდა ტირილითა,
ასრე უთხრა ქრისტე-ღმერთსა,
შვილო, ძეო, რას მიპირობ,
მაგ გულს შენ ვინ ჩაგიდებსა.
შენ რო ხალხი გამიწყვიტო,
ვიღა მეტყვის დედაშენსა,
ან სანთელს ვიღა დამინთებს,
ვინ მომიტანს ზედაშესა.
– დედავ, თუ შენი ჭკუითა გა-
იგონებ
სამართალი გასწყვეტამსა,
მაგათ მოძღვარი არა სწამთ,
არ ინდობენ ერთმანეთსა.
ბიჭი ბიჭსა აღარ ზოგავს,
ვიღა იტყვის გოგოებსა,
მაგათი გულისათვისა
თავი მივე სატანჯველსა.
ურიებმა დამიჭირეს,
მაგრა ხელი შემიკრესა,
ერთ გოლგოთზე ამიყვანეს,
დიდი ძელი ამართესა.

მისაკრავათ წამიყვანეს,
შესამოსი გამხადესა,
შენი ქრისტე მიიყვანეს,
ზედ იმ ძელზე დამაკრესა.
ხელი და ფეხი გამიკრეს,
შიგ ლურსმნები ჩამირჭესა,
აქეთ-იქით ურიანი –
წინ პილატე დამიდგესა.
ხმელი შოლტი მოიტანეს,
თავყვრიმალი ამინთესა,
ძმარი და ნაღველა მოქონდათ,–
შენს მეუფეს ის ასვესა.
გვერდში მახვილი მიგმირეს,
ქრისტეს სისხლი დაღვარესა,
გვერდიდამ სისხლი მადინეს,
თავს ეკალი დამადესა.
თეთრი ტილო მოიტანეს
ტანზე სუდრათ ჩამაცვესა.
დედავ, როგორ მეხვეწები
მე, ამ საქმის მომქმედელსა.
კიდევ გატეხა ვერ მივე
დიდებსა და გასაზრდელსა.
ღვთისმშობელი ეხვეწება,
ევედრება თავის ძესა, –
ორი წილი მაპატიე,
მესამედი შენ დაგრჩესა,
წადი, დედავ და მიბძანდი,
შენი ნება აღსრულდესა.
დალოცა ქრისტე ღმერთმა,
გვერდთ დაისხამს მოწაფეთა,
– წავახდინო, როგორა ვქნა,
როგორ მირჩევ, დღეს ამასა?
ქარი მივცე, არ იქნება,
ვაი თუ გადაყაროს კლდესა,
ცეცხლი მივსცე, არ იქნება,
ვაი თუ ყველა დაიწვესა.
წყალი მივცე, არ იქნება,
ვაი თუ მართალნი დაირჩვესა,
შიშის ქარი მოუვლინო,
მოსვლის უმალ სული ძვრესა.
ცხარ-ცხარი, იასაული
ყველა მაშინ გამგზავრდესა,
უწინ რუსეთს გააჩინეს,
ბევრი ხალხი დახოცესა.
სანამ როტა ჯარში შეუშვეს
ბღავანი არ გაუშვესა,
ნიკოლოზ ხელმწიფე I {?}
თვალიდამა ყრიდა ცრემლსა.
შვიდი დღეღამე იარეს,
კვდარსა ფეხი არ ექცესა,
ქალაქს წიგნი მიეწერათ,
მანდაც მოვალთ 22-სა დღესა.
სომხითზე შემოიარეს
ფეხი ფეხთა ააკრესა,
ოთხშაბათი არაფერი,
ხუთშაბათი გათენდესა.
ქალაქს მოვიდა ხორველა
დამდეგ მარიობის თვესა.
თათრის მოედანზე დადგნენ,
ბარგი სულ იქ დაყარესა.
სამწილათ დადგა ხორველა,
სამი ანგარიში ქნესა,
ერთსა ერგო განჯის კარი,
აბანოსთან შეუკრესა.
ერთსა ერგო ავლაბარი,
ხიდის ყური ჩაიბესა,
ერთსა ერგო ქაშოეთი,
ხევისპირი გაუბესა.
სამკუთხით შემოფარგლეს,
კარში არვინ გაუშვესა,
ერთ დღეს ცხრაათასი მოკლეს,
ყველა ცუდათ დამარხესა.
დედაი წაგიწყდათ, ქეთხუდავ,
ასრე გირჩევნიათ ესა,
ზეიდამ წიხლი დააჭირეს,
კიდევ ნიშნი მოუგესა.
ცოცხალს თქვენ გვაწვალებდით,
ახლა ჩვენ გაწვალებთ დღესა,
კადრებენ მედროშეები –
ჩვენც კარგათ შევკაზმავთ ცხენსა.
ამისთანა ნაშოვარი
არ უნახავს პაპა ჩვენსა,
თუ რომ ჩვენც დავიხოცებით
ჩვენ გავიტანთ ერთმანეთსა.
ზოგიერთი ვაჟი კაცი
შეიყრიდა ყურთ მაჯებსა,
ჩვენისთანა არსად არი,
ფალავანი დამარქვესა.
წამოყარა ხორველამა,
ბიჭო, გამარჯობა წელსა,
შენ საქმე არ მოგეშვება,
უნდა დამეჭიდო დღესა.
ერთ ხელს კისერში წაავლებს,
ერთ ღლიაში გაუგდებსა,
ერთი ისეთი მოგვერდი ჰკრა
დღი სავალზედ გარდააგდებსა.
შიშით კვნესის, მწარეთ არწყევს,
ხრიალებს და სულსა ლევსა,
ქალაქში უსტაბაშებმა
ერთი ანგარიში ქნესა.
წავიდნენ და მოახსენეს
მემრე მთავარმართებელსა,
ბატონო, ჩვენის ცოდვითა
ღვთის მშობელი ასტირდესა.
წამოდგა, თავის ფეხითა
ღვთის საყდარში შევიდესა,
რომ შეხედა ხვთის მშობელმა,
გაწუწული დაუხვდესა.
მემრე მთავარმართებელი
იმ საქმეზე გაჰკვირდესა,
ფიცხლავ წყალი დაიბარა,
პირი მითი დაბანესა.
ყარაული დააყენა
თქვა, რომ მართალია ესა,
მეორე დღეს რომ შეხედა,
ღვაპისაგან დაუხვდესა.
მაშინ ემთხვია ღვთის მშობელსა,
რა დიდებით მიიღესა,
მართებელი დასტურს აძლევს,
დიდებსა და გასაზრდელსა.
მე დასტური გამიცია,
სულ აიყარენით დღესა,
ერთ დღეს გაცივდა ქალაქი,
შიგნით ძაღლი აღარ ჰყეფსა.
შენ ხორველასა უყურე,
როგორ ჭკუით დაბძანდესა,
ბაზრის ქუჩაში დაუხვდნენ
სულ თხებივით გათვალესა.
გეორქ აღა ასე ამობს:
სარდაფში ჩავჯდები დღესა,
სამი თვის სარჩოს ჩავიტან –
ნუშსა, ქიშმიშსა და ფლავსა.
მაგრა დავკეტამ კარებსა,
შიგნიდან დავადებ ძელსა,
გეორქაი ხორველასა ჭკუით
როგორ აჯობებსა.

იმ ღამეს რომ მოესიზმრნენ
დაბლა წვერი დაუშვესა,
თათრული სახით ეჩვენენ,
სად იმალები გეორქ აღა,
შენი წიგნი ჩვენსა ძემსა,
სულ ჩვენის ხელით ვაკეთებთ
კლიტესა და გასაღებსა.
თუ რომ შენ დაიმალები,
ჩამოვყვებით სინათლესა,
იქიდამა ჩამოვძვრებით
საცა ვნახამთ მთვარე, მზესა.
იმ ღამეს ხომ არაფერი,
მეორე დღე გათენდესა,
იქ ჩავიდა ხორველაი,
ფიცხლავ თავი დაუკრესა.
გეეორქ აღა მამისაგან
ფეხზე ვეღარ წამოდგესა,
ეს რა საქმე მომივიდა,
ვაი, დედიჩემის ღმერთსა.
მაგრამ ეს ჩემი ქარვასლა
ნეტაი ვის უნდა დარჩესა,
სანამ ჩემი საწოლია,
ვერავინ ვერ წამართმევსა.
თუ ჩემი სინსილა გაწყდეს,
ეჩმიაძინსა დარჩესა,
ეს ანდერძი კი დაცალდა
ამას წიგნათ დააგდებსა.
მას უკან სული ამოხდა
იმ ზეცაში გაფრინდესა,
ჩუცხ მალამი სოლომან
რაზბონიკებსა დარჩესა.
პანჩცარა უკან მისდემდა,
განა თუ გულს გაიტეხსა,
სარდაფის კარი გაიღო,
სანამ ჩუმათ მივიდესა.
თუ რომ სამი დღის მკვდარია,
საშინელათ აყროლდესა,
იმტენი სარჩოს პატრონი
სამი მუშით დამარხესა.
დღესაც ეძებს იმას შვილი
თავის მამის მასწავლელსა, –
საუკუნოთ გავაკეთებ,
ვინც მასწავლის მამაჩემსა:
ოქრო ოქროს შეუწონამ,
მანათები მანათებსა,
მარგალიტის მინას მივცემ,
დოვლათი არ დააკლდესა.

ჩაიწერა ნიკო ასათიანმა,
4-8 აპრილი, 1930 წ;
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
მუზეუმის ფაა . 3100

ერთ ლეგენდაზე

◀ დასაწყისი გვ. 21

მოდან წყეულმა[2] ამოსძახა:

– კაცოო, ოღონდ ამ დედაკაცისაგან გამანთავისუფლე და შენ წონა ოქროს გაშოვნინებო.

გაუხარდა კაცს. იფიქრა, გავმდიდრდებიო და ამოუშვა ორმოდან თავისი ცოლი.

წყეულმა უთხრა:

– წადი შენ სახში და ელოდე ამამავალი[3] ქვეყნის ხემწიფეს, ის მოვა შენთან და გთხოვს წამლობას. შენ უარი არ უთხრა, წადი და გამდიდრდებიო. წყეულმა ასწავლა კაცს წამლობა და გაქრა.

წავიდა ეს წყეული ერთ სახემწიფოში და ამ ხემწიფეს ქალს ჩაუჯდა ჯანში. ეს ქალი შეწუხდა. დაახვიეს ექიმები, მაგრამ არაფერმა არ უშველა.

ბოლოს უთხრეს ხელმწიფეს:

– ამამავალ ადგილზე ერთი კაცია, წამლობა იცისო.

გაგზავნა ხემწიფემ კაცი ამ კაცის საპოვნელად და უთხრა:

– სანამ არ იპოვნით, უკან არ მოხვიდეთო.

წამოვიდნენ კაცები და დაიწყეს ძებნა. ბევრი ეძებეს თუ ცოტა, იპოვნეს და წაიყვანეს.

მივიდა კაცი ხემწიფის სახში. დააცარიელებინა ამ ქალის ოთახი. ხელი ახლო ამ გოგოს (წყეულმა დაარიგა: შენ რო ხელს ახლებ, მე იმ წუთას ამოვალ იმ გოგოს ჯანიდანო). ხელი ახლო და მაარჩინა. ისე კარგათ გახდა ეს გოგო, ისე კარგათ, რო ვეღარავინ ვერა ცნობდა.

ქალმა უთხრა მამას:

– მამი, ამ კაცმა რაკი ესეთი დიდი საქმე გაგვიკეთა, მოდი თავისი წონა ოქრო მივცეთო.

მართლა მისცა ხემწიფემ თავისი წონა ოქრო ამ კაცს.

როგორც კი ეს კაცი წამოვიდა ხემწიფის სახლიდან, დაედევნა წყეული და უთხრა:

– დაპირება ხო შეგისრულე, ამის შემდეგ დაივიწყე შენი ხელობა და სუ სახში იყავ, არავის არ წაყვე საწამლოდო.

კაცმა პირობა მისცა და წავიდა თავის სახში.

გავიდა დრო. წყეული თურმე ეხლა სხვა ხემწიფის ქალს ჩავარდნია ჯანში და ისე გაუხდია, სიკვდილის პირას არი მისული.

ხემწიფის ყურამდე მივიდა ამბავი: ამამავალ ადგილას ერთი კაცია, ყველაფერს არჩენსო.

აფრინა ხემწიფემ კაცები და იმ დღესვე თავის სახში მააყვავინა ეს კაცი.

კაცი ისევე მაიქცა, როგორც უწინ და ხელის ერთი დადებით ფეხზე დააყენა ქალი.

ხემწიფემ კაცს თავისი წონა ოქრო მისცა და გაუშვა. მიდის კაცი სახში. გზაში დაეწია წყეული და ჩხუბი დაუწყო:

– აკი გითხარი, სახლიდან ფეხი არ გამოდგა-მეთქი. რათ მამიშალე ხელი, მე იმ ქალის სიკვდილი მქონდა გადაწყვეტილიო.

კაცმა უთხრა:

– წადი, აქედან დამეკარგე, თორე ჩემი ცოლი ისევ ცოცხალია, წავალ და ისევ მოგიყვან და ვაი შენ დღესაო.

– არაო, – უთხრა წყეულმა, – შენი ცოლის ახლო ყოლას, ისევ ის მირჩევნია, შენ გამდიდრდეო.

ეგრე აშოვნინა კაცს ბევრი ოქრო თავისმა ავმა ცოლმა. აქ თავდება ეს ბილა.[4]

მთქმელი სონა ზედგინიძე,
55 წლის, მცხოვრები ახალქალაქის რაიონში. ჩაწერილია სოფელ ერკოტაში თავის ქალიშვილთან ყოფნის დროს.
ჩაიწერა თეიმურაზ ქურდოვანიძემ 1965 წელს.

თსუფა N4020

2 წყეული ნახმარია ეშმაკის მნიშვნელობით;

3 ამამავალი ნახმარია ამა და ამბ ის მნიშვნელობით;

4 ბილა ნიშნავს ამბავს (მთქმელი).

რესპუბლიკის პედაგოგთა ერთი ჯგუფი ქ. ბორჯომში. 1955 წელი. აწ გარდაცვლილი პედაგოგის ბაბულია ჯომარდიძის საოჯახო არქივიდან. დ.ასპინძა

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო,

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ოჯახებში შემონახული ძველი სურათები – გადაღებული 60-70 წლის წინ, განსაკუთრებით სასურველია უფრო ძველი სურათების, მათ შორის ისტორიული ძეგლების, სოფლების ხედების, შენობა-ნაგებობების და პეიზაჟების ელექტრონული ვერსიების მოწოდება.

სურათები დაიბეჭდება ჩვენის გაზეთის ფურცლებზე.

აუცილებლად მიუთითეთ გადაღების წელი, ვინ ან რა არის ასახული სურათზე და გამომგზავნის ვინაობა.

რედაქცია

ფიდაქარი

***

რა მიქნა ბიჭო, თათარმა,
ურჯულომ მიგდო ხელშია,
მუხანათურად მომექცა,
დამბაჩა დამცა წელშია.
თვალში სინათლე წამართვა,
აღარც ძალა მაქვს ხელშია,
ყველასგან გამომარჩია
შინაურებში, მტრებშია –
ველარ დავიხსენ თავია,
თეთრი გამიჩნდა წვერშია.

***

გიორგიმ მკლავმაგრიანმა,
ყველას უქცია მხარიო,
თათრებს დაატყდა მეხადა,
ამრავლა მათი მკვდარიო.
გამოიყვანა ლურჯაი,
თათრებთან ნაომარიო,
ცხენსა მოახტა ფიცხლადა,
გაქუსლა, როგორც ქარიო.
უკან თან გაჰყვა გიორგას
სტეფანე ხმალიანიო,
ხელშიც უჭირამს ბებუთი,
ააპრიალა ფხანიო,
თათარს გადაჰკრამს ბეჭებზე
ააძრო ცხრაპირ ტყავიო,
თანაც გასძახის გიორგას:
– მინამ გვიხედავს თვალიო,
დავწყვიტოთ თათრის შვილები,
ვით გაზაფხულზე ცხვარიო,
ერთიც არ დარჩეს ცოცხლადა,
ვიყაროთ მათი ჯავრიო,
უფალსა ვთხოვდეთ შეწევნას,
პირზე ვისახოთ ჯვარიო!

***

მესხეთს დაეცნენ თათრები,
საქმეს სჩადიან ძნელსაო,
ვარძიას ჩეხეს ვენახი, –
გაამრავლებენ ლელსაო.
გაიგეს მესხის შვილებმა
ხელი გაავლეს ხმლებსაო,
ასპინძის ბოლოს შეგროვდნენ
გამოსტოპამენ წყლებსაო.
ხერთვისის ციხეს უტიეს,
მაღალსა გალავანზედა:
– გამოეთერით თათრებო!
მესხნი მოგიხტით კარზედა,
ვისაც იტაცებთ ძაღლებო,
ხმლებით აგკუწავთ ძალზედა,
თავებს ცხვრებივით დაგაჭრით,
ბღაოდეთ მაღალ ხმაზედა.

***

ფარა ჩავლალეთ ფოცხოვზე,
პაპანაქება მზე არი,
უცებ დაგვეცნენ თათრები
ჩასაფრებულან ტიალნი,
ეგონათ დაგვაშინებდნენ,
ატყდა ხმალ-ხანჯლის ტრიალი,
ჩამოგვეშველნენ მთიბავნი,
ცელებმა იწყეს პრიალი,
თათრების სისხლი დავღვარეთ,
დავაწყებინეთ ღრიალი.
ურჯულო, თათრის შვილებო,
როდი ვართ ოხერ-ტიალნი,
აფერუმ, ჩვენს ქართველობას,
დღე მოგვცა ღმერთმა მზიანი,
ჩვენს ვაჟკაცობას აქებენ,
სადაც ხალხია ჭკვიანი.

***

მესხეთს მომძლავრდნენ თათრები,
ხელი აიღეს ჭკვაზეო,
გვიცვივდებიან სახლ-კარში,
ქალ-რძალს ვერ ვუშვებთ გზაზეო.
მოდით, მოვგროვდეთ მესხებო,
გავიდეთ ბრძოლის ველზეო,
თათრებს ვუჩვენოთ ბიჭობა,
ქორივით შევსხდეთ ცხენზეო.
ლაშქარს გიორგი წაუძღვეს,
თვალი ეჭიროს მტერზეო
დაგვარიგებდეს ყველასა
– თათრებს მიუხტეთ დროზეო!
სულ ერთიანად გავჟლიტოთ,
მკვდრები დავაწყოთ მკვდრებზეო,
ნუ, შევიბრალებთ ურჯულოთ,
თავი არ შერჩეთ მხრებზეო,
იმათ ცოლ-შვილის ტირილი
ცასა სწვდებოდეს მზეზეო,
დახოცილების სიმრავლე
უფრო მეტ იყოს ბზეზეო.
ახლა კი ჯალაბს მივხედოთ,
გამარჯვებულმა მტერზეო,
მართლა ვაჟკაცნი ყოფილხართ
ავს ვერ იტყვიან თქვენზეო!

***

მუდამ მეცხვარედ ვიდექი,
წვიმა იყო თუ მეხია,
ერთხელაც ფარა მამტაცეს,
გადავირიე გლეხია.
დავხოცე ათი თათარი
ორჯერ იმდენიც ვჩეხია,
არ მითქვამს ეს აქამომდე,
ანდა რა დასაკვეხია?!

მთქმელი ოსიკო გიქოშვილი, 87 წლის.
ახალციხე, ივლიტა.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა,
2020 წლის თებერვალი.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com